მასწავლებელი

№2(63).2020

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ნინო ლომიძე, მაია ჯალიაშვილი, ლელა კოტორაშვილი, მაია ფირჩხაძე, ლელა მანგოშვილი, ნინო კაპანაძე, თამთა დოლიძე, თამარ გეგეშიძე, თეკლე კაპანაძე, ნათია უჩავა, ინა იმედაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი, ანა ღვინიანიძე, ნათია ფურცელაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

WWW.TPDC.GE

ნატო ინგოროყვა

ახლა, როცა ჩვენი ყოფა და მთელი სამყარო შეიცვალა, რამდენიმე სიტყვა და სამიოდე მდგომარეობა გახდა მნიშვნელოვანი.

ამ სიტყვებსა და მდგომარეობაზე, ალბათ, ბევრი დაიწერება. მე ერთ მათგანს გამოვყოფ. უფრო სწორად, ის თავად გამოეყო სხვებს და პირველ სიტყვად, პირველ მდგომარეობად გამოგვეცხადა.

შიში – რაღაცნაირი სიტყვაა. თითქოს ორ მარცვალს შეგნებულად იმეორებს მეტი დამაჯერებლობისა თუ სიმყარისთვის. ის, რასაც ამ სიტყვით გამოვხატავთ, ალბათ, ჩვენთან ერთად დაიბადა და თან დაგვაქვს. ზოგჯერ თავს გვახსენებს და გვიპყრობს, ზოგჯერ ვივიწყებთ.

ამიტომაცაა ადამიანის ფიქრები ხან უშიშარი და ხანაც შიშნარევი.

ამ ბოლო დღეებში ჩვენმა ცხოვრებამ ეს სიტყვა ყველაზე მეტად მოირგო.

ერთ ჩვეულებრივ დღეს, როცა ახალი სასწავლო სემესტრისთვის ვემზადებოდით, გვითხრეს, რომ საკლასო ოთახები და აუდიტორიები ცოტა ხნით, უფრო კი განუსაზღვრელი ვადით, დაიხურა რეალური შეხვედრებისთვის და...

შიში ფორმაცვალებადი სიტყვაცაა. ხან რას ახლავს და ხან რა იწვევს.

როგორ ვასწავლოთ? – გაჩნდა კითხვა დახურულ კარს მიღმა და შიშმა ფართოდ გაახილა თვალები.

ელექტრონულად, დისტანციურად, ონლაინ – ამ სიტყვებთან გაშინაურებულები ვიყავით, მაგრამ...

რამდენიმე დღეში ეს შიში მრავალმა შესაძლებლობამ ამოავსო და აუდიტორიებში რეალური ყოფნა კომპიუტერის ეკრანებთან სხდომით და ინფორმაციის გადაცემით ჩავანაცვლეთ.

შეიცვალა სასწავლო დიზაინი. ის, რაც ყველაზე მეტად გვხიბლავდა – პირისპირ ყოფნა – გადაიდო. დისტანცია ამოივსო მოციმციმე ეკრანებით.

დავიწყეთ ტექნოლოგიების შიგნით მზერა და მათი აქამდე გამოუყენებელი შესაძლებლობების შესწავლა და გამოყენება.

„გესმით ჩემი?“ – ყველაზე ხშირად ამ სიტყვებს ვიმეორებ, როცა ვირტუალურ აუდიტორიაში ჩემს სტუდენტებს ვესაუბრები. ძალიან დამაკლდა უკუკავშირი, რომელსაც მათთან კომუნიკაციისას ვიღებდი რეალურ აუდიტორიაში. იქ, სადაც თითქმის ყველაფერი ცხადია, სადაც იცი, ვინ არის შენთან, ვინ გისმენს და ვინ გაიგო, რისი თქმა გინდოდა.

თუმცა, ამ შესაძლებლობის მიღმაც დარჩნენ სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებსაც ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ და არც შესაბამისი ინსტრუმენტები აქვთ.

მათ არც კითხვით: „გესმით ჩემი?“ – ვაბეზრებ თავს.

მე ვდარდობ ჩვენი მოსწავლეების ამ არათანაბარ შესაძლებლობაზე. ვდარდობ იმაზეც, რომ არავინ იცის, ხვალ რა გამოწვევას შევეჯახებით; არავინ იცის, გავაგონებთ თუ არა ჩვენს ხმას მათ, ვისაც ჩვენი უნდა ესმოდეს.

მაგრამ მთავარი, რაც ამ დღეებში თითოეულმა ჩვენგანმა ისწავლა, ის არის, რომ სამყარო მართლა აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო და ადამიანებს, არც იზოლაციაში და არც ყოველგვარი შეზღუდვისგან თავისუფლებს, ერთმანეთზე უკეთესი არავინ გვეყოლება.

ხომ გესმით ჩემი?

მოსაზრება

8 | **მაია ჯალიაშვილი**
როცა გაკვეთილი გზაა
პრობლემასთან შეჯახების შიშის გადალახვა, გამოსავლის ძიება ყოველთვის მნიშვნელოვანია – სკოლაშიც, უნივერსიტეტშიც, პროფესიულ სასწავლებელშიც, ოჯახშიც, სამსახურშიც...

18 | **ლელა მანგოშვილი**
კლასის მართვის სტრატეგიები დამწყებთათვის
უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაზე უნდა ვიზრუნოთ და მხოლოდ ამის შემდეგ – მათი აკადემიური მოსწრების დონის ამაღლებაზე.

35 | **თეკლე კაპანაძე**
აღმზრდელ-პედაგოგის ექვსი როლი
აღმზრდელ-პედაგოგებს ევალებათ, ხელი შეუწყონ აღსაზრდელების ქცევით, კოგნიტიურ, სოციალურ და ფიზიკურ განვითარებას. ბავშვები სწავლობენ თამაშით, პრობლემების გადაჭრითა და ექსპერიმენტებით.

43 | **ინა იმედაშვილი**
მოზარდები და წიგნები
დღეს, შეგრძნებებით გადატვირთულ ეპოქაში, რთულია, ძალიან რთულია მოზარდის წიგნთან მიყვანა და ყურების ემოციის კითხვის ემოციით ჩანაცვლება.

50 | **ანა ღვინიანიძე**
რისი მწამს გულით?
ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეები, რომლებიც სწავლას განვითარებასთან აიგივებენ, სიახლის განცდას სწავლისაგან განუყოფელ ნაწილად აფასებენ. შესაბამისად, შექმნილ დაბრკოლებებს მათი გონება უნარიანობის კიდევ ერთხელ დამტკიცების შესაძლებლობად აფასებს.



რესურსი

11 | **ლელა კოტორაშვილი**
სათაურები საკლასო წერის ნაცვლად
განმავითარებელი კომენტარით – სიტყვიერად თუ წერილობით – ყოველთვის აღვნიშნავ თითოეულის სათაურს. ხშირად სათითაოდ ვაკითხებ. წლის ბოლოს სლაიდშოუდ ავკინძავ საკლასო წერისა თუ საშინაო დავალების ნაცვლად დაგროვებულ ჩვენს ამბებსა და განწყობებს. ეს სურვილს გაუჩენთ, უფრო მეტი დაკვირვებით განაგრძონ ცხოვრება.

14 | **მაია ფირჩხაძე**
საგაკვეთილო მინიპროექტების თავისებურებები
პროექტული სწავლება თანამედროვე სასკოლო განათლების მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ის მოსწავლეს კოგნიტიური უნარების განვითარების ფართო შესაძლებლობას აძლევს, ეხმარება სწავლა-სწავლებისთვის საჭირო ძირითადი კომპეტენციების დაუფლებაში, კვლევითი ხასიათის დავალებების შესრულებაში, საგნობრივი ცოდნის გაღრმავებასა და ცოდნის ინტეგრაციაში, ხელს უწყობს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებასა და მისი შინაარსის გაანალიზებას, ტექსტთან მუშაობის სხვადასხვა ხერხისა და მოსწავლეთა ორგანიზების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას.

22 | **ნინო კაპანაძე**
განმავითარებელი შეფასება – „რეფლექსიური დღიური“
თუ მოსწავლეს თანდათანობით შევძენთ თვითშეფასებისთვის საჭირო გამოცდილებას, ის შეძლებს საკუთარი საქმიანობის – სწავლის – მართვას. ეს არ იქნება ერთჯერადი ქცევა. ამ უნარის განვითარებით ის მუდმივად გაუწევს მონიტორინგს საკუთარ სწავლას. სწავლის პროცესი მისთვის უფრო საინტერესო და შედეგიანი გახდება.

38 | **ნათია უჩავა**
კითხვითი უნარების გაუმჯობესება და მოგვარების გზები
მასწავლებლის მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს პრობლემების აღმოფხვრას, მეორე მხრივ კი ეხმარება მასწავლებელს ცოდნის მიღებასა და გამდიდრებაში. პრაქტიკული კვლევის საჭიროება ჩნდება მაშინ, როდესაც არსებული ვითარების შეცვლა გვინდა.

53 | **ნათია ფურცელაძე**
მოუღოდნელი არდადეგები და „საშღელები“
ჩემი მოსწავლეებისათვის ჩვეულებრივი ამბავია, რომ წიგნები იკითხონ. ბუნებრივია, განსხვავებულია მათი დამოკიდებულება, ზოგი ამას სიამოვნებით აკეთებს, ნაწილი ისე ეკიდება, როგორც შესასრულებელ დავალებას.



განათლების ფსიქოლოგია

47

ქეთევან ოსიაშვილი

მასწავლებლის ფავორიტი მოსწავლეები

სამართლიანობის გრძნობა ბავშვებს უკიდურესად აქვთ გამძაფრებული. ისინი კარგად გრძნობენ, რას ფიქრობს მასწავლებელი მათზე, რა დამოკიდებულება აქვს მათდამი და რით განსხვავდება ეს დამოკიდებულება სხვა ბავშვებისადმი დამოკიდებულებისგან.

27-30

გიორგი ჭანტურია

(არა) სწორი მოლოდინების შესახებ

გურამ მეგრელიშვილი

ვის ეღაპარაკებიან ჩვენი შვილები?

მეგი კავთუაშვილი

მშობლები ლისტანსიური სკოლის კედლებთან

ლევან ალფაიძე

კენ რობინსონი ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების შესახებ

გამოცდილება

4

ნინო ლომიძე

მდუმარე ექსპერიმენტი – აცნობიერებენ თუ არა ჩვენი მოსწავლეები გაკვეთილის მნიშვნელობას?

დროის ორმოცდახუთწუთიანი მონაკვეთი ჩვენთვის გეგმის შესასრულებელი, ცოდნის, სასარგებლო, საინტერესო, საჭირო, მნიშვნელოვანი ცნობების გადასაცემი, სწავლა-სწავლების შემადგენელი სხვადასხვა სახალისო აქტივობის შესასრულებელი პერიოდია.

33

თამარ გეგეშიძე

ჩუმები, შეუმჩნევლები, ზარმაცები და უიღბლოები

მთავარია, რომ მე, მასწავლებელი, ვხედავ მათ და ვცდილობ, ნელ-ნელა ჩამოვაშორო ჩუმების, შეუმჩნევლების, ზარმაცებისა და უიღბლოების იარლიყები.

საგანმანათლებლო რესურსი

25

თამთა დოლიძე

კითხვა-პასუხის ხელოვნება

მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, კითხვების დასმა და პასუხების ძიება უნდა შევაყვაროთ, რადგან სწავლის სურვილს წაკითხულისადმი ინტერესის გაჩენა იწვევს. დაინტერესებული მოსწავლე აუცილებლად დაიწყებს კითხვების დასმას, პასუხებისკენ მიმავალ გზაზე კი შესაძლოა დახმარება დასჭირდეს და ჩვენც მზად დავხვდებით.



ნინო ღომიძე

მდუმარე ექსპერიმენტი – აცნობიერებენ თუ არა ჩვენი მოსწავლეები გაკვეთილის მნიშვნელობას?

აცნობიერებენ თუ არა ჩვენი მოსწავლეები გაკვეთილის მნიშვნელობას?

დროის ორმოცდახუთწუთიანი მონაკვეთი ჩვენთვის გეგმის შესასრულებელი, ცოდნის, სასარგებლო, საინტერესო, საჭირო, მნიშვნელოვანი ცნობების გადასაცემი, სწავლა-სწავლების შემადგენელი სხვადასხვა სახალისო აქტივობის შესასრულებელი პერიოდია.

რას აკეთებენ მოზარდები და რას გააკეთებდნენ, მათი ნება რომ იყოს?

იღებენ თუ არა უშუალო მონაწილეობას თავიანთი დღის წესრიგის დაგეგმვაში?

იმაზეც დავფიქრებულვარ, შეუძლიათ თუ არა მათ, სწორად გაანაწილონ დრო, განსაზღვრონ თავიანთი საჭიროებები, შეადგინონ გეგმა და მიჰყვნენ მას.

ამ საკითხებზე ფიქრის დროს ერთი იდეა დამებადა. არ ვიცი, უკვე არსებობს თუ არა ეს ექსპერიმენტი, რომელსაც ახლა გაგიზიარებთ ან თუ არსებობს, რა ჰქვია და ვის აქვს ეს გამოცდილება. ჩემს შემთხვევაში სპონტანურად გაჩენილი იდეა მეორე დღის გაკვეთილის გეგმად იქცა (აქვე დავძენ, რომ სკოლაში, რომელშიც ვასწავლი, სწავლა „ეპოქალურია“, ანუ რამდენიმე კვირის განმავლობაში ტარდება „მთავარი გაკვეთილი“, რომელიც გრძელდება საათსა და 45 წუთს. მეათეკლასელებს ამჯერად „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქა აქვთ. მათთან „ჩვეულებრივი“ გაკვეთილიც მაქვს (ორმოცდახუთწუთიანი) და სწორედ ეს გაკვეთილი გამოვიყენე „რიგგარეშე“ და არაფორმალური აქტივობისთვის.

იდეა

ამ ექსპერიმენტს „ოცდაათწუთიანი მდუმარე ექსპერიმენტი“ დავარქვი და დიდი სიფრთხილით და მღელვარებით შევიტანე მეათე კლასში.

შედეგი კი იმაზე საინტერესო მივიღე, ვიდრე ველოდი ან ვიდრე შემეძლო წარმომედგინა.

ექსპერიმენტის აღწერა

არანაირი წინაპირობა, არავითარი ინვენტარი, არავითარი წინასწარი მომზადება...

გაკვეთილის დაწყებისთანავე დაფაზე დავწერე: „ექსპერიმენტი – მდუმარე ნახევარი საათი“, – და მარტივი წესები:

1. გაქვთ ნახევარი საათი. დაგეგმეთ ისე, როგორც გენებოთ, აკეთეთ, რაც მოგესურვებათ, მთავარია, აკეთოთ რამე სასარგებლო და შემეცნებითი!
2. დაიცავით ორი პირობა: აკეთეთ საქმე მდუმარედ და ნახევარი საათის შემდეგ აღწერეთ, რაში დახარჯეთ თქვენი ცხოვრების ეს 30 წუთი.

დაფაზე დაწერილმა პირველივე წინადადებამ ფაქტობრივად მთელი კლასის ყურადღება მიიპყრო. წესების წაკითხვისთანავე უთქმელად, ზედმიწევნით დაიწყეს იმის კეთება, რაც დაევალათ. სიტყვიერად დავაზუსტე, საკლასო სივრცის დატოვება და, მაგალითად, ბიბლიოთეკაში გადაბარგებაც შეგიძლიათ-მეთქი. მხოლოდ ორი მოსწავლე გავიდა კლასიდან. ერთ-ერთი მოგვიანებით შემოვიდა, კალამი გაიტანა და თავის საქმეს დაუბრუნდა.

ნახევარი საათის განმავლობაში ვაკვირდებოდი საქმიან, მოწესრიგებულ, თავისი საქმიანობით მეტისმეტად გატაცებულ მოსწავლეებს. ერთი ხატავდა, ხუთი წერდა, სამი რაღაცას იწერდა საშინაო დავალების რვეულებში, ერთი უცხო ენის სახელმძღვანელოს ამუშავებდა, რამდენიმე ქართულის დავალებას ასრულებდა, სამი მოსწავლე „არაფრის კეთების ნეტარ ხიბლში“ ჩავარდა. სავსებით ლეგიტიმურად მიეცათ უფლება, მოეწყინათ გაკვეთილზე და არაფერიც არ ეკეთებინათ. მოწყენა ზოგჯერ როგორი სასარგებლო რამაა...

ოციოდე წუთის შემდეგ ამ სამიდან ერთი აგათა კრისტის დეტექტივს კითხულობდა, ერთი – „ვეფხისტყაოსანს“, ერთი კი კვლავ საფიქრალს მისცემოდა.

მოსწავლეები მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ.

არავინ გადასულა ყირაზე, არცერთს არ გამოუყენებია ბოროტად ნდობა, არავინ გასულა (ნებართვის მიუხედავად) გარეთ „გასანიავებლად“.

მოზარდები ისხდნენ და იმას აკეთებდნენ, რაც იმ მომენტში საინტერესოდ და საჭიროდ მიაჩნდათ.

ექსპერიმენტი შედგა და იმაზე საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა.

> მოზარდები ისხდნენ და იმას აკეთებდნენ, რაც იმ მომენტში საინტერესოდ და საჭიროდ მიაჩნდათ. ექსპერიმენტი შედგა და იმაზე საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. ყველა სიტყვასა და შეფასებაზე მეტ სათქმელს მათი ბარათები ამბობს. ბარათები, რომლებიც ნახევარი საათის შემდეგ ჩამაბარეს.

ყველა სიტყვასა და შეფასებაზე მეტ სათქმელს მათი ბარათები ამბობს. ბარათები, რომლებიც ნახევარი საათის შემდეგ ჩამაბარეს:

„ეს 30 წუთი ჩემთვის საკმაოდ პროდუქტიული გამოდგა. ამ დროს მე დავფიქრდი, რა უნდა გამეკეთებინა. როგორც ცნობილია, ადამიანი იცვლება გარემოებებიდან გამომდინარე და გამიჩნდა უდიდესი სურვილი, რომ სკოლის სოციუმში ვიყო ისეთი, როგორიც ვარ სინამდვილეში. ეს არ დამიწერია იმისთვის, რომ ნაწერი მოგწონებოდათ, არამედ ეს ჭეშმარიტი აზრია“.

გიორგი

„ვიმეცადინე ინგლისური, შემდეგ კი გავაგრძელე ფიქრი. ამ თემაზე დაახლოებით ოთხი თვეა ვფიქრობ. საბოლოო პასუხი მაინც ვერ მოვიფიქრე, მაგრამ მივხვდი, რომ რაც მინდა, მე თვითონ უნდა შევძლო, მშობლებისგან და ოჯახისგან დამოუკიდებლად“.

მაშო

„როგორც კი მივხვდი, რა დაწერეთ, მაშინვე ვიფიქრე, რომ წიგნის კითხვას დავიწყებდი. სხვათა შორის, ძალიან გამიხარდა, რადგან სახლში იშვითად ვახერხებ წიგნის კითხვას და ძირითადად ტრანსპორტში ვკითხულობ – მეტროში, ავტობუსში, გაჩერებაზეც, სკოლაშიც, გაკვეთილებზეც, თუ ის თემა არ მაინტერესებს, რასაც იმ გაკვეთილზე გავდივართ. ულრმესი მადლობა ამ გაკვეთილისთვის და ჰო, კმაყოფილი ვარ, ჩემი ცხოვრების ნახევარი საათი წიგნის კითხვაში გავატარე და 10 წუთი – ჩემი ემოციების ამ ფერად ფურცელზე გადმოტანაში“.

სოფო

„ეს ნახევარი საათი ჩემთვის ძალიან სასარგებლო იყო, რადგან შევძელი მათემატიკის და ქართულის საშინაო დავალებების შესრულება. კარგია აზრიანად და ნაყოფიერად ნახევარი საათის გამოყენება“.

მარი

„წავიკითხე „ნადირობა ცხვარზე“, ზუსტად 30 გვერდი, და გავიგე, რას ნიშნავს სიტყვა „პწკარედი“.

სანდრო

„ჩემი 30 წუთი თითქმის დუმილში გავფლანგე და, ამასთან, ჩემს თავს მომავალში წერილი მივწერე. გავფლანგე-მეთქი, ზედმეტი მომივიდა. მივხვდი, რა მნიშვნელოვან დროს ვკარგავ ხოლმე და შედეგად არაფერს ვიღებ. იმ წერილში, რომელიც მომავალ საკუთარ თავს გავუგზავნე, თავს ვამხნევებდი. დაბადების დღეც მივულოცე. ჩამოვწერე მოლოდინები და სურვილები“.

საღომე

„ამ 30 წუთში ნახატი გავაფერადე. მეთქი, ბოლომდე დავასრულებ, მაგრამ მომწყინდა. სულ ვხატავ, ვხატავ... ჰოდა, გადავწყვიტე, წამეკითხა წიგნი, რომელიც მეგობარმა მირჩია. ამ წიგნმა ძალიან ჩამითრია. მეგონა, სერიალს ვუყურებდი. ვერ გავჩერდი. მოკლედ, ძალიან კარგი იყო“.

ვერიკო

„ეს ექსპერიმენტი ძალიან საინტერესოა იმ მხრივ, რომ ვნახოთ, რაში გამოიყენებს ადამიანი იმ უცბად გამოჩენილ თავისუფალ დროს, რომელიც დაგეგმილი არ იყო. ჩემდა სამწუხაროდ, ისეთი პროდუქტიული არ იყო, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან არ მქონდა თან წიგნი ან სხვა დასამთავრებელი საქმე, თუმცა მოვასწარი ერთი ნახატის დამთავრება. იმ სტილში დავხატე, როგორშიც ადრე არ მიცდია“.

ნინო

„საინტერესო იყო. როგორც დავაკვირდი, ყველა ჩუმად იყო. თავიდან დავაპირე გასვლა, მაგრამ მერე კითხვა ვარჩიე. ვიჯექი და ვკითხულობდი. სიჩუმე იყო“.

ნინო

„მე დავწერე ერთი თემა, რომელზეც ამ ბოლო დროს ვმუშაობ. ვირჩევ ხოლმე თემებს და მერე ვამუშავებ. ვწერ. ეს ექსპერიმენტი მომეწონა“.

გიორგი

„პირველი ხუთი წუთის განმავლობაში დაძაბული ვიყავი. ვგრძნობდი, რაღაც უჩვეულო იყო. შემაშინა მდუმარებამ. შემდეგი 25 წუთი კი ვცდი-

დროის ორმოცდახუთწუთიანი მონაკვეთი ჩვენთვის გეგმის შესასრულებელი, ცოდნის, სასარგებლო, საინტერესო, საჭირო, მნიშვნელოვანი ცნობების გადასაცემი, სწავლა-სწავლების შემადგენელი სხვადასხვა სახალისო აქტივობის შესასრულებელი პერიოდია. რას აკეთებენ მოზარდები და რას გააკეთებდნენ მათი ნება რომ იყოს?

ლობდი წამეკითხა წიგნი. ვერ ვიტყვი, რომ დიდი ინტერესით ვკითხულობდი, ამიტომ ხშირ-ხშირად ვათვალიერებდი კლასსა და მოსწავლეებს“.

ნინა

„ეს დრო გამოვიყენე ორი რამისთვის:

1. გაცდენილი გაკვეთილის მასალა აღვადგინე;
2. გავიხსენე ჩემი საყვარელი ციტატები სიმღერებიდან, წიგნებიდან, ფილმებიდან და ბრჭყვიალა ფლომასტერით დავწერე პატარა ფურცლებზე. ვერთობი ასეთი რამეებით და კარგ განწყობაზე მაყენებს. ნუ განმსჯით! ზოგადად, მიყვარს სიჩუმე და სიჩუმის უხერხულობა და მისტიკა. არასდროს ვიტყვი უარს საკუთარ თავთან მარტო დარჩენაზე სიჩუმეში. ამაზე მეტად საინტერესო ისაა, სხვებთან ერთად რომ ხარ მარტო და სიჩუმეს იყოფთ. საინტერესო იყო და მადლობა“.

კესო

„ეს ნახევარი საათი გამოვიყენე გერმანულის თემაზე სამუშაოდ. დრომ საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა. მოვასწარი ნაწერის შემოწმება, გადაკეთება და ბოლომდე მიყვანა. კარგი იქნებოდა, უფრო მეტი დრო მქონოდა. გადათეთრებასაც მოვასწრებდი.

სასიამოვნო იყო კლასში მუშაობა. მომეწონა, ჩვენთვის დრო რომ გამოყავით, რადგან ეს საქმე აქ გავაკეთე და ამიტომ სახლში დამატებით ნახევარი საათი დავისვენებ“.

კატო

„ჩემი ცხოვრების ეს ნახევარი საათი დავხარჯე გერმანულის დავალებაში. ეს ჩემთვის სასარგებლო იყო, რადგან მალე გერმანულის გამოცდა გვაქვს. გარდა ამისა, სახლში რომ მივიდოდი, დავალების გაკეთება, სავარაუდოდ, დამავიწყდებოდა ან დამეზარებოდა. ახლა კი მეტი თავისუფალი დრო მექნება. მადლობა! კარგი იქნება, ამას თუ კიდევ გავიმეორებთ“.

გვანცა

„ნახევარი საათიდან ნაწილი ბიოლოგიის რვეულის შევსებას მოვანდომე. მერე წერის წყურვილმა დამიწყო ღრღნა. თავისუფალი წერის სურვილმა. მაშინ უნდა წერო, როცა გრძნობ, რომ ემოციები მოგიზღვავდა, გულის სიღრმეებში ჩამწყვდეული ემოციები... ჰოდა, მეც გადავწყვიტე ამათი სასეირნოდ გამოშვება. ავიღე ჩემი იაკი კაბეს ჰაიკუების კრებული (საიდუმლო სანტას დიდი მადლობა ამ საჩუქრისთვის), ამოვირჩიე საყვარელი ჰაიკუ, გადავწერე რვეულში და შემდეგ ის დავწერე, რაც ვიგრძენი.

ეს ჰაიკუა:

წვიმის შემდეგ,
შემოდგომის მოჟამულ ცაზე
ღრუბელთ მსვლელობას ჩრდილოეთისკენ
ჩემზე მეტად სევდიანად შეჰყურებდნენ
ჩემი ეზოს ლეღვის ფოთლები.

ცარიელ ოთახში სიჩუმის სიმყუდროვეს მხოლოდ წვიმის ხმა არღვევს. წვიმის, რომელსაც მაღლა ცაში ნაცრისფერ ღრუბლებთან ჯდომა მოსწყინებოდა“.

მაია ჯაღიაშვილი

როცა გაკვეთილი გზაა

> პრობლემასთან შეჯახების შიშის გადალახვა, გამოსავლის ძიება ყოველთვის მნიშვნელოვანია – სკოლაშიც, უნივერსიტეტშიც, პროფესიულ სასწავლებელშიც, ოჯახშიც, სამსახურშიც...

ყველა წარუმატებელი გაკვეთილი ერთმანეთს ჰგავს, ყველა კარგი, ენერგიითა და მუხტით, სიახლეებითა და ძიებით სავსე გაკვეთილი კი სხვადასხვანაირია. საგაკვეთილო დროსივრცეს მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად ქმნიან, თუმცა პედაგოგის წინასწარი ძალისხმევა უმნიშვნელოვანესია. წინასწარ შედგენილი, გააზრებული, რეალისტური, სისტემატიზებული გეგმა, რა თქმა უნდა, ქმნის საიმისო პირობას, რომ გაკვეთილი იქცეს დასახული მიზნის მიღწევის გზად. თუმცა ეს საკმარისი არ არის. ქაღალდს მიჯაჭვულ უსიცოცხლო გეგმას მასწავლებელი და მოსწავლე ერთად შთაბერავენ სულს და ცოცხალ, მფეთქავ, აზრითა და ემოციით დატვირთულ პროცესად აქცევენ.

საგაკვეთილო მიზნების მისაღწევი გზებიც ისეთივე მრავალგვარია, როგორიც ცხოვრებისეული, ისინიც სავსეა დაუგეგმავი, საიდანღაც გამომხტარი დიდი და მცირე დაბრკოლებებით. ეს მოულოდნელობა მასწავლებელმა შეიძლება სტიმულადაც კი აქციოს, რადგან გაუთვალისწინებელი ფაქტორები ქმნის ახალ შესაძლებლობებს, რაც შემოქმედებით ნებას აღვიძებს და საკლასო ატმოსფეროს განმავითარებელ თუ გამაჯანსაღებელ იმპულსებს აძლევს.

ერთ დღეს ფიზიკისა და მათემატიკის ფაკულტეტის პროფესორმა გადაწყვიტა, სტუდენტებისთვის ცხოვრების გაკვეთილი ჩაეტარებინა. მან დაფაზე დაწერა დიდი ერთიანი და სტუდენტებს უთხრა, რომ ის მათ ადამიანურობას, ცხოვრებისთვის საუკეთესო თვისებას გამოხატავდა. შემდეგ ერთიანს ნული მიუწერა და თქვა, რომ ის გამოხატავდა მათ მიღწევებს, რომლებიც ერთიანის მნიშვნელობას აათმაგებდა. შემდეგ კიდევ ერთი ნული მიუწერა, გამოცდილების გამომხატველი, რომლის წყალობითაც ადამიანურობა ასჯერ გაიზარდა. მერე სიფრთხილის გამომხატველი ნული მიამატა, მერე – სიყვარულის აღმნიშვნელი, მერე – წარმატებისა და ა.შ. ყოველი ახალი ნული უფრო და უფრო მეტად აკეთილშობილებდა ადამიანს. მოულოდნელად პროფესორმა ერთიანი წაშალა და დაფაზე მხოლოდ არაფრისმთქმელი ნულები დარჩა. „ადამიანურობის გარეშე ყველა მიღწევა ნულია, – თქვა პროფესორმა, – და არავითარი ღირებულება არ გააჩნია“.

სკოლაში ამგვარი ერთიანი მასწავლებლისა და მოსწავლის ჰარმონიული ურთიერთობაა, რომელსაც მოჰყვება სასწავლო პროცესის ყველა დანარჩენი ელემენტი. თუ ეს ერთიანი, ე.ი. ურთიერთგაგება და პატივისცემა არ არსებობს, ყოველგვარი ძალისხმევა იმისთვის, რომ გაკვეთილი იქცეს გზად შემეცნების რთულ, წინააღმდეგობებითა და აღმოჩენებით სავსე სამყაროში, განწირულია. ამას სასკოლო ცხოვრების ყოველდღიურობაც ადასტურებს. ვერაფერი შეედრება იმ განცდას, როცა მასწავლებელს სჯერა, რომ მოსწავლეები ცოდნის შეძენის გზაზე დააყენა.

ეს ცოდნა მოსწავლეს მხოლოდ კონკრეტული საგნის ათვისებაში კი არა, საზოგადოდ, თვითშემეცნებასა და სამყაროს მრავალფეროვნების აღქმაში ეხმარება, აქცევს გულღია, გულწრფელ ადამიანად, რომელიც მზადაა, მიიღოს და გასცეს, არ ჩაიკეტოს და, შესაბამისად, დესტრუქციულ, უსიცოცხლო, მექანიკურ სისტემად არ იქცეს.

ნებისმიერი საგნის მასწავლებელი უნდა იყოს ერთგვარი შთამაგონებელი, წამახალისებელი მოსწავლის ღირებულებათა ჩამოყალიბების პროცესში, იდენტობის გააზრების ურთულეს გზაზე. სწავლის უნარები უნდა ეფუძნებოდეს ნებისყოფას, რომელსაც პედაგოგი მოსწავლეს უწრთობს, რათა მან გაუძლოს სიზარმაცისა და დაღლილობის შეტევებს.

პედაგოგს, რასაკვირველია, გამოკვეთილი უნდა ჰქონდეს სწავლების გზის ერთგვარი მარშრუტები, უახლოესი ამოცანის ამოხსნისკენ მიმავალი სხვადასხვა ბილიკი, მაგრამ ასევე მონიშნული უნდა ჰქონდეს გლობალური პერსპექტივები, უნდა აცნობიერებდეს თანამედროვე მსოფლიოს პრობლემებს – ზნეობრივსა თუ ეკოლოგიურს. როგორც ჯემალ ქარჩხაძე წერდა, „ზნეობრივი ეკოლოგიის საფრთხე“ ყოველთვის უფრო მეტ საშიშროებას უქმნიდა ადამიანს.



ამ სწრაფად ცვალებად დროში, რომელიც ინფორმაციული ნაკადებით არის გადატვირთული, მასწავლებელს ევალება მუდმივი განახლება და ტრანსფორმაცია ახალი გამოწვევების გადასალახავად. მასშტაბური სააზროვნო კონტექსტი უბიძგებს მოსწავლეს, კრიტიკულად იფიქროს. ეს კი გულისხმობს სხვათა თვალსაზრისების მოსმენას, სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის შეჯერებას, არგუმენტირებულ მსჯელობას და საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. რას ფიქრობენ სხვები? მე რას ვფიქრობ? რატომ ვფიქრობ ასე? – ესენი უნდა იყოს მთავარი კითხვები ნებისმიერ სასწავლო გზაზე. „მიეცით მოსწავლეებს საკეთებელი და არა სასწავლი“, – ასე მახვილგონივრულად გამოკვეთს განათლების მკვლევარი ჯონ დიუი მასწავლებლის ძირითად ამოცანას. მოქმედება, საზოგადოდ, ისეთი ბუნებისაა, რომ თავისთავად გულისხმობს აზროვნებას. ასე რომ, მნიშვნელოვანია, მოსწავლემ იაქტიუროს, რამე აკეთოს. ეს „კეთება“, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფიზიკურ აქტივობას კი არ გულისხმობს, არამედ იმგვარ დავალებას, რომელიც გონებას გააქტიურებს, აამოძრავებს, გახსნის.

ამიტომაც არის გამორჩეული თანამედროვე სასწავლო მეთოდიკაში „აქტიური სწავლება“, რომელიც ფოკუსირებულია არა იმაზე, რას სწავლობენ მოსწავლეები, არამედ იმაზე, როგორ სწავლობენ. ამგვარი მიდგომა მოსწავლეებს აქტიურად რთავს განათლების პროცესში და

> ნებისმიერი საგნის მასწავლებელი უნდა იყოს ერთგვარი შთამაგონებელი, წამახალისებელი მოსწავლის ღირებულებათა ჩამოყალიბების პროცესში, იდენტობის გააზრების უნთუღეს გზაზე.

რთული სააზროვნო სისტემების ამოქმედებას უწყობს ხელს. მასწავლებელმა უნდა გამოიწვიოს მოსწავლეები, რათა მათ გაუჩნდეთ სურვილი, გამოვიდნენ პერსონალური, კომფორტული, ჩვეული სიმყუდროვის ზონიდან და უცნობ გზას თამამად, უშიშრად დაადგნენ. ამგვარად, იზრდება მოსწავლეთა პასუხისმგებლობა საკუთარი თავის წინაშე, მათ უჩნდებათ განცდა, რომ მათზევეა დამოკიდებული, რას და როგორ ისწავლიან, შესაბამისად, ისიც, მიაღწევენ თუ არა წარმატებას.

აქტიური სწავლების ყველაზე დიდი უპირატესობა ის არის, რომ მოსწავლეს სწავლების პროცესში ჩართავს. ის გავლენას ახდენს იმაზე, რაც კლასში ხდება. მოსწავლე თანდათან ეჩვევა უცნობ გზაზე სიარულს, გრძნობს, რაოდენ მნიშვნელოვანია დაკვირვება, გამოცდილების მიღება, გზიდან გადახვევა, დაბნევა, შეცდომები, სხვებთან თანამშრომლობა, სხვათა რჩევების კრიტიკული განხილვა. რუსთაველი ამბობს: ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროსო. ამასაც რუსთაველს დავესესხები: რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასაო. საბოლოო ჯამში, მაინც პიროვნების სიმტკიცესა და ნებისყოფაზეა დამოკიდებული, იქცევა თუ არა ახალი გამოცდილება ჩვევად, უნარად, რომელიც მოსწავლეს ერთ ადგილზე თავბრუდამხვევი ტრიალისგან იხსნის. პრობლემასთან შეჯახების შიშის გადალახვა, გამოსავლის ძიება ყოველთვის მნიშვნელოვანია – სკოლაშიც, უნივერსიტეტშიც, პროფესიულ სასწავლებელშიც, ოჯახშიც, სამსახურშიც... პიტერ ლუკანტონის, პედაგოგისა და ტრენერის, მოსწრებული შენიშვნით, მასწავლებელი უნდა გაექცეს იმ როლს, რომელიც გულისხმობს ისე სწავლებას, თითქოს მოსწავლეს კოვზით აწვდიდეს ულუფებს. ამ შემთხვევაში მოსწავლეს მხოლოდ კოვზის ფორმა დაამახსოვრდება და ვერაფერს ისწავლის. მასწავლებელმა მოსწავლე დამოუკიდებლად სწავლას უნდა მიაჩვიოს. სასწავლო ღონისძიებების განხორციელებისას ხშირად ჩნდება კითხვა: ფიქრობენ თუ არა მასწავლებლები იმაზე, რომ ძალიან ბევრს შრომობენ კლასში? ისინი ერთსულოვან თანხმობას იტყვიან და თუ კიდევ ჩაეკითხებით, მძიმეა თუ არა მათი ჯაფა, ამაშიც დაგეთანხმებიან. ეს კი „მატყუარა კვების“ დასტურია, ანუ მასწავლებელი ისე ეხმარება მოსწავლეს, იმდენ ძალისხმევას ახმარს, რომ მას დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას აღარ აძლევს. მოსწავლეები თავად აღარაფერს აკეთებენ და „კოვზით“ მიწოდებული ლუკმის მოლოდინში არიან.

„კოვზით კვება“ ხშირად განიხილება როგორც სწავლების ერთ-ერთი ტრადიციული და მოძველებული მეთოდი. ის, რა თქმა უნდა, ყველას გამოუცდია, რადგან იოლი და ხელმისაწვდომია. იუდიტ ნოირინგი თავის სტატიაში „კოვზით კვების მეთოდს“ შთამბეჭდავი ანალოგიით წარმოაჩენს: „ხანდახან მოსწავლეთა ჯგუფი მეჩვენებოდა... ბარტყებით სავსე ბუდედ. ბარტყებით, რომლებიც ფართოდ აღებდნენ ნისკარტებს, რათა მშობლის მოტანილი საკვები გადაეყლაპათ“. თუ მასწავლებელი მუდამ ამ მეთოდით ისარგებლებს, ვეღარ დავადანაშაულებთ მოსწავლეებს, რომლებიც პირდაღებულნი ელიან, როდის „გამოკვებავენ“. მოსწავლეები ხომ, როგორც წესი, იღებენ ყველაფერს, რასაც მიაწვდით, იმიტომ, რომ ეს ყველაზე იოლი გზაა, გამოჩნდნენ მორჩილ, ბეჯით მოზარდებად, რომლებიც უსიტყვოდ ნთქავენ საზრდოს.

აღმზრდელმა, მასწავლებელმა კი ეს საზრდო შესაძლოა დიდი წვალებით, შრომითა და გარჯით მოიპოვა (გააჩნია, იშურებს თუ არა ძალისხმევას ხარისხიანი საკვების მოსაპოვებლად. თუმცა ძალისხმევასთან ერთად, პედაგოგს, რა თქმა უნდა, განათლება, ერუდიცია, ინტელექტიც სჭირდება). მაგრამ გადის ხანი და „კოვზით კვების“ ეტაპი მთავრდება. მოსწავლე იძულებულია, იმოქმედოს დამოუკიდებლად, დასვას კითხვები, გაიაზროს, გაარკვიოს. ეს ხშირად ემართება მოსწავლეს, როდესაც დაწყებითი საფეხურიდან საბაზისოზე გადადის. ამ მდგომარეობას, როცა თითქოს სახლიდან გაგდებენ და გეუბნებიან, რომ ამიერიდან მარტო უნდა გაუყვე გზას, შეიძლება შოკი ვუწოდოთ. ამიტომ უფრო ადრეც უნდა ეცადოს მასწავლებელი, მოსწავლე უცნობ გზაზე მარტო სიარულს მიაჩვიოს. დაე, წაიქცეს, მაგრამ დამოუკიდებლად წამოდგომა ისწავლოს, დაცემის ტკივილიც განიცადოს და წამოდგომის სიხარულიც, საკუთარი ძალის შეგრძნებამ აღტაცება მოჰგვაროს და დაარწმუნოს, რომ „საკვებს“ დამოუკიდებლადაც მოიპოვებს, თუ გამბედაობა ეყოფა. გახსოვთ აღმოსავლური იგავი? მიეცით ადამიანს თევზი და დაანაყრებთ ერთი დღით, მაგრამ ასწავლეთ მას თევზის ჭერა და ეს მას მთელი ცხოვრება დაანაყრებს.

დეკა კოტორაშვილი

სათაურები საკლასო წერის ნაცვლად

თვე, რიცხვი, საკლასო წერა ან საშინაო დავალება – რვეულებში ყოველ დღესა და სამუშაო სტილს, როგორც წესი, ამგვარად გამოვყოფთ. მსურს, გაგაცნოთ მეთოდი, რომელიც ადრეც გამომიყენებია, თუმცა ამჯერად მთელი სემესტრი ამ ფორმით ვიმუშავეთ და გამოცდილების გაზიარების დრო დადგა. აღწერილობა ამგვარია: საკლასო წერისა და საშინაო დავალების ნაცვლად სათაურებს ვიგონებთ, რომლებიც დღის განწყობას ან კონკრეტულ ამბავს გვაცნობს. სტატიის დასაწერად ხელი მოვხვიე ორმოცდაათამდე რვეულს და სათითაოდ ამოვიწერე სათაურები. საკლასო წერისთვის ორმოცამდე საერთო სათაური დაგვგროვებია, საშინაო დავალებისთვის კი ბავშვები ინდივიდუალურ სათაურებს იგონებდნენ. ერთგვარი მცირე კვლევა გამომივიდა: შევამჩნიე, რომ ორი-სამი მოსწავლე კვლავ „საშინაო დავალებით“ იწყებდა ნაშრომს, შესაბამისად, მათთან დავალების გასააზრებლად მუშაობა იყო საჭირო; ზოგი სექტემბერშივე ხალისით აჰყვა წამოწყებას და ფანტაზიას გასაქანი მისცა, ზოგი კი სათაურების მოფიქრებით მხოლოდ დეკემბერში დაინტერესდა.

კიდევ უფრო დაწვრილებით რომ გიამბოთ, მაგალითად, 17 სექტემბრის სათაურად დაგვიწერია **მზე კაშკაშებს**. ზამთრის ცივ დღეებში გულს სიხარულით მივსებს სექტემბრის კაშკაშა, თბილი დღის გახსენება. „18 სექტემბრის“ ქვეშ ყველა ბავშვის რვეულში **სანდროს ცხვირი** მხვდება. ცოტა არ იყოს, დამაბნეველი სათაურია, მაგრამ ჩვენ – მე და ჩემს ოცდაექვს მოსწავლეს – გვესმის მისი მნიშვნელობა: იმ დღეს სანდროს გაკვეთილზე ცხვირიდან სისხლი წასკდა და ყველას ყურადღება მიიქცია. დაფაზე მთავარ მოვლენადაც იმიტომ მოხვდა, რომ უხერხული სიტუაცია შეიძლება ერთგვარ თავგადასავლად იქცეს და კლასის ისტორიაშიც ჩაიწეროს. 26 სექტემბერი – **ანასტასიას დაბრუნება**. როცა ბავშვი რამდენიმე დღე სკოლაში არ დადის, მისი დაბრუნება ნამდვილად უნდა აღინიშნოს. **ნიკა მოგვენატრა** – როდესაც ავადმყოფობის გამო სკოლას აცდენენ, ესეც უნდა შევნიშნოთ. **აი ია** – 15 ოქტომბერი. პირველკლასელებმა ასო-ბგერების შესწავლა დაიწყეს და ამის შესახებ მესამეკლასელებს ვუამბობ. დამეთანხმებით, სადღესასწაულო მოვლენაა. 18 ნოემბერი – **მარი მასი მოგვენატრა**. კლასი დამრიგებლის გარეშე უკაპიტნო გემს ემსგავსება. 28 ოქტომბერს კი ბოლო გაკვეთილის





> სათაურის შერჩევას ერთი წუთიც არ სჭირდება. სამაგიეროდ, ამ მოკლე ხანში რამდენ რამეს სწავლობენ: მთავარ მოვლენას გამოკვეთენ და ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს ამჩნევენ; აკვირდებიან გარემოსა და ბუნებას; ეჩვევიან ერთმანეთისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას; რაც მთავარია, გულწრფელ ურთიერთობას ვთავაზობ და იმავეს მიბრუნებენ.

განწყობა ამგვარად გამოგვიხატავს: **დავიღალეთ. საკლასო ოთახში ბურღია.** სკოლაში სარემონტო სამუშაოების გამო შეჭრილ ცვლაში მოგვიწია სწავლა. შუა გაკვეთილზე პირველკლასელების საკლასო ოთახში ბურღით ტანსაცმლის საკიდი მიამაგრეს. აბა, წარმოიდგინეთ, როგორ გამხიარულდებოდნენ. ხშირად, როცა რაღაც სასაცილო ხდება, მასწავლებელი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. კლასი თუხთუხებს, სიცილი მძლავრობს და ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს სადაცაა მოზღვავებული ენერგია წაგლეკავს. სიცილის მიზეზის მთავარ მოვლენად ქცევა ვითარების განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა. სანამ დაფაზე სათაურს ვწერ და ბავშვები რვეულში იწერენ, სიცილიც ნაღვერდალივით მინავლდება ხოლმე. ესეც ასე. სამუშაო განწყობა ბრუნდება. თანაც ყოველთვის გვეღიმება 22 ნოემბრის სათაურის წაკითხვისას. **ეზოში უპატრონო, ხალებიანი ლეკვია** – განა რამდენი დილა იწყება ისე, სკოლის კარში შესულს ფეხებში პატარა ლეკვი გაგებლანდოს? 27 ნოემბერს ვწერ ამ სათაურს და თან ვკითხულობ, კიდევ ვინმეს ხომ არ შეუმჩნევია ხალებიანი ლეკვი. **ხვალ დასვენებაა** – მასწავლებლებს ბავშვებზე არანაკლებ გვიყვარს პარასკევი. 8 ნოემბერი, შაბათ-კვირის გამო, ერთად გვიხაროდა. **ორი ქართული** – ხუთშაბათს წყვილი გაკვეთილის გამო ველოდებით. 7 ნოემბერი ამგვარად გამოარჩიეს, რადგან „ორი ქართული“ ჯგუფურ სამუშაოს და საინტერესო დღეს გულისხმობს. მანდარინებით, ვაფლით, ცხიმიანი, ტკბილი თუ მარილიანი ორცხობილებით, საწუწნი კანფეტებით... განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მასწავლებლები ვართ განებივრებულები. ერთ მშვენიერ დღეს, საშინაო

> განმავითარებელი კომენტარით – სიტყვიერად თუ წერილობით – ყოველთვის აღვნიშნავ თითოეულის სათაურს. ხშირად სათითაოდ ვაკითხებ. წლის ბოლოს სლაიდშოუდ ავკინძავ საკლასო წერისა თუ საშინაო დავალების ნაცვლად დაგროვებულ ჩვენს ამბებსა და განწყობებს. ეს სურვილს გაუჩენთ, უფრო მეტი დაკვირვებით განაგრძონ ცხოვრება.

დავალების შემოწმებისას, შოთას მაგიდას რომ მივუახლოვდი, მოულოდნელად მერხის ბადიდან შოკოლადის ფილა ამოაფრიალა. ჰოდა, იმ დღის სათაურიც წამში დაიბადა – **შოკოლადი ამოხტა. ზამთარი დადგა და ქარიშხალი ამოვარდა** – 2 დეკემბერს ასეთი სათაური შევურჩიეთ.

სათაურებისთვის იდეებს თავდაპირველად მე ვთავაზობდი. ახლა უკვე ერთად ვფიქრობთ და, მართალი გითხრათ, ცოტა გართულდა საქმე. რამდენიმე ვერსია ჩნდება და ცდილობ, გული არავის დასწყდეს. ერთხელ სამი სათაურიც კი დავწერეთ. იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენები გამოკვეთეს, თქვენც ასე მოიქცეოდით: **მასწავლებლის მაგიდაზე შოკოლადია, მუსიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა ვიდეო გადაგვიღო, კლასში ნინას დაიკოა**. პირველი სათაური შოთას ნაჩუქარ შოკოლადზე გვიყვება. რამდენიმე დღე ჩანთით დავატარებდი და 27 ნოემბერს მუსრი გავავლეთ. ამავე დღეს რამდენიმე წუთით ადრე მივედი სკოლაში. მუსიკის გაკვეთილი ჰქონდათ. ფეხზე იდგნენ და მღეროდნენ. კარს მინა დაჰყვება და მის მიღმა ბავშვები ჩანდნენ. ვიდეო გადავუღე. სათაურების წერისას რამდენიმემ სწორედ ეს მიიჩნია დღის მთავარ მოვლენად. და მესამე – ვერაფრით დავტოვებდით გულგრილად ჩვენს გაკვეთილზე ნინას დაიკოს სტუმრობას.

ვფიქრობ, მეთოდის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შეგექმნათ. როგორც მონათხრობიდან გამოიკვეთა, მიზანი მრავალგვარია.

სათაურის შერჩევას ერთი წუთიც არ სჭირდება. სამაგიეროდ, ამ მოკლე ხანში რამდენ რამეს სწავლობენ: მთავარ მოვლენას გამოკვეთენ და ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებს ამჩნევენ; აკვირდებიან გარემოსა და ბუნებას; ეჩვევიან ერთმანეთისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას; რაც მთავარია, გულწრფელ ურთიერთობას ვთავაზობ და იმავეს მიბრუნებენ.

კიდევ უფრო საინტერესოა ინდივიდუალური სათაურები, რომელთა საშუალებით უფრო ახლოს გავიცანი თითოეული მოსწავლე: ზოგი მეოცნებეა, ზოგი – პოეტური, ზოგი – გულუბრყვილო, ზოგი – გონებამახვილი და ენამოსწრებული. საშინაო დავალების სათაურები გადაიქცა ერთგვარ მესიჯებად, რომლებსაც ბავშვები მიგზავნიან, მაგალითად: **ცუდი დღე, ჩემი დეიდა ჩამოვიდა, ბედნიერი ოჯახი, დღეს ჩემთან ნათესავი მოვიდა, სკოლა მომენატრა, დედა ხინკალს აკეთებს, ადვილი დავალება გვაქვს, სასიამოვნო ხედი, სახლში მივედი და ეგრევე ვმეცადინეობ, მე წავიქეცი, ღამით ვმეცადინეობ, სახლში არავინ არის, დედაჩემი მაგარი მასწავლებელია, მიტინგი, ახალი ბუცები მაქვს, მიყვარს ვარჯიში, გუშინ ცეკვაზე ვიყავი, სახლი მარტომ გავაღე, მარი მასი შეგვხვდა, გუშინ „ლეგენდა" დამარქვეს, მე ვიტკინე ტუჩი, ერეკლე ცუდად არის, ჩაის გაკეთება ვისწავლე, გუშინ სამი ლელო დავდე, ბიცოლა მასწავლებელია, პაპაჩემი – სახლის მასწავლებელი, დედის ალერსი, ლიზის კბილი მოსძვრა, კვირას ახალი ძაღლი შემხვდა, გუშინ სასაცილო დღე იყო** – თითოეულში დაშიფრულია მრავლისმთქმელი ამბები, ჩემგანაც მათ ამოკითხვას და დანახვას მოელიან.

ბუნების ბავშვებისეული აღქმა კიდევ უფრო ამაღლებულ განწყობაზე მაყენებს: **ქარი შრიალებს, ფოთლები ძირს ყრია, აცივდა, ზამთრის პირველი თვე, მზიანი დღე, დეკემბერი მობრძანდა, ბედნიერი შემოდგომა, ოქტომბერი გარბის, ცივი ზამთარი, ძალიან აცივდა, მგონი, მალე თოვლიც მოვა, ვერ გავიგე, წვიმს თუ თოვს, მატყუარა მზე, ხვალ იმედია, მზე გამოანათებს, ხვალ თოვლია, ზამთარი გვიახლოვდება, ნოემბერმა შემოიჭყიტა, ისევ ცუდი ამინდია, ღრუბლები** – თუ დამღღელი დღე ლექსების საკითხავად დროს აღარ მიტოვებს, ასეთი ფრაზები სულს მინათებს.

განმავითარებელი კომენტარით – სიტყვიერად თუ წერილობით – ყოველთვის აღვნიშნავ თითოეულის სათაურს. ხშირად სათითაოდ ვაკითხებ. სტატიისთვის სათაურების თავმოყრამ კიდევ ერთი გაკვეთილის იდეა შვა: წლის ბოლოს სლაიდშოუდ ავკინძავ საკლასო წერისა თუ საშინაო დავალების ნაცვლად დაგროვებულ ჩვენს ამბებსა და განწყობებს. ეს სურვილს გაუჩენთ, უფრო მეტი დაკვირვებით განაგრძონ ცხოვრება.

მაია ფირჩხაძე

საგაკვეთილო მინიპროექტების თავისებურებები

პროექტული სწავლება თანამედროვე სასკოლო განათლების მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ის მოსწავლეს კოგნიტიური უნარების განვითარების ფართო შესაძლებლობას აძლევს, ეხმარება სწავლა-სწავლებისთვის საჭირო ძირითადი კომპეტენციების დაუფლებაში, კვლევითი ხასიათის დავალებების შესრულებაში, საგნობრივი ცოდნის გაღრმავებასა და ცოდნის ინტეგრაციაში, ხელს უწყობს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებასა და მისი შინაარსის გაანალიზებას, ტექსტთან მუშაობის სხვადასხვა ხერხისა და მოსწავლეთა ორგანიზების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას.

მინიპროექტების რეალიზებისას აუცილებელია განსაზღვრული ალგორითმის შემუშავება, კერძოდ:

- პრობლემის გამოკვეთა; მიზნების დასახვა; ინფორმაციის მოძიება; სხვადასხვა ხასიათის წყაროებთან მუშაობა; მიღებული ინფორმაციის სისტემატიზება და გაანალიზება; შედეგების გაფორმება; მიღებული შედეგების წარდგენა/დამუშავება; სამუშაოს პრაქტიკული, ღირებულებითი მნიშვნელობის განსაზღვრა; სამომავლო პერსპექტივების გამოკვეთა შემდგომი კვლევითი საქმიანობისთვის და სხვ.

მინიპროექტების ფორმას უმთავრესად მიმართავენ სწავლის საბაზო და ზედა საფეხურებზე არასაგაკვეთილო, ე.წ. კლასგარეშე აქტივობის ფარგლებში, თუმცა არანაკლები წარმატებით შეიძლება მისი გამოყენება საგაკვეთილო საქმიანობაშიც. სწავლის როგორც საშუალო, ისე საბაზო საფეხურის მოსწავლეებს უკვე აქვთ ინფორმაციის მოძიებისა და გაანალიზების, მისი სათანადოდ გაფორმებისა და აუდიტორიისთვის წარდგენის უნარები, ამიტომ მასწავლებლებს აქტიურად შეგვიძლია მინიპროექტების ჩართვა საგაკვეთილო პროცესშიც. მოსწავლეთა მოტივირებისა და ინტელექტუალური სამუშაოს წარმართვისთვის საჭიროა მხოლოდ განსაკუთრებული სიტუაციის, უმთავრესად – პრობლემურის, შექმნა (მისი სხვადასხვა ვარიანტის გათვალისწინებით), მინიპროექტების თავისებურებათა გათვალისწინება და შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტების მოშველიება.

რა თავისებურებები აქვს მინიპროექტებს? მინიპროექტები შემოქმედებითი ან პრობლემური ხასიათის დავალებებია, რომელთა შესრულებისას:

- უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის ასაკობრივი და ფსიქიკური თავისებურებები (ანუ დავალება უნდა შეიცავდეს თამაშის და შემოქმედებით ელემენტებს);
- მათ არ უნდა დაეთმოს ძირითადი საგაკვეთილო დრო (უნდა იყოს სწრაფად შესასრულებელი);
- ხელს უნდა უწყობდეს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოვლენას, მათ შემოქმედებით ზრდას (დაფუძნებული უნდა იყოს მოსწავლეთა საჭიროებებსა და მოტივაციაზე).

შესაბამისად, მინიპროექტების ხასიათი დამოკიდებულია:

- მოსწავლეთა მომზადების დონეზე (უნდა ეყრდნობოდეს მოსწავლის ძირითად, ფუნდამენტურ ცოდნას);
- შესასწავლი მასალის შინაარსზე (გათვალისწინებული უნდა იყოს საგნობრივი მოთხოვნები);

> პროექტული სწავლება თანამედროვე სასკოლო განათლების მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ის მოსწავლეს კოგნიტიური უნარების განვითარების ფართო შესაძლებლობას აძლევს, ეხმარება სწავლა-სწავლებისთვის საჭირო ძირითადი კომპეტენციების დაუფლებაში, კვლევითი ხასიათის დავალებების შესრულებაში, საგნობრივი ცოდნის გაღრმავებასა და ცოდნის ინტეგრაციაში.

- სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმაზე (ანუ დასაგეგმავია მოსწავლეთა ორგანიზაციის როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური/წყვილებში მუშაობის ფორმა).

ისტორიის შესწავლა სწავლის როგორც საბაზო, ისე საშუალო საფეხურზე ფართო შესაძლებლობას იძლევა ამ მიდგომის რეალიზებისთვის.

პედაგოგიური პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საგაკვეთილო მინიპროექტები, მათი თავისებურებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული წარმატებით გამოიყენება რამდენიმე შემთხვევაში:

1. **განსაზღვრული თემის დასრულების შემდეგ.**
ამ ეტაპზე მოსწავლეებს შეუძლიათ შეასრულონ სხვადასხვა სახის სამუშაო.
მაგალითად:
   ა) ძველი მსოფლიოს ისტორიის თემატიკის დამუშავების შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობთ შემოქმედებით სამუშაოს, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, გამოიყენონ სხვადასხვა სიმულაციური ხერხი:
   - მოსწავლეები ახდენენ უძველესი საწერი მასალების იმიტაციას (მაგალითად, თიხის ფირფიტების ნაცვლად შეუძლიათ წარმოადგინონ პლასტილინით დაფარული ფურცელი, რომელზეც „ამოკაწრული“ იქნება „ლურსმული“ ტექსტი, ან პაპირუსის ნაცვლად – ფურცელი, რომელსაც საღებავით დაფარავენ და ზედ ხის წკირით გააკეთებენ წარწერას, ან აბრეშუმის ნაჭერი, რომელზეც ფუნჯითა და საღებავით იქნება გამოსახული რაიმე სიმბოლო და სხვ.);
   - წარმოდგენილ საწერ მასალებზე წერენ ისეთი შინაარსის ტექსტს, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ პერიოდთან (კონრეტულ თემასთან) იქნება დაკავშირებული (ეს შეიძლება იყოს რამე ამბავი ან სამეურნეო ხასიათის ჩანაწერი და სხვ.). აუდიტორიისთვის დავალების წარდგენისას უნდა გამოჩნდეს მოცემული პერიოდის კონტექსტუალური ცოდნა და საკითხის მიმართ მოსწავლეთა საკუთარი, ემოციური დამოკიდებულება;

   ბ) დავალების უფრო რთული ფორმაა რომელიმე დაკარგული ხელნაწერის ან ტექსტის ფრაგმენტის „შედგენა“. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, „უცნობი ავტორის“ ჩანაწერი ბერძენ-სპარსელთა ომის შესახებ, ან იულიუს კეისრის მოგონება ჩრდილოეთ ევროპაში ლაშქრობაზე, ალექსანდრე მაკედონელის წერილი არისტოტელეს მიმართ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური ამბების შესახებ და სხვ.

   გ) შეიძლება დავალების უფრო მეტად გართულებაც. მაგალითად, მოსწავლეებს ვავალებთ, შეამოწმონ თანაკლასელების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „სანდოობა“. ამ დროს მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და ყურადღებით შეისწავლიან ინფორმაციას, გააანალიზებენ, კრიტიკულად განიხილავენ და შეეცდებიან იპოვონ შეცდომები. მუშაობისას ისინი გამოთქვემენ მოსაზრებებს, მოჰყავთ არგუმენტები, აფასებენ თანაკლასელთა ნამუშევრებს, – ერთგვარ პატარა „ექსპერტებად“ იქცევიან.

   დ) ამ ეტაპის მნიშვნელოვანი ნაწილია არჩევანის თავისუფლება: მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ დავალების არჩევა, მაგალითად, რთული დავალებების მოფიქრება სხვადასხვა თემაზე (ქრონოლოგიაზე, კულტურის ელემენტებზე და სხვ.) და მათი წარმოდგენა ისტორიული კონტექტის დაცვით (თუნდაც მოცემულ თემაზე საკუთარი ილუსტრაციის შექმნით).

2. **სახელმძღვანელოს განსაზღვრული ნაწილის (თავის) დასრულების შემდეგ.**
ამ დროს მოსწავლეებს ვთხოვთ არა ცალკეული თემების ცოდნას, არამედ ცოდნისა და უნარების მთელი კომპლექსის გამოვლენას. ასეთი დავალება სრულდება სახელმძღვანელოს კონკრეტული ნაწილის, მაგალითად, „შუა საუკუნეების“, შესწავლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც მოსწავლე გაეცნობა

> მინიპროექტი საგაკვეთილო პროცესის აქტიურ ნაწილად იქცევა, ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო სივრცეში წარმატების განცდას და მოსწავლეთა მოტივაციის პოზიტიურ დინამიკას, ამიტომ მათი გამოყენება მისასალმებელი და სასარგებლოა.

კათოლიკური ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთობას, ჯვაროსნულ ომებს, ფეოდალიზმის ფორმირებას და ა.შ. ამ ეტაპზე მათ შეგვიძლია შევთავაზოთ შემოქმედებითი ხასიათის დავალებები:

ა) მოიგონონ და დაწერონ თავიანთი „რაინდის ისტორია"; მოიფიქრონ მისი ბიოგრაფია, გერბი, დროშა; „ჩასვან" ის რეალურ ისტორიულ გარემოში; „გაამგზავრონ" რეალურ ჯვაროსნულ ლაშქრობაში; შეადგინონ მისი მოგზაურობის მარშრუტი; აღწერონ რეალური ბრძოლა... და ეს ყველაფერი – შეძლებისდაგვარად, იმდროინდელი მანუსკრიპტის სტილში. შეიძლება, დაურთონ საკუთარი ილუსტრაცია, პორტრეტი, წერილი, ჩანაწერი, დღიური და ა.შ.

ბ) ცხადია, მოსწავლემ ნაშრომი უნდა გააცნოს თანაკლასელებს და, ასე ვთქვათ, „დაიცვას";

გ) მინიპროექტის კიდევ უფრო რთული ფორმაა სხვადასხვა ისტორიული წყაროს (დოკუმენტების, ნარატივების) შედარებითი ანალიზი. ამ დროს მოსწავლეები:

- შეისწავლიან ავტორთა ბიოგრაფიას, ნაშრომის ისტორიულ კონტექსტს ან ფართო ისტორიულ ფონს (ისტორიულ ვითარებას, რომელშიც მიმდინარეობს წყაროში/ნარატივში აღწერილი მოვლენები), აანალიზებენ ამ ვითარებას, მიუთითებენ ნაშრომის შესრულების შესაძლო გარემოებებზე და ა.შ. დავალების შესრულებისას მოჰყავთ შესაბამისი ციტატები, გამოაქვთ დასკვნები, ურთავენ ვიზუალურ მასალას, გრაფიკულ სიმბოლოებს, შეიძლება შეადგინონ კოგნიტიური ცხრილები და ა.შ. ამ მიდგომით მოსწავლეები მოცემული ნაშრომის ერთგვარი „თანაავტორები" ხდებიან.

დ) ასეთი სამუშაო შედარებით მეტ დროს მოითხოვს, ამიტომ შეიძლება, მასწავლებელმა ის საშინაო დავალებად მისცეს მოსწავლეებს, რათა მათ მეტად გამოავლინონ საკუთარი ინდივიდუალობა.

3. **როდესაც გვსურს, მოსწავლეებს „გავაზომვინოთ" საკუთარი მიღწევები, ვასწავლოთ საკუთარი შედეგების შეფასება.** მაგალითად, სწავლის საბაზო საფეხურზე მინიპროექტი წარმატებით განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მოსწავლემ:



- გამოავლინა და, რაც მთავარია, დაინახა ისტორიული ცნებებისა და წარმოდგენების ფლობის თუნდაც მინიმალური დონე (მაგალითად, ამჟამად მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, მხოლოდ VII კლასში მოსწავლე გაივლის პერიოდს ადამიანის წარმოშობიდან ახ. წ. VI საუკუნემდე. ამრიგად, VII კლასის მოსწავლე მინიპროექტის განხორციელებისას გამოავლენს აღნიშნული პერიოდის მოვლენებისა და შესაბამისი ისტორიული ცნებების ცოდნის თუნდაც მინიმალურ დონეს);
- გამოთქვა საკუთარი მოსაზრება, მოიყვანა არგუმენტი (ასაკისა და სწავლის საფეხურის შესაბამისად);
- წარმოაჩინა მოცემული პრობლემის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება – სხვა ეპოქის ადამიანებისადმი ემპათია, ან ისტორიული პირებისადმი თანაგანცდა, ან დამოკიდებულება კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ;
- შეძლო ისტორიული მოვლენების გაგება და გააზრება, გარდასული ეპოქის ადამიანის ქცევის მოტივების განსაზღვრა;
- თავისი მიზნები და შეხედულებები შეუსაბამა ისტორიულად წამროშობილ სისტემებს;
- შეძლო თავისი და სხვისი ნაშრომების შეფასება (ეთიკური თუ პრაგმატული კუთხით);
- შეძლო კონსტრუქციული თანამშრომლობა მასწავლებელთან, თანაკლასელებთან (თავისი და სხვისი როლის განსაზღვრა, საკუთარი წვლილის შეფასება, საერთო შედეგების წარმოჩენა);
- აიმაღლა ცოდნის ინტეგრაციის ხარისხი (პრობლემური და შემეცნებითი ხასიათის ამოცანების გადაწყვეტა);
- გამოამჟღავნა სახელმძღვანელოსა და დამატებით მასალაზე მუშაობის უნარი (ანალიზი, არგუმენტირება, გრაფიკული მახასიათებლების, ტექსტური და სხვა სახის ინფორმაციის შედგენა/წარმოდგენა);
- შეძლო საკუთარი საქმიანობის კონტროლი, სწორად შესრულებული დავალების შეფასება, გეგმის მიხედვით საქმიანობა;
- შეძლო ინფორმაციის ჩაწერა, გადაწერა, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა, თეზისებისა და კონსპექტების შედგენა, პრობლემის ფორმულირება, დასკვნების გამოტანა);
- შეძლო მასალის ელექტრონული ფორმით მოძიება; თანაკლასელებისა და მასწავლებლის გამოკითხვა, ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
- გამოიყენა ადრე ნასწავლი მასალა, მოიშველია რეპროდუქციული და პროდუქციული კითხვები;
- გამოამჟღავნა ლოგიკური აზროვნება, ანალოგიების, კლასიფიცირების გამოყენების უნარი;
- გამოავლინა-განივითარა კვლევითი უნარები;
- შეძლო შედეგების წარდგენა – ნაშრომის დაცვა (საუბრის, დიალოგის, პრეზენტაციის გამართვა, დისკუსიის წარმოება);
- გამოამჟღავნა სისტემური ცოდნა;
- გამოამჟღავნა-განივითარა ისტორიული ცოდნა და საგნობრივი აპარატი, შემეცნებითი ინტერესი;
- გამოამჟღავნა ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიული მონაცემების, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ცოდნა, შეძლო ქრონოლოგიის განსაზღვრა, ისტორიის ძირითადი პერიოდების შესახებ ცოდნის ფორმირება, დათარიღება, ისტორიული ხასიათის მასალაზე მუშაობა;
- შეძლო ისტორიულ რუკაზე მუშაობა, სივრცისა და დროის აღქმა/შეპირისპირება, არსებითი ნიშნების გამოყოფა, მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება და სხვ.

მოცემული მეთოდური მიდგომების საშუალებით მინიპროექტი საგაკვეთილო პროცესის აქტიურ ნაწილად იქცევა, ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო სივრცეში წარმატების განცდას და მოსწავლეთა მოტივაციის პოზიტიურ დინამიკას, ამიტომ მათი გამოყენება მისასალმებელი და სასარგებლოა.

ღელა მანგოშვილი

კლასის მართვის სტრატეგიები დამწყებთათვის

> უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაზე უნდა ვიზრუნოთ და მხოლოდ ამის შემდეგ – მათი აკადემიური მოსწრების დონის ამაღლებაზე.

როგორ ჩავატაროთ კარგი გაკვეთილი?

დამეთანხმებით, რომ უდიდესწილად დასაწყისზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება გაკვეთილი. მნიშვნელოვანია კლასის მართვის ზოგადი სტრატეგიების ცოდნა, რომლებიც მოწესრიგებული სასკოლო გარემოს შექმნაში გვეხმარება. ასეთ გარემოში:

- მასწავლებელი ქმნის და განამტკიცებს მოსწავლეთა სოციალურად მისაღებ ქცევას;
- ეხმარება სწავლის სწავლაში და უმაღლებს სწავლის მოტივაციას;
- ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და, შესაბამისად, აკადემიური მოსწრების დონეს.
- ამცირებს ნეგატიურ ქცევებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ განვითარებას.

და მაინც, რა არის კლასის მართვა?

პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით გთავაზობთ კლასის მართვის საყოველთაოდ აღიარებულ, უნივერსალურ სტრატეგიებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მოსწავლეთა სანიმუშო ქცევის, ჩართულობის, აკადემიური მოსწრების ამაღლების, მოწესრიგებული გარემოს შექმნის პროცესში.

მოდელის იდეალური ქცევა

ბევრი კვლევა ადასტურებს, რომ მოდელირება სწავლების ეფექტური სტრატეგიაა, რომელიც ასწავლის მოსწავლეებს, როგორ მოიქცნენ სხვადასხვა სიტუაციაში.

თამაში: „ვითომ, ვითომ“: შეგვიძლია „ვითამაშოთ“ საუბარი კოლეგასთან, დირექტორთან ან მოსწავლესთან. აუცილებელია:

- თავაზიანი მიმართვის ფორმების გამოყენება;
- თვალით კონტაქტის შენარჩუნებაზე ყურადღების გამახვილება.

ამის შემდეგ შეგვიძლია დავიწყოთ კლასის დისკუსია. მოსწავლეები საუბრობენ ჩვენ მიერ გამოვლენილი იდეალური ქცევის შესახებ.

არ მივმართოთ მოსწავლეებს გვარებით

არასდროს დამავიწყდება...
ერთხელ ახალმა მოსწავლემ მკითხა:

– ლელა მასწავლებელო, თქვენ მხოლოდ სახელებით მიმართავთ მოსწავლეებს?

გაკვირვება ვერ დავმალე და დავუდასტურე. მაშინ მოსწავლემ მითხრა:

– იცით, რა ბედნიერი ვარ, სახელს რომ მეძახით? გული მითბება და მინდა, ბევრჯერ გიპასუხოთ, რომ ჩემი სახელი ხშირად თქვათ.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ბავშვებს ძალიან პატარა, სათუთი გული აქვთ და შესაძლოა, ხმამაღლა ვერც ბედავდნენ თქმას, როგორ არ მოსწონთ, როცა გვარებით მივმართავთ.

მოსწავლეებთან ერთად წესების შემუშავება

უმჯობესია, წლის დასაწყისში მოსწავლეებთან ერთად შევიმუშაოთ ქცევის წესები. შესაძლოა გა-

გიკვირდეთ, მაგრამ მოსწავლეები ბევრად უფრო მკაცრი წესების დაწესებას ითხოვენ. სასურველია, იდეების გენერირებისა და განხილვის შემდეგ ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბებული, მოსწავლეთა ხელმოწერებით დამშვენებული საბოლოო ვერსია საკლასო ოთახში, თვალსაჩინო ადგილას განვათავსოთ.

კვირის გეგმის განხილვა

კვირის დასაწყისში მოსწავლეებს ვაცნობთ გეგმას, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი კვირის განმავლობაში შესასწავლი საკითხები და განსახორციელებელი აქტივობები. სასურველია, ამ პროცესში მოსწავლეებიც აქტიურად ჩავრთოთ და მათი სურვილების გათვალისწინებით საინტერესო და სახალისო კვირის გეგმა შევადგინოთ. ვკითხოთ მათ, რომელი საკითხის ან აქტივობის დამატება სურთ. შეიძლება ამ დოკუმენტის თვალსაჩინოების დაფაზე მიკვრა.

კვირის ბოლოს ვაკეთებთ ხუთწუთიან რეზიუმე-შეჯამებას, რა გაკეთდა კარგად, რა – მეტ-ნაკლებად კარგად და თუ რამე ვერ გაკეთდა – რატომ.

არასდროს დავსაჯოთ

არ არსებობს მასწავლებელი, რომელიც ერთხელ მაინც ისე არ გაებრაზებინოთ მოსწავლეებს, მათ დასჯაზე არ ეფიქროს, მაგრამ ასევე არ არსებობს სასჯელის გამართლება. დასჯას ყოველთვის მოჰყვება მოსწავლის არასასურველი ქცევის განმტკიცება, რომ აღარაფერი ვთქვათ მორალურ მხარეზე. ამიტომ უმჯობესია, დასჯის ნაცვლად მოსწავლეებთან ერთად განვიხილოთ პრობლემა და მათივე მონაწილეობით გადავწყვიტოთ, როგორ მოვაგვაროთ ის.

ინტერვიუ მოსწავლეებთან

იმისთვის, რომ უფრო კარგად შევისწავლოთ ჩვენი მოსწავლეების ინტერესები, სასწავლო წლის დასაწყისში (შეიძლება წლის განმავლობაშიც) სასურველია შევთავაზოთ მათ ინტერვიუ-კითხვარი:



- რა ტიპის გაკვეთილები მოსწონთ;
- რა უშლით ხელს დასწავლაში;
- რა ტიპის სავარჯიშოებს უფრო იოლად ძლევენ და რა ტიპისას – ძნელად;
- რა ურჩევნიათ – ინდივიდუალური მუშაობა, წყვილური თუ ჯგუფური

და ა.შ. მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით შეგვიძლია კითხვების დამატება.

პოზიტიური წერილები და სატელეფონო ზარები მშობლებთან

წარმოგიდგენიათ ადამიანი, რომელსაც არ გაახარებს სასიამოვნო შეტყობინების მიღება? ალბათ, ვერა. ამიტომ ნუ დაველოდებით, როდის დაგვირეკავს მოსწავლის მშობელი შვილის ამბის გასაგებად – გავუგზავნოთ პოზიტიური წერილი ან დავურეკოთ, მადლობა გადავუხადოთ თანამშრომლობისთვის, წავახალისოთ მოსწავლის მონდომება.

ცნობილი ფრაზა: „ხვალ მშობელს მოიყვან!“ – სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია. რა მოჰყვება მშობლის ვიზიტს სკოლაში, როდესაც მოსწავლესთან ურთიერთობა უკიდურესად გამწვავებულია? ძალიან ხშირად გამწარებული მშობელი ჯავრს იყრის „დამნაშავე“ შვილზე და ამით უფრო მეტი აგრესიის საბაბს აძლევს, უარეს შემთხვევაში კი შესაძლოა მასწავლებელი აღმოჩნდეს დამნაშავის როლში.

დამეთანხმებით, რომ პრობლემური ქცევის მქონე მოსწავლეებსაც აქვთ წარმატება ამა თუ იმ მიმართულებით. მთავარია, დავინახოთ ეს და განვითარების საშუალება მივცეთ. სწორედ ამ მიზეზით თუ მოვიხმობთ მშობელს პოზიტიური წერილით ან ტელეფონით, ვესაუბრებით მოსწავლის წარმატების შესახებ, იმავდროულად, გულწრფელად გავუზიარებთ პრობლემას და მასთან ერთად დავსახავთ მისი დაძლევის გზებს. შედეგი აუცილებლად სასიკეთო იქნება, როგორც მოსწავლისთვის, ისე მშობლისთვისაც.

> უდიდესწილად დასაწყისზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება გაკვეთილი. მნიშვნელოვანია კლასის მართვის ზოგადი სტრატეგიების ცოდნა, რომლებიც მოწესრიგებული სასკოლო გარემოს შექმნაში გვეხმარება.

პორტფოლიო

მრავალი წლის წინ საკლასო ოთახში ჩემი მძიმე პორტფოლიოთი მომიწია შესვლა. მისი კარადაში შენახვა ვერ მოვასწარი, თუმცა მაშინვე მივხვდი, რომ შემთხვევით არაფერი ხდება და მყისვე გადავწყვიტე, რომ თუ ბავშვები სურვილს გამოთქვამდნენ, აუცილებლად დავათვალიერებინებდი ჩემს საქაღალდეს. მახსოვს, ძალიან ლამაზი, იისფერი გარეკანი ჰქონდა. მაშინვე მიიქცია მოსწავლეთა ყურადღება...

როცა პორტფოლიოს თითქმის ყველა ფურცელი ნახეს, აღფრთოვანება ვერ დამალეს, ხანგრძლივი ტაშით და ოვაციებით დამაჯილდოეს. სწორედ მაშინ დაიბადა იდეა, მათაც ჰქონოდათ საკუთარი პორტფოლიო. უნდა გენახათ, როგორი რუდუნებით ათავსებდნენ წლის განმავლობაში შექმნილ ნამუშევრებს ფაილებში და ერთმანეთს უზიარებდნენ. ერთმა მათგანმა ბედნიერმა მახარა, რომ შინ სტუმრებს აჩვენა თავისი პორტფოლიო და მათ ძალიან მოეწონათ.

მასწავლებელმა ყველაფერი იცის

ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად მიწოდეს მასწავლებელი. დღესაც, როდესაც ჩემი მოსწავლეები მეხმიანებიან და მადლიერებას გამოხატავენ იმისთვის, რა აღზრდა-განათლებაც ჩემი დახმარებით მიიღეს, ყოველთვის ვპასუხობ, რომ პირიქით, მე ვარ მადლობელი, რადგან მათ მასწავლეს მასწავლებლობა. დღესაც ასეა. ყოველდღიურად ვსწავლობ ჩემი მოსწავლეებისგან, რა სჭირდებათ და როგორი მასწავლებელი უნდა ვიყო. მიმაჩნია, რომ დროა, დავამსხვრიოთ სტერეოტიპი „მასწავლებელმა ყველაფერი იცის“ და თანამშრომლობით და სიყვარულით დავამკვიდროთ ურთიერთსწავლების მეთოდები.

დამისაბუთე და დაგიჯერებ

ძალიან ხშირად, როცა მასწავლებელი კითხვას სვამს, განსაკუთრებით – დაწყებით კლასებში, ყველა მოსწავლე ცდილობს, პასუხი სხვაზე სწრაფად წამოიყვიროს. ცხადია, არც ჩემი მოსწავლეები ყოფილან გამონაკლისნი, ამიტომ დავამკვიდრეთ სტრატეგია: – არგუმენტირებულად დამისაბუთე შენი პასუხი და დავიჯერებ, რომ ის სწორია. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს სტრატეგია კრიტიკული აზროვნების განვითარების საფუძველთა საფუძველია. დროთა განმავლობაში საოცარი შედეგი მივიღე: სკოლის დერეფანში შემთხვევით შევესწარი, რა დაბეჯითებით ითხოვდა ჩემი ერთი მოსწავლე მეორისგან, არგუმენტით დაესაბუთებინა, რომ მართალი იყო...

თანამშრომლობა და არა შეჯიბრება

დაწყებით კლასებში მოსწავლეები განსაკუთრებულად ცდილობენ პირველობას, თუნდაც დაუმსახურებლად. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ერთნაირად წაახალისოს ყველა მათგანის მცდელობა, გააკეთოს შესაძლებლის მაქსიმუმი, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ გაუსვას ხაზი ცალკეულ მოსწავლეთა მიღწევებს, იმავდროულად, შესთავაზოს აქტივობები თანამშრომლობითი უნარების განსავითარებლად.

ყველაფერი უსიყვარულოდ არაფერია

მახსენდება ჰუმანისტური პედაგოგიკის ფუძემდებლის, ბატონი შალვა ამონაშვილის მიმართვა მშობლებისადმი: „სკოლაში მიხვალთ და იკითხავთ: – ჩემს შვილს რა ნიშნები აქვს? ცუდი და კარგი ნიშნები არ ქმნის პიროვნებას...“

სამწუხაროდ, მასწავლებლებიც ეუბნებიან მოსწავლეს, რომ თუ კარგად არ ისწავლის, მაღალი ქულით ვერ შეფასდება და ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევს. ამგვარი სტრატეგიით ბავშვებს შეიძლება საერთოდ გავუქროთ სწავლის მოტივაცია.

უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაზე უნდა ვიზრუნოთ და მხოლოდ ამის შემდეგ – მათი აკადემიური მოსწრების დონის ამაღლებაზე.

მთავარია, ყველაფერი სიყვარულით ვაკეთოთ.

ნინო კაპანაძე

განმავითარებელი შეფასება – „რეფლექსიური დღიური“

> შედეგებისთვის თვალის მისაღევნებლად ისეთი დავალების მოფიქრებაა საჭირო, რომელიც დასახულ გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით მოსწავლის ცოდნასა და უნარებზე მუდმივი დაკვირვების საშუალებას იძლევა.

განმავითარებელი შეფასების მიზანი თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაა. მისი ნებისმიერი ფორმის გამოყენებისას მასწავლებელი, მოსწავლის წინსვლის ხელშესაწყობად, ნათლად და გასაგებად მიუთითებს მას მიღწეულ შედეგზე და ამით მოტივაციას უზრდის. ის აქ კი არ ჩერდება, არამედ შეაშველებს ასევე კონკრეტულ და გასაგებ რჩევას შედეგის გასაუმჯობესებლად საჭირო შემდგომ ნაბიჯებზე. შედეგებისთვის თვალის მისადევნებლად ისეთი დავალების მოფიქრებაა საჭირო, რომელიც დასახულ გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით მოსწავლის ცოდნასა და უნარებზე მუდმივი დაკვირვების საშუალებას იძლევა.

დავალების დასრულებისა და წარდგენის შემდეგ უკეთესია, მოსწავლემ თვითშეფასებაც მოახდინოს, რადგან ამგვარად გაიაზრებს კიდეც, რა და რატომ გააკეთა და რა მოითხოვს გაუმჯობესებას.

თუ მოსწავლეს თანდათანობით შევძენთ თვითშეფასებისთვის საჭირო გამოცდილებას, ის შეძლებს საკუთარი საქმიანობის – სწავლის – მართვას. ეს არ იქნება ერთჯერადი ქცევა. ამ უნარის განვითარებით ის მუდმივად გაუწევს მონიტორინგს საკუთარ სწავლას. სწავლის პროცესი მისთვის უფრო საინტერესო და შედეგიანი გახდება. სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობისა და შედეგების შეფასების უნარი მას ხელს შეუწყობს, თავად აიღოს პასუხისმგებლობა სწავლის გაუმჯობესებაზე.

ევროკავშირის ეგიდით განხორციელებული პროექტის „შეფასების ინსტრუმენტები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახლებური სასწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად (ASSET)“ მიერ შემოთავაზებული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები სკოლის დონეზე ადაპტირების საშუალებას იძლევა. ვცადეთ სტრუქტურირებული „რეფლექსიური დღიურის“ გამარტივებული ფორმის შექმნა დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის. თუ მესამე-მეოთხე კლასიდან დავაფიქრებთ მოსწავლეებს თავიანთ სასწავლო გამოცდილებაზე, გავაანალიზებინებთ ამ პროცესს, რა თქმა უნდა, ამით ბევრ სასარგებლო უნარს განვუვითარებთ, რაც მათ გააზრებული სწავლა-სწავლების მონაწილედ აქცევს და წინ უბიძგებს.

მესამეკლასელებს რომელიმე აქტივობის დასრულების შემდეგ გავაცნობთ „რეფლექსიური დღიურის“ შინაარსსა და მის წარმოებას, რაც თავდაპირველად ჩვენთან ერთად, ზეპირი ფორმით წარიმართება.

	გაცნობიერება	შეფასება	შემდგომი საჭიროება
გონებრივი	ამ აქტივობით რა შევისწავლე? რა გავაკეთე?	როგორ გავიგე ნასწავლი?	საკითხის უკეთესად გასაგებად რას გავაკეთებდი? სად შემიძლია დამატებითი ინფორმაციის მოძიება?

	გაცნობიერება	შეფასება	შემდგომი საჭიროება
გონებრივი	რა მიზნით ვსწავლობ ამ საკითხს? რაში გამომადგება?	დამატებით რისი შესწავლა მჭირდება? მოცემულმა აქტივობამ სწავლის უნარის გაუმჯობესების თვალსაზრისით რა შემძინა?	დამატებით რომელ მიზანს/ მიზნებს ვისახავ?
ქცევითი	როგორ შევისწავლეთ/ შევისწავლე ეს საკითხი? რა ნაბიჯები გადავდგი? საკითხის შესასწავლად რომელი სტრატეგიები გამოვიყენე?	სწავლის ეფექტური სტრატეგიები გამოვიყენე?	როგორ შემიძლია ამ სტრატეგიის/სტრატეგიების გაუმჯობესება?
ემოციური	აქტივობის დროს როგორ ვგრძნობდი თავს? რა მომეწონა, რა არ მომეწონა?	რატომ მქონდა ეს განცდა? რამ გამოიწვია?	როგორ უნდა ვმართო ჩემი ემოცია, რომ მეტი შევძლო?
აკადემიური	რა გამიჭირდა? რა გამიადვილდა? რა შევმატე ჩემს წინარე ცოდნას?	რა იყო სირთულის წყარო? რა დამეხმარა კარგად გაგებაში? როგორ დავუკავშირე ახალი ცოდნა ძველს?	როგორ დავძლიო სირთულე? წინარე ცოდნასთან და უნარებთან ამ აქტივობის დასაკავშირებლად რომელ ხერხს/ ტექნიკას გამოვიყენებდი?
პიროვნული განვითარება	ჩემ შესახებ რა გავიგე? რა იყო ჩემი ძლიერი მხარე და რა – სუსტი? რას გავართვი თავი კარგად? რა გამოწვევები დავინახე?	რა შესაძლებლობები დავინახე ჩემში? რის გაუმჯობესებას ვისურვებდი ჩემში?	როგორ შემიძლია, ამ მიგნებების გათვალისწინებით, ჩემი პიროვნული თვისებების გაუმჯობესება?

პირველ ეტაპზე მთელი კლასისთვის ვსვამთ კითხვებს (გონებრივი იერიში), ვისმენთ ზეპირ პასუხებს, ვაძლევთ დამატებით კითხვებს და განმარტებებს, რომ ამ ინსტრუმენტის შინაარსში გავარკვიოთ. ორი-სამი ასეთი პროცესის შემდეგ, როცა დავრწმუნდებით, რომ ცხრილის კითხვები და სტრუქტურა მეტ-ნაკლებად გასაგებია კლასისთვის, ყველა მოსწავლეს ვურიგებთ ამ სქემას. ვთხოვთ, შექმნან რვეული „რეფლექსიური დღიურებისთვის“ და ცხრილი დააწებონ ყდის შიდა მხარეს.

ახალი აქტივობის განხორციელების შემდეგ კი ვაძლევთ დროს და ვთხოვთ, მოემზადონ მოცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად. მსურველებს ვთხოვთ, გაგვაცნონ თავიანთი პასუხები ან ჩანაწერებით, ან ზეპირად. თავდაპირველად შეესაძლებელია, კითხვების თითო ან ორ ჯგუფზე ვამუშაოთ. თანდათან ხდება ინსტრუმენტის სრულად გააქტიურება. საბოლოოდ მოსწავლეები შეძლებენ, პერიოდულად დაწერონ მოკლე რეფლექსიები დღიურების სახით. ამ ეტაპს მეოთხე კლასშიც რომ მივაღწიოთ, არაფერი დაშავდება. წინარე სამუშაო შედეგს მაინც გამოიღებს და მოსწავლეს სწავლის პროცესზე დაკვირვება-აზროვნებას მიაჩვევს. ასე რომ, აქ ასაჩქარებელი არაფერია. ჩანაწერებით მოსწავლე თავის წინსვლასაც მიადევნებს თვალს.

ინსტრუმენტის რამდენიმეჯერ დამოუკიდებლად გამოყენების შემდეგ საჭიროა, მოსწავლეებმა შეაფასონ თავად „რეფლექსიური დღიური“. ამისთვის მათთან ერთად უნდა გამოვკ-

თუ მოსწავლეს თანდათანობით შევძენთ თვითშეფასებისთვის საჭირო გამოცდილებას, ის შეძლებს საკუთარი საქმიანობის – სწავლის – მართვას. ეს არ იქნება ერთჯერადი ქცევა. ამ უნარის განვითარებით ის მუდმივად გაუწევს მონიტორინგს საკუთარ სწავლას. სწავლის პროცესი მისთვის უფრო საინტერესო და შედეგიანი გახდება.

ვეთოთ კრიტერიუმები, რომ დაფიქრდნენ: სასარგებლოა თუ ზედმეტი შრომაა? რაში მეხმარება და რაში მიშლის ხელს? რა შედეგი დავინახე? დამეხმარა თუ არა ჩემი პიროვნების შეცნობა-გაუმჯობესებაში? სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში?

ამ ინსტრუმენტის ხშირად გამოყენება სულაც არ არის აუცილებელი. მთავარია, მოსწავლეებს ჩვევად ექცეთ იმ კითხვებზე დაფიქრება, რომლებიც აქ არის წამოჭრილი. ისინი თანდათან მიეჩვევიან სწავლის პროცესზე დაკვირვებას, გაანალიზებას და დასკვნების გამოტანას. პარალელურად გამოყენებული განმავითარებელი შეფასების სხვა ფორმები: ურთიერთშეფასება, მასწავლებლის უკუკავშირი, კომენტარი და ა.შ., – უკვე ქმნის განმავითარებელი შეფასების მთლიან და უწყვეტ პროცესს, რომელიც ასევე უწყვეტ განვითარებასა და შედეგების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

გამოყენებული მასალა:

პროექტით „შეფასების ინსტრუმენტები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახლებური სასწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად (ASSET)“ შემოთავაზებული რესურსი.

თამთა ჯოღიძე

კითხვა-პასუხის ხელოვნება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბევრს კამათობენ წაკითხულის გაგება-გააზრების პრობლემაზე. პრობლემის არსებობას ყველასთვის კარგად ნაცნობი კვლევის (წიგნიერების საერთაშორისო კვლევა PIRLS, რომელშიც საქართველო 2006 წელს ჩაერთო) შედეგებიც მოწმობს. დღემდე არ გვაქვს მკაფიო პასუხი კითხვაზე, როგორ უნდა იმუშაოს სკოლამ ორიენტირებული კითხვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დაუფლებაზე.

ეფექტური კითხვისთვის საჭირო მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ ბევრი დაწერილა. ამ მიმართულებით არც მრავალფეროვან აქტივობათა სიმწირეს ვუჩივით: დისკუსია/დებატები, სოკრატული დიალოგი, ოთხი კუთხე, პერსონაჟთა რუკა, ინტერვიუ პერსონაჟთან/ავტორთან, მოლოდინების გზამკვლევი, დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე, ვიცი-გავიგე-მინდა გავიგო, 3-2-1, შეჯამების ვარსკვლავი, შესასვლელი/გასასვლელი ბარათები, მკითხველის დღიური და სხვ. - ეს იმ აქტივობათა მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გაგება-გააზრების უნარების განვითარების მიზნით საგაკვეთილო პროცესში იყენებს.

იფიქრებთ, თუ კითხვა იცი და შენი ლექსიკური მარაგიც დამაკმაყოფილებელია, წაკითხულის გაგებას რაღა უნდაო?! სამწუხაროდ, ასე მარტივად არ არის საქმე. შესაძლოა, ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა იცოდეთ, მაგრამ წინადადებად ამოკითხულის გააზრება მაინც გაგიჭირდეთ. თუ ამას დაემატება ყოველ წინადადებაში ან რამდენიმე წინადადებაში ერთხელ უცხო სიტყვებთან შეხვედრა, წაკითხულის გააზრების პროცესიც გართულდება. ასეთ შემთხვევაზე ამბობენ, საკითხავი მასალა და მოსწავლის კითხვის დონე ერთმანეთს არ შეესაბამებაო. გაგება-გააზრების გზაზე კიდევ ერთ დიდ პრობლემად გაუწაფავი კითხვა გვევლინება. უნდა გავითვალისწინოთ კონცენტრირების სირთულე და კითხვის დაბალი მოტივაციაც.

ერთი შეხედვით, კითხვის პროცესი ერთიან მოქმედებად აღიქმება, სინამდვილეში კი ჩვენ გვჭირდება ანბანური (ასოების აღქმა), ფონოლოგიური (ამოკითხული მასალის გონებაში გახმოვანება), სემანტიკური (დეკოდირებული სიტყვებისთვის მნიშვნელობის მინიჭება), სინტაქსური (გრამატიკული) და კონტექსტური (ამოკითხული მასალის მსხვილ იდეებად გაერთიანება, გაგრძელებასთან დაკავშირებით ვარაუდების ჩამოყალიბება) ცოდნის/უნარების სინქრონულად ამუშავება. ეფექტური მკითხველობისკენ მიმავალ გზაზე პირველ ნაბიჯად სწრაფ დეკოდირებასა და სიტყვისთვის

> ეფექტური მკითხველობისკენ მიმავალ გზაზე პირველ ნაბიჯად სწრაფ დეკოდირებასა და სიტყვისთვის მნიშვნელობის მინიჭებას მიიჩნევენ. ალნიშნული უნარის გარეშე მოსწავლე ვერ გაივლის წაკითხული ტექსტიდან აზრის გამოტანის, გონებაში წარმოდგენების კონსტრუირებისა და ავტორის ჩანაფიქრის/ნათქვამის გაცნობიერების ეტაპებს.

მნიშვნელობის მინიჭებას მიიჩნევენ. აღნიშნული უნარის გარეშე მოსწავლე ვერ გაივლის წაკითხული ტექსტიდან აზრის გამოტანის, გონებაში წარმოდგენების კონსტრუირებისა და ავტორის ჩანაფიქრის/ნათქვამის გაცნობიერების ეტაპებს. აქედან გამომდინარე, წაკითხულის გააზრება სამ დონეს მოიცავს: სიტყვასიტყვით გაგების, წვდომის (ანალიზი, დასკვნა) და შეფასების დონეებს.

როგორც ცნობილია, გაგება-გააზრების პროცესზე ოთხი ფაქტორი ზემოქმედებს. ესენია: მკითხველი, ტექსტი, მიზანი და კონტექსტი. მკითხველი ტექსტამდე გარკვეული უნარებით აღჭურვილი მიდის. ის შეიარაღებულია წინარე ცოდნით, ლექსიკური მარაგით, კითხვის უნარითა და მოტივაციით. აქედან გამომდინარე, მზაობის შესაბამისად აღიქვამს წაკითხული ტექსტის თემატიკასა და შინაარსს, მის სტრუქტურას, მოცულობას, ენობრივ მახასიათებლებსა და დიზაინს. რაც შეეხება მიზანს, ის გულისხმობს მკითხველის მიერ ამა თუ იმ დავალებისთვის გამოყენებული სტრატეგიებისა და რესურსების ეფექტიანობას/დავალებისადმი შესაბამისობას. ასევე მნიშვნელოვანია იმ გარემოებათა ერთობლიობის (კონტექსტის) გათვალისწინება, რომლებშიც მიმდინარეობს კითხვის პროცესი.

კარგი მკითხველი ადვილად ამოიცნობა შემდეგი ნიშნებით: მას შეუძლია წაკითხული სიტუაციების/მოქმედებების წარმოსახვა და ვიზუალიზება; კრიტიკულად გაიაზრებს წაკითხულ მასალას; შეუძლია ვარაუდების გამოთქმა და ძირითადი აზრების შეჯამება; უბრუნდება ტექსტს და ხელმეორედ კითხულობს ბუნდოვანი დეტალების დასაზუსტებლად; დიდ ტექსტს ყოფს ნაწილებად და მომდევნო ნაწილზე მხოლოდ წაკითხული ეპიზოდის სიღრმისეულად გააზრების შემდეგ გადადის; აკეთებს მონიშვნებს/ჩანაწერებს; ქმნის და/ან იყენებს გრაფიკულ სქემებს, რომლებშიც ასახავს ტექსტში ამოკითხულ ინფორმაციას; ხედავს კავშირს ტექსტში გადმოცემულ ამბებსა და პირად გამოცდილებას შორის; რაც მთავარია, კითხვის პროცესში უჩნდება კითხვები (საკუთარ თავთან, ავტორთან/პერსონაჟთან) და სხვადასხვა გზით ეძებს პასუხებს.

დღეისათვის სახელმძღვანელოებში მოცემულ ყველა საკითხავ მასალას ერთვის ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებული კითხვები, რომლებიც მოსწავლეებს როგორც ხილული ინფორმაციის, ისე იმპლიციტური (ნაგულისხმევი, სავარაუდო) სათქმელის მოძიებაში ეხმარება. სწავლის დაწყებით საფეხურზე ბავშვებს განსაკუთრებით უჭირთ წერილობით კითხვისა და პასუხის აგება. უმეტესად იყენებენ არასრული პასუხის ფორმას და კითხვის ფორმულირების დროსაც სანახევრო ინფორმაციით შემოიფარგლებიან. არადა, კითხვა-პასუხის შედგენის უნარი ვრცელი ტექსტების (ეპიზოდის შინაარსი, თავისუფალი თემა და სხვ.) შეთხზვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამიტომაც დაწყებით საფეხურზე, კითხვებისა და პასუხების სტრუქტურული თუ შინაარსობრივი მახასიათებლების დაცვით, მოსწავლეებს სხვადასხვა მეთოდით ვავარჯიშებთ მათ ფორმულირებაში. აქვე წარმოგიდგენთ რამდენიმე მეთოდს/აქტივობას, რომლებსაც ყველაზე ხშირად ვიყენებ საგაკვეთილო პროცესში.

5 კითხვა (ვინ? სად? რა? როდის? რატომ?)

აქტივობის სათაურში ჩამოთვლილი კითხვები შეიძლება წარმოვადგინოთ ხუთსვეტიან ცხრილად, რომელშიც ჩაიწერება კითხვების შესაბამისი ინფორმაცია. წარმოგიდგენთ ცხრილის ნიმუშს, რომელშიც მოცემულია იაკობ გოგებაშვილის მოთხრობიდან „ჯიუტი თხები“ ამოღებული ინფორმაცია.

ვინ? / რა?	სად?	რას შვრება / რა ქნა?	როდის?	რატომ?
ორი თხა	ხიდზე	ერთმანეთს შეხვდა; გზა ვერ განაგრძეს; ჩხუბი მოუვიდათ და ხიდიდან გადაცვივდნენ.	ერთხელ	ვიწრო ხიდზე ერთმანეთისთვის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო; ორივე თხა ჯიუტი და ქედმაღალი იყო; არც ერთს არ უნდოდა უკან დახევა.

ეს შაბლონი შეგვიძლია დავურიგოთ მოსწავლეებს ან დაფაზე დავხაზოთ, მათ კი რვეულში გადაიხაზონ (გააჩნია, რომელ კლასს ვასწავლით). სასურველია, პირველ ჯერზე მასწავლებლის დახმარებით შეავსონ ცხრილი. აღნიშნული მეთოდით რამდენიმე ტექსტის დამუშავების შემდეგ კი დამოუკიდებლადაც შეძლებენ ამ გრაფიკული ორგანიზატორის გამოყენებას.

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

(არა) სწორი მოლოდინების შესახებ

გიორგი ჭანტურია

2019 წლის სექტემბერში, არაერთი მცდელობისა და ცამეტწლიანი პაუზის შემდეგ, სკოლას დავუბრუნდი. ამჯერად – მასწავლებლის სტატუსით. სიმართლე უნდა ვთქვა: მიუხედავად მომზადებისა, მოლოდინი მაინც სულ სხვა მქონდა. თუმცა მისვლის დღესვე გამახსენდა ყველა ის მიზეზი, რომელთა გამოც არ მიყვარდა სკოლა (მიზეზებზე – მოგვიანებით).

ისე მოხდა, რომ ჩემი პირველი გაკვეთილი სასწავლო წლის პირველ დღეს დაემთხვა. ამ დღიდან კი ყველაზე მეტად არა ბავშვები ან რამე შემთხვევა, არამედ ყვავილები დამამახსოვრდა. საპირველსექტემბრო ყვავილები, გასვენებისა და პანაშვიდების მსგავსად, ნეგატიურ განწყობას აღმიძრავს. რაღაცნაირად, საბჭოთა კავშირს მაგონებს, პატარა პიონერებს, ამხანაგ-პედაგოგებს, რომლებიც ერთმანეთს ულოცავენ სასწავლო წლის დაწყებას და მგონია, რომ იმ სისტემისთვის თავი ვერ დაგვიღწევია. რაღაც ძალიან უშნო და უსიამოვნოა ამ ამბავში ჩემთვის. რაღაცით ამოუცნობიც.

ასე იყო თუ ისე, დაიწყო პირველი გაკვეთილი. ბევრი ბავშვი და მე. და ალბათ, აი, აქ დავუშვი პირველი შეცდომა. გაკვეთილის თემად სასკოლო სისტემა ავირჩიე. გამხსნელად „ფინქ ფლოიდის“ „კედელი“ ჩავურთე და ვუყვებოდი, რატომ დაიწერა ეს სიმღერა. ვსვამდი მათთვის უცნაურ კითხვებს. მაგალითად, რატომ არის, რომ მერხები ზუსტად ისეა ჩამწკრივებული, როგორც მათთან, რატომ ასწავლიან იმ საგნებს, რომლებიც ცხრილში უწერიათ, რატომ არის გაკვეთილები 40-45-წუთიანი, რატომ ირეკება ზარი... რაც მთავარია, საერთოდ, რა საჭიროა სკოლა?

ამის შემდეგ ვმსჯელობდით იმაზე, რა უნდა შეცვლილიყო სკოლებში. მიყვებოდნენ თავიანთ გამოცდილებაზე (ძირითადად – უარყოფითზე) და მიზიარებდნენ მოსაზრებებს, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო ეს ყველაფერი (თუმცა ამ ნაწილში ცოტა გაუჭირდათ). ბოლოს ისე შევედით მუღამში, რომ რამდენიმე ბავშვმა მკითხა კიდეც, აჯანყებისთვის გვამზადებთო? სიმართლე რომ ვთქვა, მესიამოვნა, რადგან სწორედ ეს იყო ჩემი მიზანი. ნაკლებად მაინტერესებდა, ეს ბავშვები „ადიქციას“ სწორად განმარტავდნენ თუ არა; მთავარი იყო, უფრო ინიციატივიანები და მოაზროვნეები გამხდარიყვნენ; დაესვათ დამაფიქრებელი კითხვები სხვებისთვის და, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის. სხვა სიტყვებით, დაეწყოთ ან გაეგრძელებინათ კრიტიკულად აზროვნება.

მომდევნო გაკვეთილებზე მივაყოლე და მივაყოლე. ვსაუბრობდით ადამიანის უფლებებზე, ჩაგვრაზე (მათ შორის – კონკრეტულ შემთხვევებზეც; ძალიან ემოციური მომენტი იყო, როდესაც ერთ-ერთ უსაყვარლეს მოსწავლეს ცრემლები წამოუვიდა და თავისი გამოცდილება გამიზიარა), საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე, ადამიანისთვის მნიშვნელოვან თვისებებზე და ა.შ. ვაღიარებ, იყო შემთხვევები, როდესაც, დროის უქონლობის გამო, ფიზიკურად მოუმზადებელი მივდიოდი გაკვეთილზე. იშვიათად მიმართლებდა და მაინც საინტერესოდ მიდიოდა საგაკვეთილო პროცესი. იყო ჩავარდნებიც, როდესაც კლასში სრული ქაოსი იწყებოდა.

ბევრი მხარდამჭერის წყალობით, მოვახერხეთ და არაერთ გასვლით ღონისძიებაზე წავედით. მათ შორის – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პიკნიკზე, ექსპერიმენტორიუმში, ილუზიების მუზეუმში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში, კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრში, სადაც ჩაუტარდათ ტრენინგი გუნდურობაში. ვიწვევდით სტუმრებსაც. მოკლედ, არ მოგვიწყენია. ამისთვის უღრმესი მადლობა თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ამ ღონისძიებების ორგანიზებაში დამეხმარა.

ალბათ ფიქრობთ, შეცდომა სადღა იყოო. არც გაკვეთილის თემებში, არც გასვლით ღონისძიებებში და, მით უმეტეს, არც ბავშვებში. უფრო – ჩემს აღქმასა და მოლოდინში. კერძოდ, შეცდომა იყო, რომ მეგონა, ძალიან მოკლე დროში ამოვაყირავებდი ყველა იმ უარყოფით გავლენას, რაც ამ ქვეყანამ (არავითარ შემთხვევაში – მხოლოდ სკოლამ) დააჩნია ბავშვებს: სიზარმაცე, უინტერესობა, აგრესიულობა და დესტრუქციულობა, საბოლოო ჯამში კი – უინიციატივობა. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი ისე ღრმად აქვთ გამჯდარი ბავშვებს და იმდენი ფაქტორი მოქმედებს მათზე, ჩემი და სხვა მასწავლებლების პერიოდული მცდელობები საკმარისი არ არის. სწორედ ამიტომაა საჭირო სისტემის გამართულობა.

როგორც უნდა იყოს, ამ ტექსტის მთავარი სათქმელი ის არის, რომ გაცილებით მაღალი ამოცანები დავუსახე ჩემს თავს და იმაზე მეტს ველოდი, ვიდრე შემეძლო. ჰოდა, როდესაც სემესტრის ბოლოს ვიკითხე, რა ისწავლეთ-მეთქი, ერთ-ერთი მოსწავლის ნათქვამი, რა უნდა გვესწავლა – არაფერიო, დიდი იმედგაცრუება აღმოჩნდა ჩემთვის.

აქედან გამომდინარე, დამწყებ მასწავლებელთათვის ჩემი მთავარი რეკომენდაციაა, დაისახონ კონკრეტული მიზნები, რომლებიც მათ საგანს ეხება. ნუ დააპირებენ სკოლისა თუ სისტემის გადატრიალებას. სხვათა შორის, ნოემბერში, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ახალი ინიციატივის – სკოლა-ლაბი – ფარგლებში, ჩემს კოლეგებთან ერთად სასწავლო ტურით ვიმყოფებოდი პოლონეთში. ტურის განმავლობაში რამდენიმე სკოლისა და არაერთი ორგანიზაციის საქმიანობას გავეცანით. ერთ-ერთი იყო განათლების სკოლის პროგრამა, რომელსაც პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ინსტიტუტი ახორციელებს. რაც მთავარია, პროგრამის მეთოდოლოგია კოლუმბიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შემუშავდა. ეს ორგანიზაცია ამზადებს და უშვებს ძალიან მაღალი დონის მასწავლებლებს. ამ ამბავს აქ იმიტომ ვყვები, რომ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები სწორედ ამას ურჩევენ მომავალ მასწავლებლებს. მათი გამოცდილება კი გაცილებით შთამბეჭდავი და გასათვალისწინებელია, ვიდრე ჩემი.

P.S. ისე კი, საინტერესოა, რომ თავად სიტყვა „სკოლა“ ბერძნულიდან მომდინარეობს (schole) და დასვენებას, თავისუფალ დროს ნიშნავს. საინტერესოა, საქართველოში ვის როგორ ესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა.

გურამ მეგრელიშვილი

ვის ეღაპარაკებიან ჩვენი შვილები?



ჩემი შვილი, მათე, ცხრა წლისაა. ბუნებით არ არის კონფლიქტური, მაგრამ უყვარს წუწუნი და ყველა პრობლემას, რაც კი ცხოვრებაში ხვდება, მძაფრად განიცდის, განიხილავს და მშობლებსაც გვიყვება. და მაინც, მოხდა ისე, რომ მე მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მოულოდნელად გამომეპარა.

ამბავი კი ასეთია:

ჩემს შვილს მუსიკალური სკოლის სოლფეჯიოს მასწავლებელი მთელი სემესტრი აბულინგებდა.

როგორც მშობელმა, რაღაც დაზეპირებულ ინსტრუქციასავით ვიცი, რომ ბავშვებთან საუბრისთვის დღის განმავლობაში დრო აუცილებლად უნდა გამონახო. რაც უფრო ემატება ასაკი შვილს, მით უფრო ნაკლებს გიყვება, ამიტომ მომენტი, როცა თვითონ დგამს ნაბიჯს და მზადაა, ყველანაირი შთაბეჭდილება გაგვიზიაროს, ხელიდან არ უნდა გავუშვათ. თითქოს ყოველთვის ვუსმენ ხოლმე შვილებსაც და მოსწავლეებსაც, მაგრამ ისე მოხდა, რომ ეს ამბავი გამომეპარა: უყურადღებოდ მოვუსმინე - არ მეცალა, რომელიმე საქმის დედლაინი მიახლოვდებოდა, უხასიათოდ ვიყავი, რომელიმე პოლიტიკოსის სკანდალური გამოსვლა უფრო მემნიშვნელოვნებოდა, ან უბრალოდ დამეზარა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – შვილის ამბავი გამომრჩა.

არადა, როგორც მოგვიანებით გავიგე, ძალიან განიცდიდა ამ ამბავს. განიცდიდა იმდენად, რომ მუსიკალურ სკოლაში სიარული საშინლად შესძულდა.

„აზროვნების აკადემიის“ საკვირაო სკოლაში, სადაც ლიტერატურას ვასწავლი, ბავშვებთან კომუნიკაცია ჩემივე პიროვნულ ზრდაში ძალიან მეხმარება. ცხადია, „ცდისა და შეცდომის“ მეთოდის ხარჯზე არ ვცდილობ მოსწავლეებთან კომუნიკაციას, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე ისე, რომ რაღაც მნიშვნელოვანს ძალიან გვიან ვხვდები და მენანება დრო, რომელიც სხვა ჯგუფებთან ურთიერთობისას გამომეპარა. ასე მოხდა შარშანაც, როცა შესვენებაზე მოსწავლეებს ვკითხე, ვის ანდობენ საკუთარ პრობლემებს ან საიდუმლოებს. აღმოჩნდა, რომ ბავშვების დიდ ნაწილს ასეთი ადამიანები ოჯახის გარეთ ჰყავს ან საერთოდ არ ჰყავს. ისინი თავიანთ სადარდებელს, საუკეთესო შემთხვევაში, თანატოლებს უზიარებენ, რომლებიც ხშირად მათზე არაკომპეტენტურები არიან.

ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება მეუბნება, რომ მოზარდები საკომუნიკაციო ხაზს შემდეგ ნაირად ავლებენ (და ეს სტილი, როგორც მივხვდი, ცხოვრების ბოლომდე გაგვყვება ხოლმე): პირველი და მთავარი ხაზი ბავშვსა და გარესამყაროს შორის გაჩენილი გაურკვევლობის გადასალახავად მშობელი ან მშობლები არიან, რომლებსაც, უარეს შემთხვევაში, მასწავლებელი ან მოძღვარი (გააჩნია სუბკულტურას) ანაცვლებს. სწორედ ამ შუალედურ რგოლს აქვს მთავარი – და იქნებ გადამწყვეტიც – მნიშვნელობა იმისთვის, როგორ ისწავლის პრობლემებთან გამკლავებას მოზარდი.

როდესაც პირველი მაშველი რგოლი – მოდი, ასე დავარქვათ – ფრონტის ხაზის მეკავშირე – მშობელი დროულად არ აღმოჩნდება გვერდით, მოზარდი იწყებს პრობლემასთან მარტო გამკლავებას ან ეძებს მეორე, ნაკლებად უსაფრთხო რგოლს.

როდის არიდებს თავს ბავშვი ამ პირველ რგოლს? როდესაც მშობელს არ სცალია, შვილს მუდმივად ამტყუნებს, აგდებით ეკიდება მის პრობლემას (რომელიც შესაძლოა ჩვენთვის სასაცილო იყოს, ბავშვისთვის კი ქვეყნის დაქცევასავით მტკივნეულია) ან უსმენს უგულისყუროდ, მოსმენისთვის.

მეორე რგოლი ყოველთვის მარტივად და ბუნებრივად არ ჩნდება. როდესაც მშობლებისგან ფრუსტრაციის გრძნობა გაჰყვება მოზარდს, ის ახალ მეკავშირეს, გრძნობების გამზიარებელს და მომსმენს ეძებს სიფრთხილით, ეჭვით ან უარესი – გაშმაგებით, მინდობით, რითაც მავნე ადამიანები სარგებლობენ და შედეგად მისი იმედგაცრუებების სერია გრძელდება. საუკეთესო შემთხვევაში, ეს მეორე რგოლი მეგობრების წრეა, სადაც, არცთუ იშვიათად, ერთნაირი განწყობის მქონე ბავშვები იყრიან თავს და რჩევებს აძლევენ ერთმანეთს. ეს რჩევები ძალიან შორსაა ლოგიკურობისგან.

ემოციური თვითგამორკვევის დროს მოზარდებს აუცილებლად სჭირდებათ მაშველი რგოლი და აქ მათ ცხოვრებაში შემოდის ინტერნეტი, სადაც ინფორმაციის კონტროლი უკვე სრულიად წარმოუდგენელია.

უკონტროლოდ გაზიარებული ცრუ ინფორმაცია, ვარაუდები, ვერსიები და „დამაჯერებელი ტყუილები“ მოზარდის ემოციურ მდგომარეობას საბოლოოდ ანგრევს და ისინიც იწყებენ მზა მოდელების ძიებას, რომლებსაც მიბაძავენ და დაემსგავსებიან. ბავშვები იქცევიან უპიროვნებო ბრბოს ნაწილად, სადაც კონკრეტული ფიგურის ქცევა და ცხოვრების წესი – ყოველ შემთხვევაში, მისი გარეგნული მხარე – მოწესრიგებული და თვალისმომჭრელია, მაშასადამე, კარგია და კომფორტული.

ბავშვებისთვის ამ პირველადი ფსიქოლოგიური სტრესის ასარიდებლად (და ვინმე თუ მკითხავს, რა საჭიროა არიდება, განა ცხოვრება ბრძოლა არ არისო? – ვუპასუხებ: მაშ, დავტოვოთ ახალშობილები საშშობიაროში და ტაქსით მოვიდნენ შინ!) აუცილებელია, მშობელმა მოიფიქროს შვილის გახსნის მეთოდი, როდესაც ბავშვი ყველაფერს, კარგსაც და ცუდსაც, მშობელს მოუყვება, მისგან, სანდო ადამიანისგან მიიღებს რჩევასაც და დარიგებასაც და არა მესამე პირისგან, რომელსაც საუკეთესო შემთხვევაში თავად აქვს პრობლემები, უარეს შემთხვევაში კი ძალიან არასანდო „კეთილი ბიძაა“.

ბავშვების გასახსნელად კი ალბათ კლასიკური მეთოდი – დამეგობრებაა საჭირო, როცა შვილმა იცის, რომ მისი „ცუდი“ საქციელი აუცილებლად კი არ დაისჯება და გაიკიცხება, არამედ ყველაფერს ექნება განხილვისა და პრობლემის ერთად დაძლევის ფორმა. თუ თქვენი შვილი ვინმემ დაჩაგრა, თქვენ კი მასვე უყვირით, ეს როგორ გაგიბედესო, ცხადია, ბავშვი აღარასოდეს მოგიყვებათ მსგავს ამბებს.

ამბების მოსაყოლად, მახსოვს, ოჯახში საერთო სადილი და ვახშამი გვქონდა, როცა ცხონებული პაპაჩემი ყველას გამოგვკითხავდა, რა მოხდა იმ დღეს საინტერესო ჩვენს ცხოვრებაში. ახლა ასე აღარ გამოდის – ცხოვრების არეული რიტმის გამო მე და ჩემი ოჯახის წევრები ძალიან იშვიათად ვსადილობთ ერთად.

ამიტომ კვირაში ერთი საღამო ავარჩიე, როცა ჩემი შვილი, მათე, იმ კვირის ამბებს მიყვება ხოლმე.

როგორც ჩანს, სწორედ ერთ ასეთ საღამოს, როცა ჩავთვალე, რომ არაფერი დაშავდებოდა, თუ იმ დღის რიტუალს გამოვტოვებდი, ვერ მომიყვა მასწავლებელზე და მერე, როგორც ხდება, პრობლემა გადამალა ან „დაივიწყა“.

პრობლემა კი ასეთი იყო: ალბათ საკუთარი გასაჭირის მქონე პედაგოგმა ჩემი შვილი, რომელიც საკმაოდ ბევრს ლაპარაკობს, რაღაცის გამო ამოიჩემა. ამოჩემებული ბავშვებიც გვინახავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ამოჩემება იყო არაკორექტული, რადგან 8 წლის ბავშვს პედაგოგმა უთხრა, რომ უნიჭო იყო და მასზე დახარჯულ რესურსს სახელმწიფო შესაბამისად ვერ უნაზღაურებდა.

როგორც ჩანს, ამ დიალოგმა ბავშვზე ძალიან იმოქმედა, მისი მოსწრება ფორტეპიანოს ნაწილშიც დაბლა დაეცა და, საზოგადოდ, ხელოვნების ამ დარგის მიმართ ძალიან გულგრილი გახდა.

მე, როგორც გარკვეული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ მყოფმა ადამიანმა, ჩავთვალე, რომ მუსიკაზე გულაცრუება „ლოგიკური“ ამბავი იყო და შვილის წუწუნს, რომ სკოლისთვის თავის დანება უნდოდა, ცოტა გულგრილადაც კი მოვეკიდე.

ამბავი კი თავისით და მარტივად გამჟღავნდა: ერთხელაც ძალიან კარგ გუნებაზე მყოფი შვილი მუსიკალური სკოლის კართან მივიყვანე, ხელი ჩამოვართვი დამშვიდობების ნიშნად და შევამჩნიე, რომ ხელი ოდნავ უკანკალებდა. მივხვდი, რომ რაღაც არ იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო და ამბის გამორკვევა ფრთხილად და მოზომილად დავიწყე.

როგორც თივა ვერ მალავს ცეცხლს, ასე ვერ დამალა თავი ამ ამბავმაც – კლასიდან გადაყვანილ ჩემს შვილს პედაგოგი დერეფანში დახვდა და საქმის ხმამაღლა გარჩევა დაუწყო, რასაც უკვე სხვა უფროსებიც შეესწრნენ, მერე კი, როგორც ხდება ხოლმე, მშობლების ყურამდეც მოვიდა ყველაფერი.

საბედნიეროდ, დირექციის რეაგირება დროული და სწორი იყო, მაგრამ მე რამდენიმე თვე დამჭირდა იმისთვის, რომ მათეს მუსიკისკენ ისევ მიბრუნებოდა გული.

ეს ამბავი ძალიან კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა ჩემთვის – მასწავლა, რომ შვილის პირველი მაშველი რგოლობისთვის, პირველი გამზიარებლობისთვის დრო ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამომენახა.

ვფიქრობ, რომ მოსმენა, მხარდაჭერისთვის მზაობა, ცრუ განგაშზე ზომიერი და ადეკვატური რეაგირება და პრობლემის ვერმოგვარების შემთხვევაში აღიარება, რომ რაღაც შენც არ შეგიძლია, მნიშვნელოვანია.

ბავშვს სუპერმენი მამა ან დედა კი არა, ადამიანი სჭირდება გვერდით და ფიქრი, რომ შვილს „ხვალ მოუსმენ“, ალბათ იმას ჰგავს, წყალში ჩავარდნილ, მაშველი რგოლის მომლოდინე ადამიანს გასძახო, ნარდს გავაგორებ და მერე მოგხედავო.

მეგი კავთუაშვილი

მშობლები დისტანციური სკოლის კედლებთან

ზის და ვზივარ!

ის ეკრანთან, მე ეკრანს მიღმა.

მას ხედავენ, მე უხილავი ვარ.

ის საუბრობს, მე გასუსული ვარ.

უკვე მეორე კვირაა ასეა. დღეში სამჯერ, 30-30 წუთით.

ის online გაკვეთილზეა, მე online კავშირის ხარისხს უზრუნველვყოფ. ასე ვთქვათ, ტექნიკური პერსონალის ჯგუფს მივეკუთვნები. (პარალელურად სამსახურის საქმეს ვაკეთებ)

ზედმეტი ყურადღება რომ არ მივაქციო გაკვეთილის მიმდინარეობას, მოსწავლე შვილს ყურსასმენებს ვთავაზობ. ხან მთანხმდება, ხან – არა. ყურსასმენები მაინც აუცილებელი მგონია, მათი კლასის პირად სივრცეში უნებური ფიქრებით და შთაბეჭდილებებით რომ არ შევიჭრა. თუმცა გადაწყვეტილებას ყურსასმენების გამოყენების შესახებ, მაინც ბავშვი იღებს.

გაკვეთილის მიმდინარეობის დროს კომენტარებს არ ვაკეთებ, არც სიტყვით და არც სხეულის ენით. არ ვიმჩნევ, თუ ჩემმა შვილმა მასწავლებლის კითხვას ვერ უპასუხა; არც იმას, თუ რთულ კითხვაზე პასუხი პირველმა გასცა. მით უფრო, ყურადღებას არ ვამახვილებ მასწავლებლისა და სხვა მოსწავლეების კომენტარებზე. არაფერს ვანიშნებ, თუ მხრებში მოხრილია, თავი მაგიდაზე უდევს, თმა აჩეჩილი აქვს, ეკრანს ახლოდან უყურებს და ა.შ. (თუმცა კი კომპიუტერთან მუშაობის წესები ოფთალმოლოგს საგანგებოდ გამოვკითხე და მიღებულ რჩევებს წერილის ბოლოს გაგიზიარებთ). ყველა შენიშვნას გონებაში ვინიშნავ და ზოგს პირდაპირ, ზოგსაც ირიბად, მაშინ ვუზიარებ, როცა ერთმანეთთად საუბარი შეგვიძლია. (მაგალითად, ასე: ადვილი არ არის ხო, მასწავლებელს უპასუხო, როცა პირისპირ არ ხარ მასთან?! ალბათ, დრო გჭირდება რომ შეეჩვიო!)

მოკლედ იქ, ეკრანს მიღმა, მხოლოდ ერთი მიზნით ვზივარ – დავეხმარო თუ დავჭირდები. სრულად ვაცნობიერებ, რომ online სწავლება დიდი სიახლეა, რომელსაც ბაშვებიც, მასწავლებლებიც და მშობლებიც იძულებით უნდა შევეჩვიოთ. ადაპტაციისთვის კი დრო გვჭირდება. კომუნიკაციის სხვა გზა ამ ეტაპზე არ გვაქვს. ამიტომ სჯობს ყველა რგოლი შევეგუოთ იმას, რომ სირთულეები იქნება. იმაზე მეტი ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ასეთ დროს საუკეთესო გამოსავალი ერთმანეთის დახმარებაა. ჩასაფრებულის პოზიცია მხოლოდ დააზიანებს საერთო მიზანს – პანდემიის პირობებში რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგი განვიცადოთ და ეპიდსიტუაციის გაუმჯობესების პერიოდისთვის ცხოვრების ჩვეულ რიტმში გაგრძელება შევძლოთ.

გაკვეთილებს შორის სულ მცირე 30 წუთიანი ინტერვალია. ამ დროს უმეტესად აივანზე გასვლისთვის ვიყენებთ. ვერ ვიტყვი, რომ უბანში, სადაც ვცხოვრობ, კარგი ჰაერია, მაგრამ მზის სხივები რომ მივიღოთ, ნახევრად ღია ცის ქვეშ ცოტა ხნით ყოფნა მაინც აუცილებელი მგონია.

გაკვეთილების დასრულების შემდეგ სადილი, შემდეგ კი საშინაო დავალების მომზადების პროცესი იწყება. სამეცადინო მასალა „სლაიდებზეა“ მოცემული. Power Point-ში აწყობილ პრეზენტაციებს უმეტესად ვბეჭდავ. ეს გვეხმარება, რომ ბავშვმა კომპიუტერის გარეშე შეძლოს მეორე დღისთვის მომზადება.

ვატყობ, Online სწავლებით გამოწვეული თავდაპირველი აღტაცება ნელ-ნელა იკლებს. გასაკვირი არც არის, რადგან სკოლა მეგობრების და ზოგადად, ცოცხალი ურთიერთობების გარეშე, არც ისე სახალისოა. არ მინდა ამის გამო იმედგაცრუება განიცადოს. გაკვეთილების დაწყებამდე ვაგულიანებ. მაგალითად, ვეუბნები, რომ კარგად გამოიყურება. ასე, თმა ძალიან უხდება. საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ კი ვცდილობ, შევავსო სოციალური ურთიერთობების დეფიციტი და მეტი დრო დავუთმო. ვამხნევებ და ვეუბნები, რომ მეცადინეობაში მე დავეხმარები. ამ სიტყვას იმდენად დიდი ძალა აქვს, მეცადინეობას დამოუკიდებლად იწყებს.

ხან თავად ამოვქექავ მივიწყებულ წიგნებს. მის გვერდით სახელმძღვანელოთი ხელში ვჯდები და წუწუნს ვიწყებ, როგორ დამავიწყდა ინგლისური და როგორ მჭირდება თავიდან სწავლა. წიგნით ხელში რომ მხედავს, ბედნიერდება და მეცადინეობა მისთვისაც სახალისო ხდება.

თუ შევატყვე, რომ კვლავ მოდუნდა, ვთხოვ, მოიცალოს ჩემთვის, რათა მას ჩავაბარო იმ დღეს ნამეცადინები მასალა. სიხარულით აღარ იცის, რა ქნას. ჩემს ნასწავლში შეცდომებს ადვილად პოულობს და გამოცდილებას მიზიარებს, რა მეთოდით ჯობია ვიმეცადინო.

წერილობით მომზადებულ საშინაო დავალებას თითოეული საგნის მიხედვით ტელეფონით „ვასკანერებ“ (პროგრამა CamScaner) და დღის ბოლოს აღმზრდელ-პედაგოგს ვუგზავნი.

მეორე დღეს ისევ იგივე ხდება. მერე კიდევ იგივე და ღმერთმა იცის, კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევს ამ რეჟიმში ცხოვრება.

მიჭირს თქმა, დისტანციურად სწავლა ბავშვებს უფრო უჭირთ, მშობლებს თუ მასწავლებლებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, საქართველოს სკოლების ყოველდღიურ ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა არასოდეს ყოფილა ისეთი აქტუალური, როგორც დღეს.

დასასრული 30-ე გვერდზე

ლევან აღფაიძე

კენ რობინსონი ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების შესახებ

„შემოქმედების უნარი – ეს ადამიანისთვის ბოძებული მთავარი საჩუქარია. რაც უფრო რთული ხდება სამყარო, მით უფრო მეტი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა გვჭირდება, რათა შევძლოთ მის სირთულეებთან გამკლავება“.

მაგრამ ბევრს ეჭვი ეპარება თავის შემოქმედებით შესაძლებლობებში.

გახმაურებულ წიგნში „Out of Our Minds: Learning to be Creative“ („არცთუ მთლად სრულ ჭკუაზე: როგორ ვისწავლოთ კრეატიულობა“) კენ რობინსონი განათლების საშუალებით ადამიანის ნიჭის განვითარების საკითხებს განიხილავს.

თავისი წიგნის დანიშნულების შესახებ რობინსონი გვეუბნება: „ვცდილობ, რამდენიმე კითხვას გავცე პასუხი: რა მნიშვნელობა აქვს შემოქმედებას? რატომ ეპარებათ ხანდახან ადამიანებს ეჭვი თავიანთ შემოქმედებით შესაძლებლობებში? რამ გამოიწვია ეს და რით შეგვიძლია შველა?“

წიგნში განხილულია რამდენიმე ძალიან საინტერესო თემა, რომლებიც ადამიანის შესაძლებლობებს, მის პოტენციალსა და ამ ყველაფრისადმი განათლების მიმართებას შეეხება. „ადამიანის ინტელექტისთვის დამახასიათებელია მრავალფეროვნება და შემოქმედებისკენ, ახლის შექმნისკენ მიმართული უნიკალური შესაძლებლობა და უნარი. ასეთი შემოქმედებითი პოტენციალის შეცნობა და მისი ძიება გახლავთ გზა, რომელიც ადამიანს საკუთარ დანიშნულებასა და მოწოდებას აპოვნინებს.

სწორედ ამ გზაზე სიარულისას არის აუცილებელი განათლება, როგორც დამხმარე და ხელშემწყობი საშუალება. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი განათლება ვერ უმკლავდება ამ ამოცანას. შედეგად, ადამიანების უმრავლესობა მთელ ცხოვრებას ისე ატარებს, რომ ვერ პოულობს საკუთარ დანიშნულებას, ვერ აღმოაჩენს საკუთარ ნიჭს“.

კენ რობინსონი თავის ნაშრომში საინტერესო მასალას გვთავაზობს განსჯისათვის. იგი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ღუპავენ განათლების თანამედროვე სისტემები უამრავი ადამიანის ნიჭსა და შემოქმედებით



კენ რობინსონი (Ken Robinson) – განათლების ინგლისელი მკვლევარი, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო საზოგადოების წევრი, დიდი ბრიტანეთის რაინდის ტიტულის მფლობელი, საერთაშორისო კონსულტანტი განათლების საკითხებში.

უნარს და გვიჩვენებს ამ სისტემების შეცვლის გზებს. რობინსონი ყველას მოუწოდებს, შეიცნონ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის სიმდიდრე და გააცნობიერონ ის მიზეზები, რომელთა გამოც საკუთარ შესაძლებლობებში ხანდახან ეჭვი გვეპარება; ირწმუნონ საკუთარი ძალები და შექმნან ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის განათლებაში ნამდვილ რევოლუციას.

ეს წიგნი პირველად 2001 წელს გამოიცა. წიგნის ახლანდელი ვერსია თავიდან ბოლომდე გადამუშავებულია.

„რატომ დამჭირდა ამ წიგნის ხელახლა გამოცემა და რა არის მასში ახალი?

წიგნის პირველი ვერსია 2001 წელს დავწერე, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა და მსოფლიო როგორც ჩემ გარშემო, ისე ჩემში ძალიან შეიცვალა. თითქმის ყველგან ცვლილებების ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდა და იდეები, რომლებიც ამ წიგნს დაედო საფუძვლად, კიდევ უფრო აქტუალური გახდა. მოდი, დავფიქრდეთ ტექნოლოგიების ცვლილების სიჩქარეზე. ათი წლის წინ ინტერნეტი ბევრისთვის სიახლეს წარმოადგენდა. სმარტფონები, აიპოდები, YouTube-ი და სოციალური ქსელები, Facebook-ი და Twitter-ი ჯერ კიდევ არ იყო ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, დღეს მთელ მსოფლიოში ახდენს გავლენას კულტურასა და ეკონომიკაზე.

მოხდა ბევრი ისეთი რამ, რისი წინასწარმეტყველებაც ათი წლის წინ შეუძლებელი იყო. მაგალითად მოვიყვან 11 სექტემბრის შეტევას აშშ-ზე, რამაც გლობალური ცვლილებები გამოიწვია და მსოფლიო ფინანსურ კრიზისს, რომელიც დღემდე ახდენს გავლენას ჩვენი პლანეტის პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურასა და, საზოგადოდ, გარემოზე. ბიზნესში, განათლებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის მხარდამჭერი არგუმენტების საფუძველი სწორედ ჩვენი ცხოვრების არაპროგნოზირებადობაა – ჩვენ არ შეგვიძლია მომავლის განჭვრეტა.

წიგნის გადამუშავებისა და ხელახლა გამოცემისკენ იმანაც მიბიძგა, რომ დამიგროვდა ბევრი ახალი მოსაზრება მთავარი კონცეფციებისა და მათი რეალიზების საშუალებების შესახებ. ბოლო ათი წლის განმავლობაში აქტიურად ვეწეოდი წიგნში მოყვანილი იდეების პროპაგანდასა და დასაბუთებას მსოფლიოს წამყვანი კორპორაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პოლიტიკოსების, მხატვრების, მეცნიერების, სტუდენტების, მასწავლებლებისა და მშობლების წინაშე. სწორედ ამ დროს დავრწმუნდი, რომ წიგნის პირველ რედაქციაში წარმოდგენილი ჩემეული კონცეფცია კვლავ მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო და ის უფრო ფართო აუდიტორიისთვის უნდა წარმედგინა.

გაგრძელება იხილეთ
www.mastsavlebeli.ge-ზე

მშობლები დისტანციური სკოლის კედლებთან

◁◁ დასაწყისი 29-ე გვერდზე

ეპიდსიტუაციის გაუარესებასთან ერთად სულ უფრო მეტი სკოლა თუ მასწავლებელი დროებით გადადის სწავლების დისტანციურ თუ ონლაინ რეჟიმზე. ამ პროცესის ეფექტიანობა პირდაპირ არის დამოკიდებული მშობლების თანადგომაზე. მით უფრო დაბალ კლასებში, როცა ბავშვებს კომპიუტერთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები არ აქვთ გამომუშავებული, მშობლები სხვა ყველაფერთან ერთად ტექნიკური პერსონალის როლსაც ვითავსებთ. საბაზო და საშუალო საფეხურზე კი შვილებს მშობლებისგან გამხნევება და მოტივაციის ამაღლება კონტროლზე მეტად სჭირდებათ.

და ბოლოს!

რადგან online სკოლა კომპიტერთან ყოველდღიურ კავშირს მოითხოვს, ვფიქრობ მშობლები უნდა ვიცნობდეთ მხედველობის ჰიგიენის მარტივ წესებს, რომელიც ეკრანთან მუშაობის დროს უნდა დაიცვას ბავშვმა. ეს რჩევები მასწავლებლებსაც დაეხმარება, სწორად დაგეგმონ ბავშვების ასაკზე მორგებული გაკვეთილები. თვალის ექიმთან დისტანციური კონსულტაცია საგანგებოდ გავიარე. ოფთალმოლოგ გელა ობერუხტინის რეკომენდაციებს მშობლებს და მასწავლებლებსაც გავუზიარებ:

- **განათება** – კომპიუტერის მონიტორს არ უნდა ეცემოდეს შუქის ანარეკლები; ოთახი არ უნდა იყოს დაბნელებული; სიბნელის შემთხვევაში საჭიროა დამატებითი განათება. ეკრანსა და გარემოს შორის არ უნდა იყოს მკვეთრი კონტრასტი.
- **დისტანცია ეკრანთან** – მონიტორის ეკრანიდან თვალებამდე უნდა იყოს 40-75 სმ. ტელეფონიდან – 30 სმ.
- **გაკვეთილების ხანგრძლივობა:** პირველ კლასელებისთვის დასაშვებია 10 წუთი; II-V კლასელებისთვის 15 წუთი; IV-VII კლასელებისთვის 20 წუთი; VIII-IX კლასელებისთვის –25 წუთი; X-XII კლასელებისთვის – 30 წუთი. აღნიშნულ პერიოდებს შორის 5 წუთიანი შესვენებები.
- **თვალის ვარჯიშები** – გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მარტივი თვალის ვარჯიშები: მაგრად დავხუჭოთ ორივე თვალი 3-5 წამით, გავიმეოროთ 6-8ჯერ. სწრაფად ვახამხამოთ თვალები 1 წუთის განმავლობაში. მსუბუქად დავაჭიროთ თითები დახუჭულ თვალებს 2 წამი და გავიმეოროთ 3-4 ჯერ.

ხუთი კითხვის მეთოდის ერთგვარი ვარიაციაა აქტივობა „5+1“, სადაც ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს კიდევ ერთი (როგორ?) ემატება. შეიძლება ექვსსვეტიანი ცხრილის დახაზვაც, თუმცა უმეტესად აქტივობის შაბლონად იყენებენ ხელის გაშლილი მტევნის გამოსახულებას, რომლის თითებსა და ხელისგულზე დატანილია კითხვითი სიტყვები: ვინ? რა? სად? როდის? რატომ? როგორ?

კითხვები და პასუხები (QAR)

ეს მეთოდი ტექსტის უფრო სიღრმისეულად დამუშავების საშუალებას გვაძლევს. შეგვიძლია, დავაჯგუფოთ მოსწავლეები ან ინდივიდუალურად ვამუშაოთ.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეარჩიოს დასამუშავებელი ტექსტი და მოამზადოს კითხვები, რომლებსაც ჩამოწერს დაფაზე ან ბარათების სახით დაარიგებს კლასში. მას ასევე დასჭირდება სქემა, რომელიც წინასწარ უნდა მოამზადოს და ამობეჭდილი დაურიგოს მოსწავლეებს. ცხრილი შედგება ოთხი უჯრისგან. ერთ-ერთი კითხვის პასუხი მოსწავლემ უნდა მოიძიოს „იქვე, ტექსტში“, ანუ პირველ უჯრაში იწერება ისეთი კითხვა, რომლის პასუხიც ექსპლიციტურადაა მოცემული საკითხავ მასალაში. რაც შეეხება უჯრას „იფიქრე და მოიძიე“, მასში იწერება კითხვა, რომელზეც პასუხი სხვადასხვა ეპიზოდში გაბნეული ინფორმაციის მოძიებით გაიცემა. მესამე უჯრა, „ავტორი და მე“, გამოიყენება იმპლიციტური ინფორმაციის ამოსაკრებად, რისთვისაც მოსწავლეებს წინარე ცოდნის გამოყენება და ავტორთან/პერსონაჟებთან ე.წ. დიალოგის გამართვა მოუწევთ. ცხრილის ბოლო უჯრაში კი თავსდება განზოგადებული ინფორმაცია, რომელსაც ტექსტის წაუკითხავად, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობითაც შეიძლება გაეცეს პასუხი, მაგრამ ტექსტის შესაჯამებლადაც გამოდგება. მაგალითად ისევ „ჯიუტ თხებს“ მოვიშველიებ:

ტექსტში	ჩემს გონებაში
იქვე, ტექსტში სად შეხვდნენ თხები ერთმანეთს? თხები ერთმანეთს მდინარეზე გადებულ ვიწყო ხიდზე შეხვდნენ.	*ავტორი და მე* როგორები აღმოჩდნენ თხები? ორივე თხა აღმოჩნდა ჯიუტი, ქედმაღალი და წინდაუხედავი.
იფიქრე და მოიძიე ჩხუბის დაწყებამდე სთხოვეს თუ არა თხებმა ერთმანეთს უკან დახევა? ერთმა თხამ მეორეს სთხოვა, უკან დაიხიეო, მაგრამ ხიდზე პირველად ამოსულმა თხამ უარი განაცხადა და თავად მოითხოვა გზის დათმობა.	*მე თვითონ* რა არის სიჯიუტე? სიჯიუტე არის თვისება, რომელიც ახასიათებთ ურჩ, ქედმაღალ ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ საკუთარი პოზიციის დათმობა და სხვათა უპირატესობის/სიმართლის აღიარება.

> მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, კითხვების დასმა და პასუხების ძიება უნდა შევაყვარონთ, რადგან სწავლის სურვილს წაკითხულისადმი ინტერესის გაჩენა იწვევს. დაინტერესებული მოსწავლე აუცილებლად დაიწყებს კითხვების დასმას, პასუხებისკენ მიმავალ გზაზე კი შესაძლოა დახმარება დასჭირდეს და ჩვენც მზად დავხვდებით.

მოცემულ ცხრილში შეგვიძლია წინასწარ ჩავწეროთ სასურველი კითხვები და მოსწავლეებს მხოლოდ პასუხების მოძიება-ჩაწერა დავავალოთ ან დაფაზე ჩამოვწეროთ კითხვები, რომლებსაც ბავშვები შესაბამის უჯრებში დამოუკიდებლად გაანაწილებენ. შეგვიძლია, ამოცანა უფრო გავართულოთ და კითხვები თავად მოსწავლეებს მოვაფიქრებინოთ. მათი მოტივაცია გაიზრდება, თუ კითხვების შედგენისას წყვილებს ნამუშევრების გაცვლას, ერთმანეთის კითხვებზე პასუხების მოძიებას და მეწყვილის ნამუშევრის რედაქტირება-შეფასების უფლებას მივცემთ.

კითხვა – ტექსტი ამბობს – მე ვფიქრობ – ამიტომაც

კითხვა კიდევ ერთი გრაფიკული ორგანიზატორის „მთავარი პერსონაჟია“. მისი დახმარებით მოსწავლეები სიღრმისეულად გაიაზრებენ წაკითხულ ტექსტს და აღარ გაუჭირდებათ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა. ამ სქემასაც ზემოთ განხილული მოთხრობის მაგალითზე წარმოგიდგენთ:

კითხვა	ტესტი ამბობს...	მე ვფიქრობ...	ამიტომაც...
რატომ არ დაუთმეს გზა ერთმანეთს თხებმა?	არც ერთს არ უნდოდა უკან დახევა.	მათ დათმობა არავინ ასწავლა.	იჩხუბეს და მდინარეში ჩაცვივდნენ.

ამჯერად სქემაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სვეტი. მის მსგავსად უნდა შეივსოს დანარჩენი სვეტებიც, რომელთა რაოდენობაც მასწავლებლის მიერ დასმული/დაფაზე ჩამოწერილი კითხვებით განისაზღვრება.

როგორც ხედავთ, ერთი და იმავე ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღება ყოველ ჯერზე „სწორი“ კითხვების გამოყენებით შევძელით. ამიტომ მიმაჩნია, რომ მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, კითხვების დასმა და პასუხების ძიება უნდა შევაყვაროთ, რადგან სწავლის სურვილს წაკითხულისადმი ინტერესის გაჩენა იწვევს. დაინტერესებული მოსწავლე აუცილებლად დაიწყებს კითხვების დასმას, პასუხებისკენ მიმავალ გზაზე კი შესაძლოა დახმარება დასჭირდეს და ჩვენც მზად დავხვდებით.

თამარ გეგეშიძე

ჩუმები, შეუმჩნევლები, ზარმაცები და უიღბლოები

– კიდევ ერთხელ სცადე, კესო!

– აზრი არ აქვს, მას, მაინც არ გამომივა, – ჩამოყრის ხელებს, – ასეთი ვარ!

– არა უშავს, გიო, ჭკვიანი ხარ, შემდეგისთვის უკეთ მოემზადები!

– ტყუილია, მას, არ ვარ ჭკვიანი! – ეღიმება.

– საბა, როგორ წაიქეცი, თანაც ასეთი უსაფრთხო თამაშის დროს?!

– უიღბლო ვარ, მას! – კედელს უყურებს, – ყოველთვის უიღბლო ვიყავი!

არადა, მასწავლებლად რომ დავიწყე მუშაობა, ერთი შეხედვით, სკოლა სავსე ჩანდა ენერგიული, მხიარული, ჰიპერაქტიური ან სხვების ნერვებზე მოთამაშე, ხმაურიანი, შფოთისთავი ან სულაც მოჩხუბარი ბავშვებით! ყოველთვის ვხედავდი ასეთებს, და თუ ვერ ვხედავდი, თვალში მეჩხირებოდნენ - პირველ მერხზე, დერეფნის შუაგულში, საკლასო ოთახის ზღურბლთან, მეგობრებთან მოთამაშეები, ხმამაღლა მოსაუბრეები, აწეული ხელებით, მყღერი ხმით, ანთებული თვალებით. მხოლოდ მოგვიანებით დავიწყე სხვების შემჩნევაც – მერხებში შეყუჟულების, მდუმარეების, მოღუშულების, დერეფანში მარტო მოხეტიალეებისა და დაბალი ქულების უკან მდგომების.

– ყველას გვაქვს რაღაც ნიჭი, საჭიროა მხოლოდ მისი აღმოჩენა, – ომახიანად ვამბობ ათასჯერ ნათქვამ, ამოკითხულ, გაცვეთილ ფრაზას. არადა, ზუსტად ვიცი: სანამ არ აღმოვაჩენთ, არაფერიც არ გვაქვს, იდეებისგან დაცლილი თავისა და ნატკენი გულის გარდა!

– დაუკვირდით თქვენს თავს და მიხვდებით, რისი კეთება მოგწონთ ყველაზე მეტად!

– ვქადაგებ ძველი მისიონერივით, რომელსაც ნებისმიერ ფასად ევალება სარწმუნოების გავრცელება, თუმცა მესმის, რომ საყვარელ საქმიანობას არათუ ბავშვები, უფროსებიც კი მთელი ცხოვრება ეძებენ და ხანდახან ვერც პოულობენ. მაგრამ თავს ვირწმუნებ, რომ რაკი მასწავლებელი ვარ, „ხელებდაბანილი“ ვერ დაველოდები, სანამ მორიგი ნიკა ან მარი თავის უუნარობაში გამომიტყდება.

მერე საკუთარ თავზეც ვფიქრობ – ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი ვარ, შემიძლია, ერთ საათში გავასწორო ოცი რვეული, ერთ ღამეში შევადგინო ოთხი კლასის ტესტები, ოცდაოთხჯერ მოვისმინო „კაი ყმა“, ათჯერ ავხსნა რომელიმე უსაშველოდ გრძელი და აუცილებლად ზმნასთან დაკავშირებული წესი, რამდენჯერმე მოვყვე ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრის ეპიზოდს და ყოველ ჯერზე – განსხვავებულად, ისეთი ემო-

> – ყველას გვაქვს რაღაც ნიჭი, საჭიროა მხოლოდ მისი აღმოჩენა, – ომახიანად ვამბობ ათასჯერ ნათქვამ, ამოკითხულ, გაცვეთილ ფრაზას. არადა, ზუსტად ვიცი: სანამ არ აღმოვაჩენთ, არაფერიც არ გვაქვს, იდეებისგან დაცლილი თავისა და ნატკენი გულის გარდა!

ციით ვილაპარაკო რომელიმე საყვარელი პერსონაჟის თვისებებზე, რომ ტიბეტელი ბერივით ორი სანტიმეტრით ავცდე მიწას და დაუსრულებლად ვიქაქანო წიგნის კითხვის მნიშვნელობაზე, მაგრამ არ შემიძლია, თავში ჩავუძვრე მეშვიდეკლასელ ანდროს და გავიგო, რას ფიქრობს, როცა მარტო რჩება და ძილის წინ დამღლელ დღეს აჯამებს („დაბალი ქულა ქართულში, მათემატიკაში, გეოგრაფიაში... დედამ, ალბათ, უკვე იცის, დამრიგებელი ეტყოდა, ამიტომაც არ გამცა ხმა ამ საღამოს, საჭმელიც კი არ დამაძალა. კიდევ ორი საგანი და ამ თვესაც გადავაგორებ, მერე ცოტა ხნით თავს დამანებებენ! სანამ ისევ არ მოვა თვის ბოლო...“)

არც თაზოსი მესმის, რომელიც მთელი გაკვეთილი თავაუღებლად ხატავს, განურჩევლად იმისა, გურამიშვილზე ვსაუბრობ თუ ზმნას ვარჩევ. ხატავს მაშინაც, როცა სხვები შემაჯამებელ ტესტებს წერენ, კამათობენ, ფილმს უყურებენ, კითხვებს სვამენ ან, უბრალოდ, ხმაურობენ („ერთხელაც იქნება, დედა მართლა გადამიყრის ფანქრებსა და სახატავ რვეულებს, თიხას, პლასტილინს, კუბიკებს, გადამიყვანს უცხო სკოლაში და ყველა საგანში მომამზადებს – იქნებ ცოტა გამოვფხიზლდე. და თუ არ მინდა გამოფხიზლება?!“). თაზო მორიგი მოწყენილი, ათასფიქრიანი ნიღბის ხატვას ასრულებს და ბალიშის ქვეშ მალავს.

ვერც გიგას ფიქრებს ვიგებ, მხოლოდ ვაკვირდები. თითქმის არასდროს იცის გაკვეთილი, სულ ჩაფიქრებულია, თავი მერხზე უდევს, ან კლასი ეპატარავება და ჩემ იქით, დაფის იქით, კარის იქით თვალებით შორეთს ეძებს („ხანდახან მესმის მასწავლებლის ხმაც. სიტყვები შორიდან მოდიან, ერთმანეთს უკავშირდებიან და რაღაც ამბავს ყვებიან, რომელმაც, შესაძლოა, დამაინტერესოს. ვცდილობ, ამ ამბავს ბოლომდე მივყვე, თანაც მასწავლებელს რბილი ხმა აქვს და ხანდახან გადმომხედავს ხოლმე. მაგრამ მერე ისევ ყველაფერი ბუნდოვანდება, ალბათ, იმიტომ, რომ რაღაცას ვერ ვიგებ და მოსმენას ვწყვეტ. მასწავლებელი ისევ შემომხედავს, მაგრამ უკვე თვალს ვარიდებ. ის აგრძელებს, ამბავი ისევ მიდის, მე ვრჩები, თავს მერხზე ვდებ“).

ნეტავ, ვიცოდე, რა ხდება თემოს გონებაში მას შემდეგ, რაც სკოლაში ათას შენიშვნას მიიღებს, ათასჯერ შეეცდება, „გამოსწორდეს“ და ათასჯერვე ვერ შეძლებს! („ალბათ, დღესაც არ მომცემენ კომპიუტერის ჩართვის უფლებას! ფეხბურთსაც გამაცდენინებენ, არადა, ყველას დავპირდი, მოვალ-მეთქი. ძალიან ცდებიან, თუ ჰგონიათ, ამით რამეს მიაღწევენ, თუ ჰგონიათ, მე არ მინდა გაკვეთილებზე წყნარად ყოფნა. ყველას ჯიბრზე, არ ვისწავლი და არ მოვისმენ. მაინც არავის ესმის ჩემი“).

მერე სახლში მივდივარ, მძიმე ჩანთას მაგიდაზე ვდებ, შვილებს ვკოცნი, საჭმელს ვაკეთებ, არეულ-დარეულ ნივთებს ვაწესრიგებ და ჩემს თავს ვახსენებ, რომ არც მისიონერი ვარ და არც ტიბეტელი ბერი. ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი ვარ და რაკი მხოლოდ ის შემიძლია, რაც ვიცი, ნაცნობ გზას ვადგები და ნაცნობ ხერხებს ვირჩევ – კეთილგანწყობასა და თანაგანცდას:

– ანდრო, ძალიან მინდა, იმ თვეში შედეგები გააუმჯობესო, მზად ვარ, ყველანაირად შეგიწყო ხელი. და შენ?

– რაკი ხატვა გიყვარს და ასე კარგად გამოგდის, იქნებ ჩვენი ნაწარმოებიდან დაგვიხატო რომელიმე სცენა? რას იტყვი, თაზო? ყველასთვის საინტერესო იქნება!

– გიგა, დღეს ცოტა დრო გამოვნახოთ. მეჩვენება, რომ სათანადოდ ვერ დაგაინტერესე და იქნებ ცალკე უკეთ აგიხსნა ამ ნაწარმოების მნიშვნელობა.

– თემო, პირველი ნაბიჯი უნდა გადადგა და ჩემი მოსმენა დაიწყო, დანარჩენში მე დაგეხმარები. ვფიქრობ, გონიერი ადამიანი ხარ, ხომ ასეა?

მთავარია, რომ მე, მასწავლებელი, ვხედავ მათ და ვცდილობ, ნელ-ნელა ჩამოვაშორო ჩუმების, შეუმჩნევლების, ზარმაცებისა და უიღბლოების იარლიყები.

თეკლე კაკაბაძე

აღმზრდელ-პედაგოგის ექვსი როლი

ბევრს ჰგონია, რომ განათლების სექტორში მუშაობა არც ისე რთულია, თუმცა ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებს გაცილებით დიდი მისია აკისრიათ, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. სამი წლის ასაკში ბავშვის ტვინის თითქმის 85% უკვე ფორმირებულია. ადრეულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოფნა კი მისთვის არის შესაძლებლობა, არსებულ ფუნდამენტს დააშენოს ის უნარები, რომლებიც მომავალში წარმატების მიღწევაში დაეხმარება. ამ მნიშვნელოვანი მისიის შემსრულებელ ძირითად ბირთვს კი აღმზრდელ-პედაგოგები ქმნიან.

საქართველოს სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევაში (2018) ვკითხულობთ, რომ აღმზრდელ-პედაგოგების უმრავლესობას აქვს სურვილი, გაიაროს კურსები პროფესიული უნარების გასაუმჯობესებლად, თუმცა საჯარო ბაღებს თავიანთი კადრებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების საფასურის ასანაზღაურებლად ფინანსური რესურსები არ გააჩნიათ, და ვინაიდან აღმზრდელებისა და პედაგოგების ხელფასი მეტად მცირეა, ისინი ვერ ახერხებენ ამგვარ კურსებზე დასწრებას. ამასთან, საქართველოს მთავრობამ 2017 წლის ოქტომბერში დაამტკიცა სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული სტანდარტები, რომელთა შორის არის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტიც. დოკუმენტი განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დასაქმებული აღმზრდელ-პედაგოგების სტანდარტის ამოქმედებიდან 2024 წლის 1 სექტემბრამდე და 2024 წლის პირველი სექტემბრიდან დასასაქმებელი აღმზრდელ-პედაგოგების განათლებასა და პროფესიულ მახასიათებლებს.

სანამ სახელმწიფო სტანდარტების მისაღწევად შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური ნება ფორმირდება და საჭირო რესურსების გადანაწილებისას ბიუროკრატიას დავძლევთ, საქართველოში მოქმედი აღმზრდელ-პედაგოგები ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ყოველდღიურად ფასდაუდებელ შრომას ეწევიან. თუ შევადარებთ საქმის მოცულობას (დიდ ქალაქებში საშუალოდ 30-მდე აღსაზრდელია ჯგუფში) და ანაზღაურებას (ყოველთვიურად - საშუალოდ 336 ლარი), დავრწმუნდებით, რომ განვითარებაზე ორიენტირებული აღმზრდელ-პედაგოგების ენთუზიაზმი და საქმის სიყვარულია ამ სფეროში დარჩენის ძირითადი მიზეზი, მათი შრომის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

და მაინც, რა ხდება საბავშვო ბაღში მას შემდეგ, რაც ბავშვს დატოვებთ?

აღმზრდელ-პედაგოგებს ევალებათ, ხელი შეუწყონ აღსაზრდელების ქცევით, კოგნიტიურ, სოციალურ და ფიზიკურ განვითარებას. ბავშვები

> აღმზრდელ-პედაგოგებს ევალებათ, ხელი შეუწყონ აღსაზრდელების ქცევით, კოგნიტიურ, სოციალურ და ფიზიკურ განვითარებას. ბავშვები სწავლობენ თამაშით, პრობლემების გადაჭრითა და ექსპერიმენტებით.

> აღმზრდელ-პედაგოგებს შევადარებდი ფუტკრებს, რომლებიც ფიჭას საჭირო მასალით ავსებენ, რათა საბოლოოდ ყველასთვის სასარგებლო შედეგი მიიღონ.

სწავლობენ თამაშით, პრობლემების გადაჭრითა და ექსპერიმენტებით. მათ შევადარებდი ფუტკრებს, რომლებიც ფიჭას საჭირო მასალით ავსებენ, რათა საბოლოოდ ყველასთვის სასარგებლო შედეგი მიიღონ. და ამ ექვსკუთხედში ფუსფუსისას, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ვლინდება აღმზრდელ-პედაგოგის შემდეგი როლები:

1. ისინი აშენებენ ძლიერ ურთიერთობებს და ახალისებენ პოზიტიურ ფასეულობებს

სწავლა შეიძლება ეფექტიანი იყოს აღმზრდელობით, ხელშემწყობ და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. ამის მისაღწევად აღმზრდელ-პედაგოგები ცდილობენ, გააღვივონ პოზიტიური და ნდობით სავსე ურთიერთობები იმ ბავშვებს შორის, რომლებზე ზრუნვაც უწევთ. ამის მიღწევა შესაძლებელია ინტერაქციით და ბავშვებთან ერთად ყოველდღიურ აქტივობებში მონაწილეობით. პედაგოგები, აგრეთვე, ცდილობენ, დაადგინონ და დააკმაყოფილონ თითოეული ბავშვის საჭიროებები და ინტერესები, ყოველდღიურად შეაფასონ გამოცდილებები და მიზნის მისაღწევად ოჯახებსა და საზოგადოებასთან რეგულარული კომუნიკაცია დაამყარონ. გიფიქრიათ, როგორ უნდა ავუხსნათ ოთხი წლის ბავშვს, რა არის ერთიანობა, პატივისცემა და მოლაპარაკება? აღმზრდელები ინდივიდუალური შემთხვევების და ხანდახან ბავშვების შეცდომების გამოყენებით ცდილობენ, პოზიტიური ღირებულებებისკენ უბიძგონ აღსაზრდელებს. ისინი ასევე აღიარებენ, ახალისებენ და აფასებენ მათ მიერ გამოხატულ პოზიტიურ დამოკიდებულებებს.

2. აღმზრდელები ქმნიან მიზნობრივ სივრცეებს

საკლასო ოთახში მნიშვნელოვანი საგნებია, რომლებიც აძლიერებს სასწავლო კონცეფციებს, ხელს უწყობს შემოქმედებითობისა და სოცი-

ალური უნარების განვითარებას. აღმზრდელები ქმნიან სასწავლო კუთხეებს (აღმოჩენების კუთხე, თამაშის ზონა, ზღაპრების კუთხე, კულინარიული კუთხე და სხვ.). ისინი შეესაბამება ბავშვების ინტერესებს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. აღმზრდელები ასევე აკვირდებიან ბავშვების მიერ ამა თუ იმ თამაშში გამოვლენილ უნარებს, ეს დაკვირვება კი მათ დააფიქრებს აქტივობებისა და უნარების გაფართოების ახალ გზებზე.

3. ისინი დარაჯობენ აღსაზრდელების უსაფრთხოებას და მათი საუკეთესო მეგობრები არიან

ყოველდღიური თავისუფალი დრო გარეთ თამაშისთვის (თუ ასეთი სივრცე ხელმისაწვდომია) არ არის ის პერიოდი, როდესაც აღმზრდელებს აქვთ უფლება, ცოტა დაისვენონ. ეს პროცესი მათ ახალ როლს აკისრებს, რაც გულისხმობს ბავშვების უსაფრთხოებისთვის თვალის დევნებას. ამ დროს ისინი ზრუნავენ აღსაზრდელების განვითარების ხელშეწყობაზე და ეხმარებიან მათ სათამაშო მოედანზე არსებული რესურსების შემოქმედებითად გამოყენების შესაძლებლობების აღმოჩენაში. აღმზრდელები სვამენ კითხვებს, ქმნიან გამოწვევებს, აძლევენ მითითებებსა და სთავაზობენ იდეებს თამაშის საინტერესოდ გასაგრძელებლად.

4. ითვალისწინებენ ბავშვების საჭიროებებს

იფიქრეთ დაღლილ და მშიერ ბავშვზე, რომელსაც აცვია დასვრილი ტანსაცმელი. როგორ ფიქრობთ, ის მზად იქნება სწავლისთვის? ბავშვის ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა თანაბარი მნიშვნელობისაა, როდესაც ამას სკოლამდელ დაწესებულებაში მათთვის ცოდნისა და უნარების გაზიარებას ვადარებთ. აღმზრდელები ყურადღებას აქცევენ ბავშვების კვებას, ჰიგიენური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ისინი იყენებენ შესაბამის მეთოდებს ბავშვების მოდუნებაში დასახმარებლად, რათა მშვიდად განახორციელონ ის ყოველდღიური რუტინა, რომელიც შეიძლება სტრესული იყოს მათთვის.

5. აღმზრდელები მეზღაპრეებიც არიან

გარდა იმისა, რომ ზღაპრების კითხვით აღსაზრდელებს მოტივაციას უქმნიან, თავადაც წაიკითხონ მომავალში, ისინი ხმის ტემბრითა და პერსონაჟების მიბაძვით აცოცხლებენ ისტორიებს. ამ დროს ბავშვები ხვდებიან ზღაპრული სამყაროს სხვადასხვა პერსონაჟს და მომდევნო ეპიზოდის გაცნობამდე მსჯელობენ უკვე წაკითხული ისტორიების შესახებ.

6. არიან ცვლილებათა მენეჯერები

სკოლამდელ განათლებაში ტრანზიცია გულისხმობს პროცესს, როდესაც ბავშვები ერთი აქტივობიდან მეორეზე გადადიან. ასეთ დროს მათ შესაძლოა გამოამჟღავნონ რთული ქცევა, განსაკუთრებით მაშინ, თუ არ იცნობენ ახალ აქტივობას, არ იციან წესები, გრძნობენ გაურკვევლობას ან არ სურთ იმ თამაშის დასრულება, რომელიც მოსწონთ. ამ დროს აღმზრდელები იგონებენ ხრიკებს, რომ ეს ცვლილებები ბავშვებისთვის შეუმჩნეველი იყოს. ინტერაქციული სიმღერები და როლური თამაშები, რომლებიც ეხება საკლასო წესებს, კარგი დამხმარეა. ასევე კარგი რესურსია საკლასო წესებზე ვიზუალური მინიშნებები. აღსანიშნავია ისიც, რომ საკლასო წესებზე სასწავლო სემესტრის დაწყებისას მთელი ჯგუფი ერთად თანხმდება.

მსოფლიოში ალბათ არ არსებობს აღმზრდელი, რომელიც ყველა ვალდებულებას იდეალურად შეასრულებს. თითოეულს აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები. მაგრამ არსებობენ აღმზრდელები, რომლებიც არასდროს წყვეტენ სწავლას და განვითარებას, რათა უკეთ მოემსახურონ ბავშვებს და მათ ოჯახებს. თუ არსებულ რესურსებს უფრო ახლოდან დავაკვირდებით, შესაძლოა აღმოვაჩინოთ, რომ შეგვიძლია, სააღმზრდელო პროცესში წარმატებით მოვირგოთ მრავალი როლი და უფრო შემოქმედებითი გავხადოთ აღსაზრდელებთან გატარებული დრო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი
2. სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა

ნათია უჩავა

კითხვითი უნარების გაუმჯობესება და პრობლემების მოგვარების გზები

> მასწავლებლის მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს პრობლემების აღმოფხვრას, მეორე მხრივ კი ეხმარება მასწავლებელს ცოდნის მიღებასა და გამდიდრებაში. პრაქტიკული კვლევის საჭიროება ჩნდება მაშინ, როდესაც არსებული ვითარების შეცვლა გვინდა.

მასწავლებლის მიერ საკუთარი პრაქტიკის კვლევა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს პრობლემების აღმოფხვრას, მეორე მხრივ კი ეხმარება მას ცოდნის მიღებასა და გამდიდრებაში. პრაქტიკული კვლევის საჭიროება ჩნდება მაშინ, როდესაც არსებული ვითარების შეცვლა გვინდა.

მასწავლებლები ხშირად ვაწყდებით კითხვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამ სტატიაში მოგიყვებით ჩემს პრაქტიკულ კვლევაზე, რომელიც კითხვითი უნარების გაუმჯობესების გზებს გთავაზობთ.

თავდაპირველად, მინდა, პრაქტიკულ კვლევასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოვყო, რათა ერთგვარი წარმოდგენა შეგიქმნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ნებისმიერი მასწავლებლისთვის ასეთი კვლევის ჩატარება. პრაქტიკული კვლევის დროს როგორც თეორია და პრაქტიკა, ისე კვლევა და მოქმედება კავშირშია ერთმანეთთან.

ჩემი კვლევის მიზანი დაისახა მაშინ, როდესაც ანბანის შესწავლა დავასრულეთ და კითხვაზე გადავედით. გარკვეული ხნის შემდეგ აშკარა გახდა, რომ კლასში კითხვის პრობლემა იდგა. მოსწავლეების უმრავლესობა ვერ კითხულობდა გამართულად, არ ჰქონდათ საკმარისი ლექსიკური მარაგი, უჭირდათ წაკითხულის გააზრება. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე, ჩამეტარებინა პრაქტიკული კვლევა, რომლის მიზანი იყო, მოსწავლეებს კითხვის ეფექტური მეთოდებითა და სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით გაეუმჯობესებინათ კითხვის ტექნიკა, ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, აემაღლებინათ გაგება-გააზრების დონე და გაემდიდრებინათ ლექსიკური მარაგი.

კვლევის **სამიზნე ჯგუფი** გახლდათ:

1. სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები (პირველი კლასი);
2. სადამრიგებლო კლასის მშობლები;
3. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები.

კვლევის დროს ვცდილობდი, პასუხი გამეცა შემდეგ კითხვებზე:

- რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას კითხვის ეფექტურობაზე?
- როგორ ვიყენებთ კითხვის სტრატეგიებს კლასში?
- როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს კითხვის მეთოდების გამოყენების პრაქტიკა?
- რა შეიძლება გაკეთდეს სამომავლოდ ამ მეთოდების კიდევ უფრო დასახვეწად?

კვლევის დასაწყისში გავეცანი ლიტერატურას. ბევრი საინტერესო სტატია აღმოჩნდა პორტალ mastsavlebeli.ge-ზე, რომლებიც მუშაობის პროცესში დამეხმარა.

მონაცემთა შეგროვება გადავწყვიტე რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. მიმაჩნია, რომ ორივე მეთოდის გამოყენება კვლევას უფრო სანდოს ხდის.

კვლევის განხორციელება და ანალიზი

კვლევის პირველ ეტაპზე დავაკვირდი საგაკვეთილო პროცესს ჩემს სადამრიგებლო კლასში. შედეგად, უკეთ შევისწავლე არსებული პრობლემები. შევარჩიე ფოკუსჯგუფის წევრები, რომლებთანაც ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუ. ეს

მეთოდი გამოვიყენე დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან, რამაც პრობლემის მიზეზები უფრო მკაფიოდ გამოკვეთა.

კლასში ჩავატარე გამოკითხვა, რომლის მეშვეობითაც დავადგინე კითხვისადმი მოსწავლეების დამოკიდებულება, მათი ინტერესები და კლასში არსებული ზოგადი ფონი. ამან საშუალება მომცა, ეფექტურად შემემუშავებინა ინტერვენციული მეთოდები.

შედგენილი კითხვარის გამოყენებით ანონიმური გამოკითხვა ჩავატარე მშობლებთან. დავადგინე, რამდენად უწყობენ ხელს შვილებს კითხვაში, კითხვის რომელ მეთოდებს იყენებენ, ხედავენ თუ არა პრობლემას.

სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარე მასწავლებლებთან, რათა დამედგინა ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის გზებსაც შემდეგში შევთავაზებდი.

მას შემდეგ, რაც გავეცანი ლიტერატურას და შევაგროვე მონაცემები, **შევიმუშავე ინტერვენციის მეთოდები,** რომლებიც ითვალისწინებდა კვლევის შედეგად გამოვლენილი **პრობლემების მოგვარებას**. გაკვეთილები ჩავატარე შემდეგი სტრატეგიების მიხედვით:

1. **დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა,** რომლის მიზანიც იყო ტექსტის მახასიათებლებისა და ფონეტიკური შემადგენლების ცოდნა, ტექსტის შინაარსის გაგება/გააზრება, გაბმული კითხვა და ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ამგვარი ინტერვენცია ვიზუალური წიგნიერებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებასაც ემსახურება.

მოსწავლეებისთვის შევქმენი დიდი წიგნი, რომელიც ილუსტრაციებით გავაფორმე. ამან მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაც გამოიწვია – დიდი ზომის წიგნი ძალიან მოეწონათ. ბავშვები კითხულობდნენ ჩემთან ერთად, მეწყვილესთან ერთად და ინდივიდუალურად. მქონდა გამოჭრილი ჩარჩო, რომელშიც ერთ სიტყვას ვათავსებდი. მოსწავლეებს უნდა ამოეკითხათ ის, დაესახელებინათ და განემარტათ. ამ ინტერვენციულმა მეთოდმა ხელი შეუწყო სემიოტიკური კომპეტენციის გამომუშავებასა და განვითარებას. მოსწავლეებს განუვითარდათ საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარი.

2. **ორიენტირებული კითხვა** – ეს მეთოდი ხელს უწყობს ტექსტის გაგებას, მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ვარაუდების გამოთქმისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. სიღრმისეულად ხდება ტექსტის დამუშავება.

მოსწავლეებისთვის შევარჩიე მცირე ზომის, მარტივი ტექსტი. ის მონაკვეთებად დავყავი. დაფაზე გავაკარი ფორმატი, რომელზეც ვარაუდების სქემა მქონდა დახაზული. მოსწავლეებს წავუკითხე ტექსტი და მათი მოსაზრებების მოსმენის შემდეგ შევავსე ვარაუდების სქემა, ბოლოს კი შევსებული სქემა შევაჯამეთ.

ორიენტირებული კითხვის წყალობით მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში. ეს მეთოდი იძლევა საშუალებას, ყველა დონის მოსწავლემ გაიაზროს ტექსტი, არ გაეფანტოს ყურადღება და დარჩეს დაინტერესებულ მკითხველად.

	როგორ ფიქრობთ რა მოხდება?	რატომ ფიქრობთ ასე?	სინამდვილეში რა მოხდა?
სათაურის წაკითხვის შემდეგ			
I მონაკვეთის შემდეგ			
II მონაკვეთის შემდეგ			
III მონაკვეთის შემდეგ			

3. **მნიშვნელოვანი სიტყვები** – ამ დროს მოსწავლეები მხოლოდ ახალ სიტყვებზე კი არ მუშაობენ, არამედ სხვადასხვა კონტექსტში მათი გამოყენების უნარჩვევასაც იძენენ. აგრეთვე, განასხვავებენ ტექსტში მთავარ და მეორეხარისხოვან ინფორმაციას.

მოსწავლეებისთვის შევარჩიე აღწერილობითი ტიპის ტექსტი, რომელშიც რამდენიმე უცხო სიტყვა იყო. ყველა მოსწავლისთვის მოვამზადე ტექსტი და დავურიგე წებოვანი ბარათები. სანამ უშუალოდ ტექსტზე მუშაობას დავიწყებდით, გონებრივი იერიშის გამოყენებით მოსწავლეებს გავულვიძე ინტერესი. მივეცი შემდეგი დავალება: წებოვან ბარათებზე ამოეწერათ მნიშვნელოვანი სიტყვები, რომლებიც შინაარსის გააზრებას შეუწყობდა ხელს, მერე კი გაეკრათ დაფაზე, რათა გამოკვეთილიყო ყველაზე რეიტინგული სიტყვა. იმისთვის, რომ ეს სიტყვები უკეთ გაეაზრებინათ, მოსწავლეებს მივეცი სხვადასხვა დავალება. ისინი დავყავი ჯგუფებად. ერთ ჯგუფს მოცემული სიტყვების სინონიმები და ანტონიმები უნდა დაეწერა, მეორეს ტექსტიდან უნდა ამოეწერა წინადადება, რომელშიც ეს სიტყვა იყო გამოყენებული, მესამეს კი უნდა მოეყვანა კონკრეტული მაგალითი, როგორ გამოიყენებდა ამ სიტყვას სხვა კონტექსტში.

4. **მკითხველთა თეატრი**, რომელიც გამართულ კითხვასა და გაგებას უწყობს ხელს. კვირის დასაწყისში მოსწავლეებისთვის შევარჩიე მოთხრობა, რომელიც დატვირთული იყო დიალოგებით. მოსწავლეებს გავუნაწილე როლები და მივეცი შესაბამისი ტექსტი. მათ მთელი კვირა ჰქონდათ ტექსტის დასამახსოვრებლად. ასევე ვესაუბრე თეატრის მნიშვნელობაზე, გავაცანი ტერმინები და მეტი სიცხადისთვის წავიყვანე თეატრში, სპექტაკლზე „ტყის ამბები“. ყოველივე ამის შემდეგ კლასში გავმართეთ წარმოდგენა, რომელიც თვითონვე გავაფორმეთ. ყველა მოსწავლე თავის ტექსტს ამბობდა, ცდილობდნენ, ის შესაბამისი გამომეტყველებითა და ინტონაციით წარმოეთქვათ. წარმოდგენის შემდეგ გავაკეთე განმავითარებელი კომენტარები.

გარდა სტრატეგიული გაკვეთილებისა, დავგეგმე და განვახორციელე შემდეგი ინტერვენციები:

- მოსწავლეები ჩავრთე სხვადასხვა აქტივობაში, როგორიცაა, მაგალითად, რესურსის შექმნა (ერთ-ერთი რესურსი მკითხველთა თეატრის დროს გამოვიყენეთ);
- მოსწავლეებს შევაქმნევინე პორტფოლიო, რომელშიც მათი ნამუშევრები შევინახეთ. ნამუშევრები შეფასდა,



- აღინიშნა მათი სუსტი და ძლიერი მხარეები;
- მოსწავლეებს ვაძლევდი ინტერესებს მორგებულ დავალებებს როგორც სახლში, ასევე კლასში;
- მშობლებს ვთხოვე, გამოეყოთ სახლში კითხვისთვის დრო, დაახლოებით 30 წთ.

ალბათ საინტერესოა, რა შედეგი მოჰყვა განხორციელებულ ინტერვენციებს.

განხორციელებული ცვლილებები და ინტერვენციის შეფასება

ჩემმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ გაიზარდა კითხვაში მოსწავლეთა მაჩვენებელი. ისინი ხალისით კითხულობდნენ, ინტერესი გაუჩნდათ კლასგარეშე ლიტერატურის მიმართ. იმატა მშობელთა ჩართულობამ. ისინი ხელს უწყობდნენ ბავშვებს, ეფექტურად გამოეყენებინათ სახლში დრო კითხვისათვის. მშობელთა ჩართულობამ დადებითად იმოქმედა მოსწავლეების პასუხისმგებლობაზეც.

შექმნილმა პორტფოლიომ მოსწავლეებს თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები ნათლად დაანახა.

მოსწავლეების ინტერესებს მორგებულმა საშინაო და საკლასო დავალებებმა გააქრო კითხვისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ბავშვებმა დაძლიეს შიში და დისკომფორტის განცდა.

დიდი წიგნების ერთობლივად წაკითხვის შედეგად მოსწავლეებს წიგნისადმი დამოკიდებულება შეეცვალათ, ისინი პოზიტიურად განეწყვნენ. ხალისით ჩაერთნენ მკითხველთა თეატრში, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, თავად შექმნეს რესურსები. მათ გამართულად დაიწყეს კითხვა.

მნიშვნელოვანი სიტყვების გამოყენების შედეგად მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი გამდიდრდა. ასევე განმტკიცდა ტექსტის გაგება-გააზრების უნარი.

ორიენტირებული კითხვის შედეგად მოსწავლეებმა სიღრმისეულად დაამუშავეს ტექსტი, გამოხატეს საკუთარი დამოკიდებულებები, განუვითარდათ კრიტიკული აზროვნება და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

ინტერვენციების შესაფასებლად ჩავატარე განმეორებითი გამოკითხვა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შორის. მოვაწყვე შეხვედრა კოლეგებთან.

შეგროვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ ინტერვენციების ეფექტი მოსწავლეებისა და მშობლების მიერ დადებითად შეფასდა.

დასკვნა და რეკომენდაციები

ჩემ მიერ დანახული პრობლემა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. როგორც დასაწყისში აღვნიშნე, სწორედ ამ პრობლემის მიზეზებზე ავაგე ჩემი კვლევა, გამოვიყენე სათანადო ლიტერატურა, დავგეგმე კვლევის მეთოდები. ინტერვენციებმა დადებითი შედეგი გამოიღო,

> ყოველივე ეს ზრდის საგაკვეთილო პროცესით მოსწავლეთა კმაყოფილებას. კითხვის პროცესი მათთვის ხდება უფრო სახალისო და ისინი სიამოვნებით მონაწილეობენ მასში.

კითხვის პრობლემა კლასში ფაქტობრივად მოგვარდა.

ჩემს სადამრიგებლო კლასში ჩატარებულმა პრაქტიკულმა კვლევამ აჩვენა, რომ არსებობდა რამდენიმე ხარვეზი:

- მოსწავლეებს უჭირდათ კითხვის ტექნიკის სრულყოფა;
- უჭირდათ კითხვა, სიტყვების დეკოდირება, გამთლიანება;
- ვერ კითხულობდნენ გამართულად;
- აწყდებოდნენ წაკითხული ტექსტის გააზრების პრობლემას;
- არ ჰქონდათ მდიდარი ლექსიკური მარაგი.

ამ მიგნებებზე დაყრდნობით შევიმუშავე ალტერნატიული საგაკვეთილო გეგმის სერია, სადაც:

- მოხდა კითხვის ტექნიკის სრულყოფა დიდი წიგნების ერთობლივი კითხვის საშუალებით;
- მოსწავლეები დაეუფლნენ გამართულ კითხვას მკითხველთა თეატრის გამოყენებით;
- ორიენტირებული მოსმენის, ლექსიკური მარაგის გამდიდრების ინტერვენციებმა მოსწავლეებს საშუალება მისცა, გაეუმჯობესებინათ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების უნარი;
- მოსწავლეებმა გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი მნიშვნელოვანი სიტყვების გამოყენებით.

ყოველივე ეს ზრდის საგაკვეთილო პროცესით მოსწავლეთა კმაყოფილებას. კითხვის პროცესი მათთვის ხდება უფრო სახალისო და ისინი სიამოვნებით მონაწილეობენ მასში.

სპეციალური ლიტერატურისა და პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შემიძლია შემოგთავაზოთ რამდენიმე **რეკომენდაცია:**

- წასაკითხი ტექსტის მიცემისას გაითვალისწინეთ ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები, შესაძლებლობები და ინტერესები;
- ეცადეთ, კითხვის დაწყებამდე მოსწავლეებს აუმაღლოთ როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მოტივაცია;
- მიეცით განმავითარებელი შეფასებები;
- სასურველია, მშობელმა და მასწავლებელმა ითანამშრომლონ, რადგან ეს დადებით გავლენას ახდენს ბავშვზე;
- მშობლებმა უნდა გამოყონ კითხვის დრო სახლში;
- გაეცანით შესაბამის ლიტერატურას (როგორც მასწავლებლები, ისე მშობლებიც);
- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სისტემატურად უნდა შეიკრიბონ და განიხილონ მიღწეული შედეგები, გაუზიარონ ერთმანეთს მოსაზრებები;
- მასწავლებლებმა უნდა გაამდიდრონ გაკვეთილები სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად კიდევ არაერთი კვლევაა ჩასატარებელი. არსებობს უამრავი ფაქტორი, რომლებიც კითხვასთან, წაკითხულის გააზრებასთან არის დაკავშირებული და უფრო დეტალურ კვლევასა და შესწავლას მოითხოვს. მე, ჩემი მხრივ, ვეცადე, სადამრიგებლო კლასში ამ სახის პრობლემები მომეგვარებინა. ვიმედოვნებ, ჩემი პრაქტიკული კვლევა სხვა მასწავლებლებისთვისაც სასარგებლო და საინტერესო აღმოჩნდება.

ინა იმედაშვილი

მოზარდები და წიგნები

აუცილებლად წასაკითხი ლიტერატურა თუ თავისუფალი არჩევანი

12 წლის თეკლას გულახდილი ინტერვიუ

არასდროს ვყოფილვარ იდეალური მოსწავლე, ალბათ საშუალოზე ოდნავ მეტი შესაძლებლობისა მეთქმოდა. რაიონში ვსწავლობდი, ბებია სკოლაში მუშაობდა და ისეც ხდებოდა, რომ მისი ხათრითაც დაუწერიათ ფრიადები. მეცადინეობაზე მეტად კითხვა მიყვარდა და ფიზიკის კანონების დაზეპირებაზე მეტად ყაზბეგისა და ეგნატე ნინოშვილის სამყაროების ტრაგედიები მიზიდავდა.

წიგნები ჩემთვის არ ურჩევიათ, ამის დრო და თავი მაშინ არავის ჰქონდა. უბრალოდ, ჩემი ოჯახის დიდი ბიბლიოთეკა ჩემს ხელში იყო, უმთავრესად ქართული პროზის შედევრებით, უცხოური დეტექტივებითა და კლასიკოსების ნაწარმოებებით. ბევრი ის წიგნი გამოვტოვე, მიღებული მოსაზრების თანახმად, ამ თუ იმ ასაკში რომ უნდა წაიკითხოს მოზარდმა. ხშირად სულ სხვანაირი წიგნები მიტაცებდა – ბავშვებისთვის შეუფერებელი და უინტერესო. გამოვტოვე ჟიულ ვერნი და მაინ რიდი, ლინდგრენის მხოლოდ „პეპი გრძელწინდა“ აღმოვაჩინე ჩვენს ბიბლიოთეკაში, წავიკითხე, მაგრამ არ აღვფრთოვანებულვარ. რატომღაც იმერელი გლეხების გასაჭირი და უბედურება უფრო ახლოს იყო ჩემთან, ვიდრე შვედი ბავშვების გასაოცარი თავგადასავლები. ქაოსურად, კალაპოტის გარეშე ვკითხულობდი. ნინოშვილის, ყაზბეგის, კლდიაშვილის დამსახურებაა, საშინელი პროტესტი რომ გამიჩნდა ქალებისადმი დამოკიდებულების, მათი ჩაგვრის გამო. ამ ყველაფერს კი რაიონში მიღებული სტერეოტიპები დაერთო და მოკლედ, ცოტა მაკლდა, რომ მეფეთქა.

წიგნი მხოლოდ სიამოვნება არ ყოფილა ჩემთვის – ის აგურ-აგურ აშენებდა ჩემს პიროვნებას, შესაძლოა, ქვეცნობიერის ღრმა შრეებსაც, და მსოფლხედვას.

იმ დროს თავისი გმირები ჰყავდა, თავისი სულისკვეთება ჰქონდა. მოზარდებს ომი, უსამართლობა, მომავალი კეთილდღეობა გვაღელვებდა, გვწყუროდა თავგადასავლები და მძაფრი შეგრძნებები – იმიტომ, რომ ასეთი შეგრძნებების მომტანი მოწყობილობები, უშუქობის გამო, უფუნქციოდ ქცეულიყო. ამ შეგრძნებებსაც ვეძებდით წიგნებში და „მგლის ბილიკის“ მსგავსი ტექსტებით ვცდილობდით დანაკარგის ანაზღაურებას.

იმის თქმა მინდა, რომ ყველა დროს თავისი ინტერესები და სურვილები მოაქვს. კლასიკა კლასიკად რჩება, მაგრამ მის პარალელურად ჩნდება ისეთი ლიტერატურაც, რომელიც მოზარდებისთვის ახლობელი და აუცილებელი ხდება. შესაძლოა, დიდი ლიტერატურული ღირებულებით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ ადამიანს აძლევდეს შეგრძნებებს, პასუხებს, ემოციებს.

> დღეს, შეგრძნებებით გადატვირთულ ეპოქაში, რთულია, ძალიან რთულია მოზარდის წიგნთან ემოციის კითხვის ემოციით ჩანაცვლება.

კარგი იქნება, ჩვენ, დიდები, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, ჩვენი წარსული გამოცდილებით არ განვსაზღვროთ ახალი თაობის ინტერესები, სულ, სულ ცოტათი ვენდოთ და არ შევუზღუდოთ ის თავისუფლება, რომელიც ასე გვაკლდა და რომელიც ჩვენზე მეტი ჩვენს მოზარდ შვილებს აქვთ.

მიყვანა და ყურების ემოციის კითხვის ემოციით ჩანაცვლება. ეს ყველაფერი უფრო ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყო და განავითარო. რამდენს უკითხავს, რა წავაკითხოთ 12 ან 14 წლის ასაკშიო. სამწუხაროდ, მზა რეცეპტები არ არსებობს, არც სწორედ ამ ასაკში აუცილებლად წასაკითხი წიგნები. წინ მთელი ცხოვრებაა და ოდესმე ამ წიგნებს თავად იპოვიან.

ჩემი შვილი 12 წლისაა. ჩვეულებრივი მოზარდია, უყურებს იუთუბს, აპროტესტებს უსამართლობას და საკუთარი თავით დიდად არ არის აღფრთოვანებული.

ვაღიარებ, რომ ხშირად არ კითხულობს „ამ ასაკში წასაკითხ“ წიგნებს. პროტესტი უჩნდება ბევრი რამის მიმართ, განსაკუთრებით ქართულ პროზას ებრძვის (არადა, მე მის ასაკში სწორედ ქართულმა პროზამ გადამარჩინა და მაქცია იმად, რაც ვარ). ვცდილობ, ჩემი შეხედულებები არ მოვახვიო თავს და მის მიმართულებებს მივყვე. შიგა-

დაშიგ ვკითხულობთ „აუცილებლად წასაკითხ“ ტექსტებს და ერთადაც განვიხილავთ, თუმცა მისი ძირითადი საკითხავი ძალიან განსხვავებულია.

ვიფიქრე, თეკლას რამდენიმე პასუხი ზუსტად ისე ჩამეწერა, როგორც მითხრა. რა ვიცი, იქნებ სწორედ ასე ფიქრობენ მოზარდები, ან იქნებ ჩემი შვილი გამონაკლისია, თუმცა ეს პასუხები საინტერესო უნდა იყოს.

ვეკითხები: საერთოდ რატომ კითხულობ წიგნებს?

– როდესაც ამ სამყაროთი ვიღლები, მინდა, რომ სხვა სამყაროში დავიკარგო.

დაუფიქრებლად მპასუხობს.

შემდეგ კითხვაზე გადავდივარ: როგორი წიგნები მოგწონს?

– ფენტეზი, თავგადასავალი, ისეთი წიგნები, რომლებშიც საიდუმლოა ამოსახსნელი. ფენტეზი – დრაკონებით. წიგნებს შეუძლია, დაგანახოს ისეთი სამყარო, რომელიც სულ სხვანაირი წარმოგედგინა და წიგნებმა სხვანაირად დაგანახა. გრაფიკული კომიქსები მომწონს, ნამდვილი ამბებიც მომწონს, ოღონდ – სინამდვილის მეორე მხარეს რომ განახებს.

სხაპასხუპით არაკრაკებს.

ახლა რას კითხულობ და რას იტყვი ამ წიგნზე?

– სარა ბენვილის „უკანასკნელ ფოთოლცვენას“. წიგნი ჩვიდმეტი წლის ბიჭზეა, რომელსაც ამიოტროფიული გვერდითი სკლეროზი აქვს. ბიჭი აღწერს იმ სამყაროს, რომელშიც თავს არაკომფორტულად გრძნობს. გარშემო მყოფები მას ჩვეულებრივ ადამიანად ვერ აღიქვამენ და ვერ იღებენ. ონლაინ მეგობრებს იძენს, რომლებსაც კი არ ეცოდებათ, არამედ მისი შინაგანი სამყარო აინტერესებთ.

რატომ მოგწონს ეს წიგნი?

– ისეთი ამბავია, რომელიც შეიძლება ნებისმიერ ადამიანს დაემართოს და საზოგადოებას უჭირს ამ პრობლემის დანახვა. ასეთ ადამიანებსაც აქვთ ოცნებები, სურვილები, უნდათ რაღაცები. ამ ბიჭის ოცნებაა, რომ გაიზარდოს, შვილები ეყოლოს და იმდენი ნაყინი აჭამოს, სანამ გული არ აერევათ. სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია.

რატომ არ მოგწონს ხოლმე ჩემი შერჩეული წიგნები?

– ბავშვებს არ უყვართ, როდესაც ეუბნებიან: „უნდა წაიკითხო“. მშობლებს ჰგონიათ, რომ ბავშვებმა აუცილებლად უნდა წაიკითხონ ისეთი წიგნები, რომლებშიც „დიდი სიღრმეებია“. მაგალითად, „ბიძია თომას ქოხი“. თუმცა რასიზმი მნიშვნელოვანი პრობლემაა და ეს პრობლემა უკეთ დავინახე, როცა წავიკითხე „ღვარძლი, რომელსაც თესავ“, ფილმიც ვნახე და ჩემთვის ეს პრობლემა ბევრად უფრო ნათელი გახდა. მე ისეთი წიგნები მომწონს, რომლებიც ჭკუას არ გასწავლის – ასეთი უნდა იყოო და იდეალური გმირი არ ჰყავს. მაგალითად, „თბილი სხეულები“, რომელიც უბრალოდ ზომბის და ადამიანის სიყვარულზეა. თუმცა აქაც განსხვავებულის მიღება და სიყვარულია.

ძალიან მომეწონა „ლურჯი სუფრის მოცეკვავე“, ნატო დავითაშვილის. ისე კარგად იყო ეს სამყარო აღწერილი, რომ მკაფიოდ დავინახე დრაკონები, გემები, ზღვები, პერსონაჟები, კუნძულები და ასე შემდეგ. ისეთი უცნაური სამყარო იყო, რომელიც მე არასდროს არ მინახავს და მასში მოგზაურობა მომინდა.

ერთ-ერთი გამორჩეული წიგნი, რომელზე საუბარიც მოგინდება.

– „პერსეპოლისი“ – მარჯან სატრაპი. განსხვავებული ქვეყნის და ცხოვრების აღწერაა. მარჯანი ძალიან დაღლილია სექსიზმით, იმ ფაქტით, რომ კაცები უფრო ძლიერები არიან და შეუძლიათ, ქალებს ნივთებივით მოექცნენ. განსხვავებული აზრის გამო ხალხს ხოცავენ და აწამებენ. ის ცდილობს, ეს ყველაფერი შეცვალოს. თუმცა არც ისე კარგად გამოსდის, მაგრამ მაინც ცდილობს. წიგნიც ერთ-ერთი მცდელობაა. მარჯანი იკარგება, საკუთარ თავს კარგავს, ევროპაში რომ მიდის, რადგან ხალხს ტერორისტად მიაჩნია - დასცინიან მისი ქვეყნის ცუდი რეპუტაციის გამო. ეს წიგნი გვაჩვენებს, როგორია იმ ადამიანების ცხოვრება,



რომლებიც გამუდმებით ბრძოლაში არიან. წიგნში აღწერილია, როგორ დაუხოცეს საყვარელი ადამიანები თვალწინ, როგორ დაინახა, რომ ჩამოინგრა კორპუსი ომის გამო და მეგობრის „ბრასლეტი“ როგორ აღმოაჩინა ნანგრევებში. ეს ხალხი ისეთ ადამიანებს აღმერთებდა, რომლებმაც თავი გაწირეს, დაიხოცნენ. ისინი სიკვდილს აღმერთებდნენ, სიკვდილი ძლიერებად მიაჩნდათ და, ჩემი აზრით, ეს ძალიან ცუდია, იმიტომ რომ სიცოცხლე მეტად მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

რას ურჩევდი მშობლებს?

– შვილებს აცადონ, რაც უნდათ, ის წაიკითხონ, არ დააძალონ. უნდა დაინტერესონ, გააცნონ სამყაროები, ტელეფონი არ გამოგლიჯონ ხელიდან, შეიძლება იქაც კითხულობდნენ რამეს. უნდა იმუშაონ, რომ შვილები წიგნთან მიიყვანონ, ოღონდ არა დაძალებით და „უნდათი“.

რას ურჩევდი მოზარდებს?

– ისეთი წიგნები იკითხონ, რომლებშიც დაიკარგებიან, მოეწონებათ და ნაძალადევად არ წაიკითხავენ. თუნდაც დიდი სიბრძნე არ იდოს. წიგნების კითხვა ძალიან გამოადგებათ თვალების გახელაში, უფრო მრავალფეროვან და ლამაზ სამყაროებს დაინახავენ.

ოდესმე წიგნი რომ დაწერო, როგორი იქნება ის?

– ისეთი, რომელშიც განსხვავებული წესებია, ან არ არის წესები, ამობრუნებულია სამყარო და არავის გაუჩნდება კითხვა: „რატომ?“ შენ ხომ გოგო ხარ, არ შეგეფერება, ან შენ ხომ ბიჭი ხარ, რატომ მოგწონს ვარდისფერი, რატომ თამაშობ თოჯინებით? ჩემი პერსონაჟი პრობლემებს შეებრძოლება მეგობრებთან, ახლობლებთან ერთად ან სულ მარტო. შეიძლება, მარტოობა უფრო კომფორტულიც იყოს, და მნიშვნელობა არ აქვს, ეს მისი პრობლემა იქნება თუ მსოფლიოსი, რადგან ერთი ადამიანის პრობლემაც უკვე სამყაროს პრობლემაა.

თეკლას პასუხებში ერთი სიტყვაც არ შემიცვლია. შესაძლოა, ეს ერთი მოზარდის ინდივიდუალური მოსაზრებები იყოს, შესაძლოა, ბევრის სათქმელს გამოხატავდეს. ასეა თუ ისე, კარგი იქნება, ჩვენ, დიდები, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, ჩვენი წარსული გამოცდილებით არ განვსაზღვროთ ახალი თაობის ინტერესები, სულ, სულ ცოტათი ვენდოთ და არ შევუზღუდოთ ის თავისუფლება, რომელიც ასე გვაკლდა და რომელიც ჩვენზე მეტი ჩვენს მოზარდ შვილებს აქვთ. რაც მთავარია, მათ წიგნიერებაზე ზრუნვა ჩვილობიდანვე დავიწყოთ, ვუკითხოთ და კრიტიკის გარეშე მოვისმინოთ მათი პასუხები. დავამსხვრიოთ სტერეოტიპები და, ბოლოს და ბოლოს, ისეთები მივიღოთ ისინი, როგორებიც სინამდვილეში არიან - კორექტირებისა და უხეში ჩარევის გარეშე, ვაცადოთ, მოვუსმინოთ, პატივი ვცეთ. იქნებ სწორედ ეს გვჭირდება ამ სასტიკ და გაუცხოებულ სამყაროში.

ქეთევან ოსიაშვილი

მასწავლებლის ფავორიტები

ერთხელ ერთმა პატარა ბიჭუნამ საუბარში გულისტკივილით შემომჩივლა: „იცით, ჩემს მასწავლებელს მე საერთოდ არ ვუყვარვარ და ვფიქრობ, გიოს მეტი კლასში არც არავინ უყვარს“. როცა დავინტერესდი და შევეცადე გამერკვია, რა აძლევდა ამის თქმის საფუძველს, მან ასეთი არგუმენტები მოიყვანა: „გიოს მეტს, მგონი, ვერავის ამჩნევს კლასში. მას ყოველთვის ღიმილით ესაუბრება და მხოლოდ მას მიმართავს სახელით. პასუხის დროს ყოველთვის ეხმარება და შეკითხვებსაც ისეთს უსვამს, რომ პასუხის გაცემა არ გაუჭირდეს. ერთსა და იმავე პასუხში მას უფრო მაღალ შეფასებას უწერს, ვიდრე იმას, ვინც არ უყვარს. და, რაც ყველაზე მეტად არ მომწონს, სულ მასზე გვესაუბრება და მოგვიწოდებს, რომ ყველამ მას მივბაძოთ“. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ მე პირადად გიო უფრო მეტად შემებრალა, ვიდრე ის ბავშვი, რომელსაც მასწავლებლის უყურადღებობა გულს სტკენდა. გიოს მდგომარეობაში მყოფი ბავშვები დროთა განმავლობაში „თეთრი ყვავის“ როლში აღმოჩნდებიან ხოლმე თანატოლთა შორის და, როგორც წესი, ძალიან არაპოპულარულები და ნაკლებად აღიარებულები არიან. უფროს კლასებში შესაძლოა თანატოლთა დაცინვის ობიექტებადაც კი იქცნენ.

ჰყავთ თუ არა მასწავლებლებს ფავორიტები? ალბათ, კი, თუმცა, ვფიქრობ, ამას არავინ აღიარებს, რადგან ბავშვების ამა თუ იმ ნიშნით გამორჩევა არაპროფესიონალიზმზე მიუთითებს. ცხადია, კარგი მასწავლებელი არ უნდა ყოფდეს ბავშვებს საყვარელ და ზედმეტ, მისაღებ და მიუღებელ მოსწავლეებად, პირიქით, უნდა ცდილობდეს, ნებისმიერი ბავშვი ისეთი მიიღოს, როგორიც არის. მაგრამ მასწავლებელი ჩვეულებრივი ადამიანია, ის არც მანქანაა და არც უგრძნობი რობოტი; მას, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, აქვს ემოციები. ბუნებრივია, ვერავინ აუკრძალავს პედაგოგს, ჰქონდეს საკუთარი დამოკიდებულება რაღაცის ან ვიღაცის მიმართ. ასეთი დამოკიდებულების არსებობა არ არის პრობლემა, მაგრამ მისი დემონსტრირება, აშკარა გამოხატვა ნამდვილად შეუქმნის მასწავლებელს სირთულეებს თავის საქმიანობაში.

ვინ და რატომ შეიძლება გახდეს მასწავლებლის ფავორიტი?

ნებისმიერი მასწავლებლის წარმოსახვაში არსებობს იდეალური მოსწავლის ხატი. მასწავლებლის საყვარელი მოსწავლე, როგორც წესი, შემდეგი თვისებების მატარებელია:

- ღიაა ურთიერთობისთვის, სწავლისა და თანამშრომლობისთვის;
- ისწრაფვის ცოდნის მიღებისკენ, გაკვეთილზე ყოველთვის მომზადებული მოდის;
- მოწესრიგებული, ყურადღებიანი და ორგანიზებულია. მონაწილეობს დისკუსიაში, სვამს კორექტულ შეკითხვებს;
- თუნდაც გაკვეთილზე ყველას „ჩამოეძინოს“, ის მაინც მობილიზებულია და ხელს იწევს დასმულ შეკითხვაზე

> მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში თავჩენილი სირთულეები ხშირად სწორედ იმასთან არის დაკავშირებული, რომ ბავშვი ვერ გრძნობს მასწავლებლისგან ყურადღებასა და სიყვარულს და ვერ ხედავს თავისი შრომის ადეკვატურ შეფასებას.

პასუხის გასაცემად. მისი პასუხები მასწავლებელს უდასტურებს, რომ ბავშვი ისმენდა მის საუბარს;

- არ ლაპარაკობს, თუ მასწავლებელი არ სთხოვს ამის გაკეთებას;
- არ იცინის იმ თანაკლასელების ხუმრობაზე, რომლებსაც გაკვეთილის ჩაშლა სურთ;
- თავაზიანია, არ ჩხუბობს, კარგ შეფასებას იმსახურებს, კარგად იცის საგანი, შრომისმოყვარეა;
- სხვა ბავშვებთან მასწავლებლის ურთიერთობის გართულებისა და კონფლიქტის შემთხვევაში ყოველთვის პედაგოგის მხარესაა, მას ამართლებს;
- გაკვეთილით დაინტერესებულობას გამოხატავს, მიცემულ დავალებებს სიამოვნებით ასრულებს;
- საჭიროების შემთხვევაში თამამად მიმართავს მასწავლებელს დახმარებისთვის, გამოხატავს პატივისცემას მის მიმართ;
- თავისი ქცევითა და სწავლით მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, იგრძნოს კმაყოფილება დახარჯული ძალებისა და შრომის საფასურად.

რისი მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ფავორიტობა თავად ბავშვისთვის?

- ფავორიტებს, როგორც წესი, მასწავლებლის სიყვარულთან ერთად თანაკლასელების სიძულვილის ატანაც უწევთ. ისინი ხშირად ეჩხუბებიან მას და საყვედურობენ იმის გამო, რომ ის მასწავლებლის საყვარელი მოსწავლეა და მისგან ყველაზე მეტ ყურადღებას იღებს;
- თავისი უზომო სიყვარულით, გადაჭარბებული ყურადღებითა და გამორჩეული დამოკიდებულებით პედაგოგმა თავისდა უნებურად შესაძლოა დაამახინჯოს ფავორიტი მოსწავლის თვითშეფასება. ეს, ბუნებრივია, გაურთულებს მას თანატოლებთან ურთიერთობას;
- მასწავლებლის ფავორიტის მდგომარეობა კლასში განსაკუთრებით სწავლის მეორე და მესამე საფეხურებზე რთულდება ამ პერიოდში მიმდინარე ასაკობრივ ცვლილებათა გამო. აი, რა არის ამ ცვლილებათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: ბავშვისთვის მთავარი ხდება მისდამი არა მასწავლებლის, არამედ თანატოლების დამოკიდებულება, მათი შეხედულებები. ამიტომ არის, რომ თუ დაწყებით კლასებში მასწავლებლის ფავორიტი მოსწავლე შინ ამაღლებული განწყობით ბრუნდებოდა და თანაკლასელებზე ერთგვარი უპირატესობითაც კი საუბრობდა, მოგვიანებით უარს ამბობს სკოლაში წასვლაზე და უფრო და უფრო იკეტება საკუთარ თავში. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ თანაკლასელებმა ის „დასაჯეს“ და მიახვედრეს, რომ მასწავლებლის საყვარელი მოსწავლის სტატუსი სრულიადაც არ იძლევა უსაფრთხოების გარანტიას. ამიტომ არის, რომ ხშირად ფავორიტი ბავშვები თავად სთხოვენ მასწავლებელს, მეტად აღარ შეაქოს თანატოლების თანდასწრებით. ასეთ ბავშვს, დიდი ალბათობით, არასრულფასოვნების კომპლექსიც ჩამოუყალიბდება;
- მასწავლებლის ფავორიტისთვის, როგორც წესი, არსებობს ერთგვარი სიმაღლე, რომელიც, რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა შეინარჩუნოს, – მასწავლებლის სიყვარულის **საფასურის გადასახდელად** მიიღოს მხოლოდ მაღალი შეფასებები, არასოდეს დაუშვას შეცდომა, გაკვეთილი ყოველთვის მომზადებული ჰქონდეს და არასოდეს გაუცრუოს მასწავლებელს იმედი, არ შეარცხვინოს, განსაკუთრებით – ღია გაკვეთილებზე, სტუმრების თანდასწრებით. ასეთ ბავშვებს პანიკურად ეშინიათ შეცდომის, რადგანაც იციან, რომ მათ ეს „არ ეპატიებათ“. ბუნებრივია, ყველა ვერ გაუძლებს ასეთ დატვირთვას, რის გამოც მათში შფოთიანობის დონე საკმაოდ მაღლა იწევს.

ამა თუ იმ ბავშვის მიმართ მასწავლებლის მიკერძოებული დამოკიდებულება არანაკლებ საზიანოა იმ მოსწავლეებისთვისაც, რომლებიც პედაგოგისგან ასეთ დამოკიდებულებას ვერ გრძნობენ.

- გავითვალისწინოთ, რომ ბავშვებს ძალიან კარგად აქვთ განვითარებული (შესაძლოა, დიდებზე უკეთესადაც კი) არავერბალური კომუნიკაციის უნარი. მათ ნამდვილად არ გაუჭირდებათ და უსიტყვოდაც კი მიხვდებიან მათდამი პედაგოგის დამოკიდებულებას. ამიტომ, როცა ბავშვი მასწავლებლის ნეგატიურ დამოკიდებულებას გრძნობს, ის შეიძლება დაიბნეს პასუხის გაცემისას,

> სამართლიანობის გრძნობა ბავშვებს უკიდურესად აქვთ გამძაფრებული. ისინი კარგად გრძნობენ, რას ფიქრობს მასწავლებელი მათზე, რა დამოკიდებულება აქვს მათდამი და რით განსხვავდება ეს დამოკიდებულება სხვა ბავშვებისადმი დამოკიდებულებისგან.

შეცდომები დაუშვას, მარცხი განიცადოს და თავისი თავის რეალიზებაც სათანადოდ ვერ მოახერხოს.

- მასწავლებლის გულგრილი დამოკიდებულების გამო მოსწავლეს შესაძლოა მოტივაციაც დაუქვეითდეს. „რატომ უნდა ვისწავლო, რატომ ვეცადო, თუ მასწავლებელი კარგ ნიშანს მაინც არ დამიწერს?“ – ხშირად ასეთია ბავშვის პასუხი მშობლის თხოვნაზე, უკეთესად ისწავლოს.
- მასწავლებლის გულგრილობაზე განსაკუთრებით მწვავედ ის ბავშვები რეაგირებენ, რომლებსაც საკუთარ ოჯახში აკლიათ უფროსების, მშობლების ყურადღება, სითბო და სიყვარული. თითოეულ ადამიანს სურს, უყვარდეთ და თუ ბავშვი მზრუნველ გარემოში იზრდება, ის უფრო შემწყნარებლურად მოეკიდება მასწავლებლის მიერ სხვა მოსწავლისადმი სიმპათიის გამოვლენას, ოჯახში ყურადღების დეფიციტის მქონე ბავშვს კი, როგორც წესი, არაადეკვატური რეაქცია აქვს იმაზე, რომ მასწავლებელმა ვიღაც შეაქო, გამოარჩია, ვიღაც და არა ის.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ მოსწავლეებს შორის ფავორიტების გამორჩევა ვერც მასწავლებლისთვის იქნება სიკეთის მომტანი. ნებისმიერ პედაგოგს სურს, მოსწავლეები პატივს სცემდნენ, მაგრამ საეჭვოა, ბავშვებმა მოახერხონ იმ მასწავლებლის პატივისცემა, რომელიც ობიექტური არ არის. ასეთი ადამიანი მოსწავლეებისთვის ავტორიტეტი ვერ გახდება და ეს სწავლებასა და აღზრდაშიც ძალიან შეუშლის ხელს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სწავლებაში ბევრი რამ მოსწავლე-მასწავლებლის პირად კონტაქტზეა დამოკიდებული.

სამართლიანობის გრძნობა ბავშვებს უკიდურესად აქვთ გამძაფრებული. ისინი კარგად გრძნობენ, რას ფიქრობს მასწავლებელი მათზე, რა დამოკიდებულება აქვს მათდამი და რით განსხვავდება ეს დამოკიდებულება სხვა ბავშვებისადმი დამოკიდებულებისგან. ბავშვებს ყოველთვის ტკივილს აყენებს, როცა ისე არ ეპყრობიან, როგორც ისურვებდნენ. მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში თავჩენილი სირთულეები ხშირად სწორედ იმასთან არის დაკავშირებული, რომ ბავშვი ვერ გრძნობს მასწავლებლისგან ყურადღებასა და სიყვარულს და ვერ ხედავს თავისი შრომის ადეკვატურ შეფასებას. თუ გვინდა, სიტუაცია გამოვასწოროთ, უნდა დავიწყოთ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავიდან. და ერთადერთი რეცეპტი ტოლერანტობაა თითოეული მოსწავლის მიმართ. ასევე – თვითკონტროლი და საკუთარი ქცევის გონივრული ანალიზი. სხვა რეცეპტები არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ანა ღვინიანიძე

რისი მწამს გულით?

> მოსწავლეები, რომლებიც სწავლას განვითარებასთან აიგივებენ, სიახლის განცდას ხშირად სწავლის განუყოფელ ნაწილად აფასებენ. შესაბამისად, გაჩენილ დაბრკოლებებს მათი გონება უნარიანობის კიდევ ერთხელ დამტკიცების შესაძლებლობად აღიქვამს.

თითქოს ვიცით, რომ სწავლის დროს შეცდომები გარდაუვალია. დაბრკოლებების გადალახვა ადამიანს უნარიანობის განცდას და საკუთარი შესაძლებლობების რწმენას მატებს. იმ დაბრკოლებებისადმი ჩემი განწყობა, რომლებსაც სწავლებისას ვეჯახები, მათ საპასუხოდ განხორციელებული მოქმედებით ვლინდება.

მაგალითისთვის განვიხილოთ მოსწავლის გამოხმაურება უცნობი საკითხით აღძრული განცდების საპასუხოდ.

რას ვფიქრობ, თუ აღმოვაჩინე, რომ ამ საკითხზე აქამდე არაფერი მცოდნია? რას ვიფიქრებ ამ მოვლენაზე? რომელი ემოციები მომიცავს და როგორ მოვიქცევი?

თუ მჯერა, რომ სწავლა დაბრკოლებების გადალახვის პროცესია და სიახლეები - სწავლის განუყოფელი ნაწილი, როცა ტექსტში უცნობი რამ შემხვდება, შესაძლოა, ეს დადებითი ემოციების აღმძვრელიც კი აღმოჩნდეს.

ქვემოთ მოცემულია გამოსახულება იმის უკეთ წარმოსადგენად, თუ როგორ არის გაშუალებული ქცევა გონებაში ძალდაუტანებლად გაჩენილი აზრებითა და მათი თანმხლები ემოციებით.

გარემო და მოსწავლისაგან დამოუკიდებელი აღმძვრელების აღწერა

საკლასო ოთახი, მოსწავლე ეცნობა ტექსტს, მოსწავლისათვის უცნობი საკითხი.

↓

ფსიქიკური აღმძვრელი (განცდა, აზრი, ემოცია, გამოსახულება)

ცნობისმოყვარეობა

↓

ძალდაუტანებლად აღმოცენებული აზრი

„ეს რაღაც ახალია... ნეტავ, რას ნიშნავს? არ ვიცი“.

↓

ემოციები და განცდები

ცნობისმოყვარეობის განცდა, აღტყინება, სიხარული.

↓

> თითქოს ვიცით, რომ სწავლის ჯრის შეცდომები გარდაუვალია. დაბრკოლებების გადალახვა ადამიანს უნარიანობის განცდას და საკუთარი შესაძლებლობების რწმენას მატებს. იმ დაბრკოლებებისადმი ჩემი განწყობა, რომლებსაც სწავლებისას ვეჯახები, მათ საპასუხოდ განხორციელებული მოქმედებით ვლინდება.

ძალდაუტანებლად აღძრული აზრისთვის მინიჭებული მნიშვნელობა

„მეტი მეცოდინება, ვიდრე აქამდე ვიცოდი. განვვითარდები“.

↓

ემოციები და განცდები

სიხარული, ცნობისმოყვარეობა და სხვა, მონათესავე განცდები.

↓

წესები, რომელთაც ჩემი ქცევები ეყრდნობა

„უნდა ვცადო, ჩემთვის უცნობი საკითხის დაზუსტება“.

↓

სწავლასთან დაკავშირებული რწმენები, რომლებიც ჩემი ქცევების საფუძველია

„სწავლა განვითარებაა“.

„სიახლე სწავლის განუყოფელი ნაწილია“.

„ეს ჩემთვის ახალი საკითხია და, ჯერ-ჯერობით, მის შესახებ ცოტა რამ ვიცი. თუმცა, შემიძლია, ვისწავლო“.

„ბუნებრივია ახალი საკითხების არსებობა, რომელიც ჯერ არ ვიცით“.

„ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია“.

↓

მოვლენისა და საკუთარი თავის შეფასება, რომლებიც წესებისა და რწმენებისგან გამომდინარეობს

„თუ სწავლა განვითარებას ნიშნავს, გამოდის, ეს სიახლეც ჩემი განვითარების შესაძლებლობაა“.

„ის, რომ ამ საკითხის მნიშვნელობა არ ვიცი, მიბიძგებს მოვიძიო შესაბამისი წყაროები, რაც სიახლის გაგებაში დაგვეხმარება“.

↓

ქცევები

საკითხის მნიშვნელობის დაზუსტებისთვის გამიზნული ქცევები:
საკითხის მნიშვნელობის მოძიება, მხარდამჭერი პირის ძიება, მხარდამჭერი პირისთვის კითხვების დასმა საკითხთან დაკავშირებით.

ზემოთ მოცემულ სქემაში აღწერილია დამოკიდებულება, რომელიც გონებაში შემოჭრილ აზრს ემოციებით ფერავს. ის, რომ მე აქამდე განსაზღვრული საკითხი არ ვიცოდი და მჯერა, რომ ახლა მაქვს შანსი, გავიგო რაღაც ახალი, სწავლისადმი როგორც განვითარებისადმი დამოკიდებულებას ასახავს. მოსწავლეები, რომლებიც სწავლას განვითარებასთან აიგივებენ, სიახლის განცდას ხშირად სწავლის განუყოფელ ნაწილად აფასებენ. შესაბამისად, გაჩენილ დაბრკოლებებს მათი გონება უნარიანობის კიდევ ერთხელ დამტკიცების შესაძლებლობად აღიქვამს.

სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კი ხშირად დაბრკოლებისა და მარცხისადმი დამოკიდებულების სწავლაზე განზოგადების შედეგია. ქვემოთ მოცემულ სქემაში ჩანს, როგორ მოქმედებს ქცევაზე ძალდაუტანებლად გაჩენილი აზრებისთვის მინიჭებული უარყოფითი მნიშვნელობები.

გარემოში არსებული აღმძვრელების აღწერა

საკლასო ოთახი, მოსწავლე ეცნობა ტექსტს,
მოსწავლისთვის უცნობი საკითხი

ფსიქიკური აღმძვრელი (განცდა, აზრი, ემოცია, გამოსახულება)

დათრგუნვილობა, შფოთვა.

ძალდაუტანებლად აღმოცენებული აზრი

„ეს რაღაც ახალია... ნეტავ, რას ნიშნავს? არ ვიცი“.

ემოციები და განცდები

ცნობისმოყვარეობის განცდა, აღტყინება, სიხარული.

წესები, რომელთაც ჩემი ქცევები ეყრდნობა

„ეს აქამდეც უნდა მცოდნოდა“.

**სწავლასთან დაკავშირებული რწმენები,
რომლებიც ჩემი ქცევების საფუძველია**

„ყოველთვის ყველაფერი უნდა ვიცოდე“.

**მოვლენის და საკუთარი თავის შეფასება,
რომლებიც წესებისა და რწმენებისგან გამომდინარეობს**

„თუ მე რაიმე უცნობი შემხვდა, გამოდის, რომ ყველაფერი არ ვიცი“

„...რაც იმას ნიშნავს, რომ უვიცი ადამიანი ვარ“.

ემოციები და განცდები

სევდა, დათრგუნვილობა, მარცხის განცდა.

ქცევები

უსიამოვნო ემოციებთან დაპირისპირება: მისთვის უცნობი საკითხის მნიშვნელობის დაჟინებით ძიება.

უსიამოვნო ქცევებისგან განრიდების ქცევები: ტექსტის ხელახლა წაკითხვისგან თავშეკავება.

უსიამოვნო ქცევებისგან გაქცევის შესატყვისი ქცევები: ტექსტთან დაკავშირებულ საკითხებზე ფიქრი, ოცნება, სწავლასთან დაკავშირებული ქცევები – მაგალითად, სხვა, მისთვის სიამოვნების განცდის აღმძვრელი აქტივობებით დაკავება.



თითოეული ჩვენგანი დაბრკოლებებსა და შეცდომებთან ერთად აფასებს იმ ემოციებსაც, რომლებსაც განიცდის. მაგალითად, მე მწამს, რომ მოწყენილობა აუტანელია ან შფოთვა – დამაზიანებელი, ან მწამს, რომ სწავლა მარცხისა და სასოწარკვეთის განცდის გარეშეც შესაძლებელია. თუ ასეა, მარცხის განცდისადმი მგრძნობიარობამ შესაძლოა უმოქმედობისკენ, ამ განცდის აღმძვრელი გარემოდან გაქცევისკენ, განრიდებისკენ მიბიძგოს, რაც, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება სწავლისადმი ჩემს დამოკიდებულებასა და აკადემიურ შედეგებზე. შეცდომებისა და დაბრკოლებების მიერ აღძრული განცდებისადმი მოსწავლის მედეგობა იმ განწყობებზეა დამოკიდებული, რომელთა ჭეშმარიტებისაც მას სწამს. შესაძლოა, ჩვენ გაშინაგნებული გვქონდეს ერთმანეთთან დაპირისპირებული რამდენიმე განწყობა („ყველაფერი უნდა ვიცოდე“, „ყველაფერი ვერ მეცოდინება“), მაგრამ უპირატესად ერთი განწყობის ჭეშმარიტებისა გვწამდეს. და ამას ჩვენი აზრები, ემოციები და ქცევები ასახავს. შესაძლოა, ვამბობდეთ, რომ შეცდომა ან მარცხის განცდა სწავლის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ჩვენი აზრები, ემოციები არ შეესაბამებოდეს ჩვენსავე ნათქვამს. შესაძლოა, მე მარცხის განცდისადმი ნაკლებად ამტანი აღმოვჩნდე და საკუთარი წარუმატებლობისადმი – ნაკლებად შემწყნარებელი. ჩემი ქცევა ავლენს, რომელი განწყობის ჭეშმარიტების მწამს.

ამ შემთხვევაში ჩვენი, როგორც მასწავლებლების მიზანი იმ განწყობების წახალისებაა, რომლებიც მოსწავლეებს განვითარებისკენ უბიძგებს.

ნათია ფურცელაძე

მოულოდნელი არდადეგები და „საშღელები“

გაზაფხულის მოსვლა სასიცოცხლო ძალებს მიბრუნებს. ზამთრის უღიმღამო და ნაცრისფერი დღეების შემდეგ მარტის მზე ენერგიით მავსებს, ეს კი პირდაპირპროპორციულად აისახება ჩემს გაკვეთილებზე, თითქოს ხალისი მემატება. თითქოს არა, მართლა მემატება, იდეებიც მოფრინავენ და მოფრინავენ.

ამ გაზაფხულმა მოულოდნელი არდადეგები მოგვიტანა. უსაფრთხოების მიზნით მთელ ქვეყანაში შეწყდა სასწავლო პროცესი. რადგან მასწავლებელი ვარ და ჩემი შვილები კი – მოსწავლეები, სახლში გამოვიკეტეთ, თავს ვარიდებთ ხალხმრავალ ადგილებში გასვლას. ის განწყობა კი, ზემოთ რომ ვწერდი, აღარ მოვიდა. მეტიც, რაღაცნაირად დავითრგუნე. იყო სახელდაურქმეველი შიშიც პირველ დღეებში. მაგრამ მალევე ჩემს თავს შემოვუძახე! სხვა თუ არაფერი, გაზაფხულის ენერგია და ხალისი იმისთვის მჭირდებოდა, რომ არც ჩემი შვილები და არც მოსწავლეები არ მოდუნებულიყვნენ. განწყობას ხომ გადამდები ძალა აქვს.

მერე იმაზე დავიწყე ფიქრი, რა შემეთავაზებინა მოსწავლეებისათვის. ყოველთვის ფაქიზად ვეკიდები არდადეგების დავალებებს, რადგან თავისუფალი დრო, თამაშის დრო ყველაზე ძვირფასია ბავშვისთვის. მაგრამ სხვა აღმოჩნდა მოულოდნელი არდადეგები, რომლისთვისაც მზად არავინ არ იყო. ჩემი და მოსწავლეების ურთიერთობის საშუალება, ცხადია, დისტანციურია. კიდევ კარგი, მსგავსი გამოცდილება გვქონდა, თუმცა იმაზეც მეფიქრებოდა, რა ხდება იმ მოსწავლეებისა და მასწავლებლების თავს, რომელთაც არ აქვთ არც რესურსები და არც გამოცდილება დისტანციური სწავლა-სწავლებისა?

1. პირველ დავალებად მოსწავლეებს ფილმის – „რონ კლარკის ისტორიის“ – ნახვა და შემდეგ შთაბეჭდილების დაწერა შევთავაზე. იმისთვის, რომ უფრო ყურადღებით დაკვირვებოდნენ დეტალებს, დავალების დასაწერად მითითებებიც გავუგზავნე:
   - როდის და რომელ ქვეყანაშია გადაღებული ფილმი?
   - მოკლედ გადმოეცი ფილმის სიუჟეტი;
   - რომელი ეპიზოდი/მომენტი აღმოჩნდა შენთვის ყველაზე ემოციური?
   - რომელი პერსონაჟის ქცევა მოგეწონა განსაკუთრებით და რატომ?
   - რომელი პერსონაჟის ქცევა აღმოჩნდა შენთვის ყველაზე მიუღებელი და რატომ?
   - რა პრობლემა შეამჩნიე ფილმში? რას მიიჩნევ ამ პრობლემის მოგვარების გზად?
   - ვის ურჩევდი ამ ფილმის ნახვას?
   - რაზე დაგაფიქრა ამ ფილმმა?

   უკვე მივიღე დავალებები და უკუკავშირი მარწმუნებს, რომ ფილმის ნახვაც, მისი გააზრება, შემდეგ კი შეხედულებების წერილობით გადმოცემა შედეგიანი აღმოჩნდა.
2. ჩემი მოსწავლეებისათვის ჩვეულებრივი ამბავია, რომ

> ჩემი და მოსწავლეების ურთიერთობის საშუალება, ცხადია, დისტანციურია. კიდევ კარგი, მსგავსი გამოცდილება გვქონდა, თუმცა იმაზეც მეფიქრებოდა, რა ხდება იმ მოსწავლეებისა და მასწავლებლების თავს, რომელთაც არ აქვთ არც რესურსები და არც გამოცდილება დისტანციური სწავლა-სწავლებისა?

ჩემი მოსწავლეებისათვის ჩვეულებრივი ამბავია, რომ წიგნები იკითხონ. ბუნებრივია, განსხვავებულია მათი დამოკიდებულება, ზოგი ამას სიამოვნებით აკეთებს, ნაწილი ისე ეკიდება, როგორც შესასრულებელ დავალებას.

წიგნები იკითხონ. ბუნებრივია, განსხვავებულია მათი დამოკიდებულება, ზოგი ამას სიამოვნებით აკეთებს, ნაწილი ისე ეკიდება, როგორც შესასრულებელ დავალებას. არ ვიქნები მართალი, თუ ვიტყვი, რომ ყველა დიდი სიამოვნებით კითხულობს, ეს ბუნებრივიცაა, მათ განსხვავებული ინტერესები აქვთ. მაგრამ წლების განმავლობაში წიგნებთან ურთიერთობამ, ძალიან ხშირად თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობამ, კლასში შექმნილმა წიგნიერმა გარემომ მხატვრული ლიტერატურის კითხვა ჩვეულებრივ ამბად აქცია მათთვის. უკვე გაზრდილ მოსწავლეებს რომ ვაკვირდები, ამგვარმა გამოცდილებამ ბევრი მკითხველად ჩამოაყალიბა.

ცხადია, დავიწყე ფიქრი, რა წიგნი შემეთავაზებინა მეცხრე კლასის მოსწავლეებისათვის. ვეძებდი ისეთ საკითხავს, რომ გვერდზე არ გადაედოთ და, როგორც იტყვიან, „ერთი ამოსუნთქვით“ წაეკითხათ. ჩემს მეგობარ მასწავლებელსაც ვკითხე რჩევა. ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე, არჩევანი თამარ გეგეშიძის „საშლელებზე“ შევაჩერე.

რატომ?

- იმიტომ, რომ მთავარი პერსონაჟები ჩემი მოსწავლეების თანატოლები – 13-14 წლის ბავშვები არიან;
- იმიტომ, რომ წიგნი გვიამბობს სასკოლო ცხოვრებაზე, მოსწავლეებისა და მასწავლებლების, მეგობრების, ოჯახის წევრების ურთიერთობაზე;
- იმიტომ, რომ ვინც არ უნდა წაიკითხოს, საკუთარი თავის პოვნას შეძლებს წიგნში.
- იმიტომ, რომ პასუხი ანოტაციაში წერია და მეც ვეთანხმები: „რა სურთ მოზარდებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, რადგან ხშირად თავადაც ვერ ხვდებიან, რა უნდათ სინამდვილეში, თუმცა ერთი რამ ზუსტად იციან – უნდათ, რომ მათ აზრს პატივი სცენ, რომ გარშემომყოფებმა მოუსმინონ, თანაუგრძნონ, ხანდახან კი უბრალოდ მიიღონ ისეთები, როგორებიც არიან. ეს წიგნიც სწორედ ამაზეა და მისი წაკითხვის შემდეგ მეგობრები, მშობლები და შვილები, მასწავლებლები და მოსწავლეები ცოტა უფრო უკეთ გაუგებენ ერთმანეთს“.
- კიდევ იმიტომ, რომ ვიდრე არდადეგებზე წასაკითხ წიგნს წარვადგენდი, მწერალს მივწერე და ვთხოვე, ვკითხე, შეძლებდა თუ არა მკითხველებთან შეხვედრას. მისი თანხმობა სიხარულით შევატყობინე მოსწავლეებს. ჩვენმა სამკითხველო პრაქტიკამ არაერთხელ დამარწმუნა, რომ ავტორთან შეხვედრის მოლოდინი საოცრად უმაღლებს კითხვის მოტივაციას ბავშვებს.
- კიდევ ბევრი იმიტომ არსებობს...

„საშლელების“ კითხვა, გარდა ბავშვებისა, შევთავაზე ჩემი მოსწავლეების მშობლებს, ასევე, კითხვაში „გამოვიწვიე“ კოლეგები. ეს ადრეც გვიცდია და არაჩვეულებრივი აღმოჩნდა. შეთავაზების დღესვე წიგნის წაკითხვის სურვილი გამოთქვეს დამრიგებლებმა, ინგლისურის, მათემატიკის, ისტორიის, ბიოლოგიის, ხელოვნების მასწავლებლებმა. დარწმუნებული ვარ, მსურველების რაოდენობა გაიზრდება. 2 დღის შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უკვე წაკითხულიც ჰქონდათ.

„საშლელები“ საინტერესო და, ამასთანავე, საჭირო რესურსია

კომპლექსური დავალებების მოსაფიქრებლად, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩასატარებლად, სხვადასხვა კომპეტენციის განსავითარებლად. გაგიზიარებთ რამდენიმე იდეას:

1. „საშლელებში“ მხატვრული ლიტერატურის კითხვის თემა აქტუალურია, იგი ახალი წიგნებით დაინტერესების ერთგვარი საშუალებაცაა. ავტორი ახსენებს სხვადასხვა წიგნს:
   - „გრძელფეხება მამილო“;
   - „მარტოობის ასი წელიწადი“;
   - „მაწანწალა რასმუსი“;
   - „ნუ მოკლავ ჯაფარას“;
   - „თამაში ჭვავის ყანაში“;
   - „ჯეინ ეარი“;
   - „ტუვა გრიმერდალიდან“;
   - „საიდუმლო ბაღი“.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს ვთხოვთ, კითხვის პროცესში ამოიწერონ ყველა წიგნის სათაური, რომლებიც ტექსტში შეხვდებათ; შემდეგ მოიძიონ მცირე ინფორმაცია ამ წიგნებზე, ვინ არის ავტორი, სად დაიწერა, გაეცნონ ანოტაციებს და, საბოლოოდ, დაასახელონ, რომლის წაკითხვას ისურვებდნენ. შეგვიძლია არჩევნებიც მოვაწყოთ და ხმათა უმრავლესობით შევარჩიოთ კლასის საკითხავი.

2. „საშლელების“ ერთ-ერთი მთავარი თემა მოზარდის ოჯახის წევრებთან ურთიერთობაა. ყოველდღიურობის ფერხულში ჩაბმულ მშობლებს ხშირად გვავიწყდება მთავარი – ემოციური კავშირი შვილებთან. ეს წიგნი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ არა მხოლოდ საკუთარ შეცდომებს გვაპოვნინებს, არამედ იმაშიც დაგვარწმუნებს, რომ შეცდომა ყველას მოსდის და გამოსავალიც ყოველთვის არსებობს, მთავარია, ვაღიაროთ, რომ შეგვეშალა და მერე დავიწყოთ გამოსავლის ძიება.

შეგვიძლია, ეს სამი ამონარიდი (ამონარიდებს საჭიროებისა და გემოვნების გათვალისწინებით შევარჩევთ) დაფაზე დავწეროთ და მოსწავლეებს პრობლემების გაანალიზება, კომენტარების დაწერა ვთხოვოთ:

„კოსტამაც არაფერი იცის დედაზე, მე კი მამაზე. მამამ არ იცის, სინამდვილეში როგორი ვარ მე და მგონი, მამამ არც ის იცის, რა ხდება დედას ცხოვრებაში სახლის მიღმა. ხშირად მიფიქრია, ვიღაც ხომ უნდა იყოს, ვინც ყველას გვიცნობს? მგონი, ასეთი მარტო ღმერთია“.

„რა ძნელია, მუდმივად უსმინო ჩხუბს, ყვირილსა და ტირილს იმიტომ, რომ შენი მშობლები ერთმანეთს შორდებიან, შენ კი უბრალოდ დაგივიწყეს. მათთვის მხოლოდ მათი პრობლემები არსებობს, შენ კი ხელს უშლი!“

„მშობლებს ხანდახან წამოუვლით ხოლმე და ერთბაშად მოუნდებათ ყველაფრის გაგება, რაც გამოტოვეს. არადა, თუ ერთხელ ჩამორჩი, მერე ეს არც ისე მარტივი საქმეა“.

ალბათ, ხვდებით, ეს ამონარიდები რამდენი პატარა ადამიანის სათქმელს იტევს. დიდი ადამიანების საფიქრალსაც. ამაზე წერა, მით უმეტეს – ხმის ამოღება ძალიან უჭირთ ბავშვებს. მაგრამ მასწავლებლის მოვალეობა სწორედ ეს მგონია, მოუსმინოს მათ, წაიკითხოს მათი ნაწერები და გაუჩინოს იმედი, რომ პრობლემა მოგვარდება, მერე კი ასწავლოს, როგორ გააკეთონ ეს.

3. სიუჟეტის მიხედვით, მერვე კლასის მოსწავლეებს მასწავლებელი გაკვეთილზე ქართულ ფილმს აჩვენებს. აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი ბავშვისთვის ეს ცხოვრებაში ნანახი პირველი ქართული ფილმია. ალბათ, მიხვდებით, რომ ეს პასაჟი ტექსტში შემთხვევით არ გაჩენილა. თანამედროვე ბავშვების ნაწილი არ იცნობს ქართულ კინემატოგრაფიას.

წიგნის წაკითხვის შემდეგ შეგვიძლია იმავე ფილმის ჩვენება დავგეგმოთ, რომელსაც პერსონაჟები უყურებენ, თუ ჩვენი მოსწავლეებისათვის ის კინო ნაცნობი იქნება, ერთი გაკვეთილი ქართულ ფილმებს მივუძღვნათ. შეგვიძლია, მოსწავლეებს საყვარელი ქართული ფილმის შესახებ პრეზენტაციის მომზადება ვთხოვოთ, ჩვენც მოვამზადოთ. ვინ იცის, იქნებ ამ გზით ისინი კიდევ უფრო დავაინტერესოთ.

4. აღსანიშნავია, რომ მწერალს უყურადღებოდ არ რჩება ოკუპაციის თემა:

„ბათას დედა სოხუმელია, იმ ქალაქიდანაა, რომელიც წლების წინ ჩვენს ქვეყანას წაართვეს და არ უბრუნებენ. სიმართლე რომ ვთქვა, ამ ამბების ბევრი არაფერი გამეგება, მარტო ის ვიცი, ბებია რასაც ჰყვებოდა: რომ ერთ დღესაც ჩვენი მიწა წაგვართვეს და იქ მცხოვრები ადამიანები გამოყარეს“.

თითქოს, ყველამ ყველაფერი იცის აფხაზეთზე, ოკუპანტზე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება – ბევრი არაფერი. კარგი იქნებოდა, მოსწავლეებისთვის ასეთი დავალება მიგვეცა – ინტერვიუ აეღოთ ოჯახის წევრებისაგან საქართველოს ოკუპაციაზე, დაედგინათ, თუ ჰყავთ სანაცნობოში დევნილი, მისი ისტორია მოესმინათ და ასე შემდეგ, მერე კი კლასში ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ. აფხაზეთზე ფოტომასალის მოძიებას თუ ვთხოვთ, ესეც სხვაგვარად დაამახსოვრებს მოსწავლეებს ჩვენს დაკარგულ/წართმეულ მიწას.

5. წიგნში შეგხვდებათ ისეთი ფრაგმენტები, რომელთა გააზრება და განხილვა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა როგორც ეკოლოგიური წიგნიერების, ისე სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარებას,

   მაგალითად:
   - სიმწვანის ნაკლებობა თბილისში;
   - ბათუმში აშენებული უზარმაზარი კორპუსები და ხიბლდაკარგული ქალაქი;
   - სკოლების მოუწესრიგებელი საპირფარეშოები;
   - ქალაქის ავტობუსებით გადაადგილების პრობლემა;
   - ექსკურსიების შედეგად (და არამარტო) დანაგვიანებული გარემო;
   - მიტოვებული სოფლები;

- თანატოლთა ჩაგვრა, ოჯახური ძალადობა.

ეს პრობლემები ისე ფაქიზად და სადად არის გაჟღერებული პერსონაჟთა ფიქრებსა და მეტყველებაში, რომ შეუძლებელია, არ აგეკვიატოს. ამ საკითხებზე ბავშვების დაფიქრება კი სასიცოცხლო მნიშვნელობის მგონია, რათა საზოგადოების ცნობიერება გაჯანსაღდეს. ნებისმიერი ეპიზოდი შეგვიძლია ვაქციოთ დისკუსიის თემად, მერე კი მოსწავლეებს ვთხოვოთ, შეადარონ წაკითხული რეალურ ცხოვრებას, იპოვონ მსგავსება და განსხვავება. ასე ტრანსფერის უნარსაც გამოვუმუშავებთ და იმასაც მივახვედრებთ, როგორ გაითვალისწინონ წაკითხული თავიანთ ყოველდღიურობაში.

6. განსაკუთრებულად რამაც გამახარა, ინკლუზიური განათლების ცნების გაჟღერება იყო და იმის ჩვენება, რამდენად საჭიროა არაფორმალური განათლება. რამდენიმე წელია, ლიტერატურულ კლუბს ვხელმძღვანელობ და ყოველი დღე მარწმუნებს, რა კარგი იდეა იყო წლების წინ მისი დაარსება.

„საშლელებში“ ერთი ლიტერატურული კლუბის ისტორიას გაეცნობით, რომლის საუკეთესო შეფასება 13 წლის პერსონაჟის სიტყვებია: „რაც კლუბში დავიწყე სიარული, მგონი, უფრო თავდაჯერებული გავხდი“. ცხადია, XXI საუკუნის ბავშვებს მხოლოდ ფორმალური საგანმანათლებლო სივრცე აღარ იზიდავთ, ამიტომაც არ გამკვირვებია, რომ წიგნის გმირებს კლუბი ძალიან შეუყვარდათ, კლასის დამრიგებელსა და მოსწავლეს შორის კი ასეთი დიალოგი გაიმართა:

„ – თურმე, კლუბი მშვენივრად მუშაობს. უამრავი ბავშვი ჩაეწერა ახალ ჯგუფში.

- იმიტომ, რომ იქ სხვანაირი დავალებებია, – ვთქვი მე.
- სხვანაირი?
- ჰო, დავალებები კი არაა, უფრო გასართობია, კითხვა, წერა, პრეზენტაციების მომზადება. ამიტომაც მოგვწონს.
- იმიტომ ჰქვია კლუბი და არა გაკვეთილი, – თეა მასს ხმა შეეცვალა, – მაპატიე, მაგრამ მე პირადად გაკვეთილზე ნამდვილად ვერ გაგართობთ, უნდა გასწავლოთ.
- ჰო, მაგრამ იქაც ვსწავლობთ...“

ეს დიალოგი როცა წავიკითხე, მეგონა, რომ ჩემზე დაწერეს. წლების წინ ჩემთვისაც უთქვამთ ეს და თანაც არაერთხელ. სამწუხაროდ, ჩემი ბევრი კოლეგა დღემდე მიიჩნევს, რომ საკლუბო მუშაობა, თამაშით სწავლება, ინოვაციური მეთოდების გამოყენება გაკვეთილებზე „გართობაა“, სინამდვილეში კი ბავშვს თუ სიამოვნებს, მაშინ ყველაზე კარგად სწავლობს.

შეგვიძლია, მარტივი ექსპერიმენტი წამოვიწყოთ, ჩავატაროთ გამოკითხვა და დავადგინოთ, რა ტიპის დავალებები მოსწონთ ჩვენს მოსწავლეებს, რისი წერა სიამოვნებთ, მერე კი გავითვალისწინოთ მათი სურვილები და შედეგი გარდაუვალია – სწავლა-სწავლების ხარისხი გაუმჯობესდება.

იდეების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელო. მე და ჩემმა კოლეგებმა უკვე ინტეგრირებული დავალებებიც მოვიფიქრეთ. ინგლისურის გაკვეთილზე მოსწავლეებს ერთ-ერთი თავის თარგმნას შევთავაზებთ – ვფიქრობთ, ეს იყოს ტექსტი ბათუმზე, ან თავად შევარჩევინებთ, ხელოვნების გაკვეთილზე კი ილუსტრაციების შექმნას ვთხოვთ.

წიგნში კიდევ ბევრ რამეს ამოიკითხავთ, გაიგებთ, როგორია მასწავლებელი დედის შვილობა, რატომ იკეთებს 13 წლის მოზარდი მშობლისგან მალულად აკრძალულ ქამარს და როგორ ყალიბდება მისი გემოვნება, შეიტყობთ, რატომ დაარქვა ავტორმა ტექსტს „საშლელები“.

არ მითქვამს, რომ მწერალი, ამავდროულად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. იგი კარგად იცნობს ქართული საგანმანათლებლო სისტემის როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს. ეს ეტყობა წიგნს. არაა მარტივი, წერო ამ ყველაფერზე, მაგრამ პრობლემებზე ხმამაღლა საუბარი არის სწორედ მათი მოგვარების გზა. ამიტომაც მისასალმებელია ეს გამბედაობა. კიდევ ის, რაც ძალიან მომწონს „საშლელებში“, არის ავტორის თვითირონია.

მალე მოულოდნელი არდადეგები დასრულდება. მახარებს იმაზე ფიქრი, რამდენი იდეა გაჩნდება ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, რაღაცებს შევცვლით მშობლებიც, შვილებიც და მასწავლებლებიც, შევცვლით უკეთესობისკენ. ჩატარდება საინტერესო გაკვეთილები, გაიმართება დისკუსიები...

იქამდე კი... გაზაფხულის განწყობა დამიბრუნდა. „საშლელებმა“ დამიბრუნა.